

119  
1968/3.



# ბუნებისმეტყველება

12

1968

# გნეოთოკი

საქართველოს  
საბჭოთაო მთავრობის

საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 12

დეკემბერი, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა რ ს ი

ლალო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი. რომანი. ტომი მესამე. დასასრული.	3
თამაზ ვილაძე — ახალი ლექსები	35
ლევან გოთვა — შიშველი მთები. რომანი. პირველი წიგნის დასასრული.	38
<b>გაბრიელ ჯაბუჭაძე</b> — ლექსები	68
ნინო ფოქიძე — ჩემი მშა შიშველი. ბიოგრაფიული რომანი. დასასრული	70
ვახტანგ გორგაძელი — ყველა მწვერვალზე მაღალი. ლექსი	80
ლია ასათიანი — ლექსები	81
კვიციანი ივანე — თორმეტი მუცელი ლეგანოში	83

10846

### კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

კონსტანტინე გამსახურდია — შენთვის დასავლეთის ლიტერატურათა გამო	94
ალ. სანაძირაძე — გიორგი ნატროშვილის პოეზია	119
მეზარ კვიციანი — ვაჟა-ფშაველას რითმა	125
აკაკი თოფჩია — ფიქრი მხატვრული ტალანტი	132
აკაკი ბაქრაძე — ფიქრის თვითმკვლავობა	136
სოსო კვიციანი — იაკვ ლიტერატურული ლემინგტონის შესახებ	144
ნატალია ოკროშკაია — მარი გროს და ჯაზეტი „თბილისის უწყებანი“	151
თამარ ოქროშიძე — რუსი კართული ზღაპრისა	154

### მწერლის ტრიბუნა

თამაზ ჯაბუჭაძე — უახლესი კართული ფილმები	163
--	-----



- 6. ვ. პაიჭაძე — სინტაქსის ნუსხომი ქართვილ მეტროლოთა გავაცოგის ზე-სახეზ საბოთა პაფიჩის დიდ სამაგულო ოფიი
- პრ. ირეოვი — სოვიალისტური სახელმწიფოსი. დემოკრატიისა და კანონი-კანის უკვდაგეყოფელი ნუსხომი

184  
 188



შთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლეზანიძე, ბ. ფლენტო,
- ა. ხულაყაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-ველაია, ვ. წულუყიძე, ო. ქილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტიპოგრაფიკორი რ. ჩავეტაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/XII-58 წ.  
 • ქალაქის ზომა 70X108. ანაწყოების ზომა 71/4X121/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02618. ტირაჟი 9.400. შეჯ. № 4148.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეღეფონები: რედაქტორის — 98-55-11, პ/მგ. მდივის — 98-55-18, განყოფილებე-ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# ახალი კომიზონტი

რომანი

ტიმი მესამე

შატბია უცებ წელში გასწორდა, თითქმის რამე მოა-  
გონდაო... ვრთხელ კიდევ ამოიღო ჭიბიჭან საათი  
და პითიას მოურიდებლად უფხრა:

— თქვენ ხომ არ გიყვართ ქართული წესი — ცაკ-  
მა უსაბუთოდ დაიკვირანს, თუ სადმე მისასვლელია.  
მეუ ლექვნი ხათრით დღეს ვეროპულად ბუნტუალურ-  
რი ვიქნები!

— რა თქმა უნდა; ნუ მოშერიდებით... თუ რო-  
დისმე გაგახსენდეთ, დამირჯუთ ამ ნომრით. — პი-  
თიამ სახატავი ქალადის კუთხეში სადგინის ფან-  
ქრით მსხვილად დაწერა ტელეფონის ნომერი, სა-  
სული და მისამართი. ნაწერი მოხია და შატბიას გაუ-  
წოდა.

— აუცილებლად დაგირეკავთ, თბილისში ჩამოს-  
ვლა აღბათ კიდევ მომიწევს.

— ნახვამდის. — პითიამ ხელი გაუწოდა შატ-  
ბიას.

— ჯერ არ გემშვიდობებით, თუ წახვლას აპი-  
რებთ, შემოდგა ვუნიველიორის ქვედა სადგურამდე  
შავაყალით.

— წახვლას კი ვაპირებ, მაგრამ... ამისთვის  
თქვენი შეწყობა საჭირო არ არის. აგერ ტრამვანის  
გასაყართან გავიდეთ. — მე ქვემოთ მიმავალ ვა-  
გონში ჩავჯდები, თქვენ უფო მიმავალში.

— როგორც გნებავთ. — ირ რამეს კი წინა  
ექვსება: — ჯერ ერთი — მუშაობა არ გადავლეთ,  
მეორე — რომ გემშვიდობებით.

— სამუშაოდ ზვალავ ამოვალ ამანაგებთან ვრ-  
თად.

შატბიამ დარაჯი ჭალი მოძებნა, კარი გააღებინა.

— პატრიისცემა ჩემზე იფოს, მე თითქმის ყოველ  
დღე მისდება აქ ამოხვლა, — უფხრა ჭალს პითიამ.  
ქალ-ვაფი ზემოთ აუყვა ბილიკს. თაღებიან ზედ-  
ქვემ რომ გადიოდნენ, შატბიამ კინაღამ „ვრდაუხა-  
და“ პითიას, მაგრამ განზრახვის შესრულება ვერ  
გახებდა ასე მონდობილი გოგონსთვის ერთი წამინდ

გულისა და „დანაშაული“ ტამბუკური გატაცების-  
თვის დაეპრალეზა. შეძლება არც გახებდა. ნების-  
ყოფა მას არასოდეს არ დალატობდა, თუმცა ამ სი-  
კეთის მადლიერი არცთუ ისე ხშირად იყო.

შატბია დარწმუნებული იყო ნა არ შეეშლებოდა,  
მაგრამ მოაწმინდის პარკის ბოლოში შემოსვდილი  
მილიციელს წინაე კაითხა, — თქროფანსკენ გზას  
მოკლედ როგორ მოგპირთა.

— მოკლედ ეე არის და ვრძელიც, — მიუგო მი-  
ლიციელმა და თან ხელი მოასფალტებული გზატკე-  
ცილის მიმართულებით გაიშვარა.

შატბიამ მადლობა იმე უფხრა, მილიციელს არც  
გაუგონია. ფურდობი ჩაირბინა და გზატკეცილს და-  
აღდა. ერთ ხანს ჩქარა ემურებოდა, მერე ნაბიჯს  
შეუქმნევლად უკლო. გზატკეცილის ირგვლივ შვარსს  
ნორში წიწვანები ტყე ღობესავით გასდევდა. როცა  
ტყე ვათავებდა, ცაე ურთამად გაიხსნა, გამოჩნდა ხე-  
ვის გაღმა მხარე — მთავრების ირი ზოლი.  
შორს მკრალი და ვრთფეროვანი, უფრო აბლოს,  
ღრმა ხეებით ვერტკეკურად, ან ირიბად დაე-  
რალი. ღრმა ხეები ბურვანი ჩრდილით ამოცხე-  
ბული ჩანდა, ეს ბურვნი და ჩრდილი მადლა და  
მადლა თანდათან უფრო ბედებოდა. მთავრების  
ძირას, ხეებისაგან დამორებით, ხალისიანად კია-  
ფობდა თდა სახლების კრამიტი. ხეების არცთუ  
ისე უბე სიმწკნეში კი ეს კრამიტის ლაქები უწყ-  
რფილ იყო მიმოფანტული. სოფლის ზემოთ მთა-  
ერებისის გასწვრივ აღმართს მკაფიოდ ანდა მოა-  
ფალტებული გზატკეცილი; ერთგან მოზრდილი ბორ-  
ცვი უფარებოდა მდინარეხავით მოლაპლაბე, ვიწრო  
გზატკეცილს, შუაზე კვლიდა მას.

მოასფალტებული გზატკეცილიდან შატბიამ კუდა-  
რისა და ნაბიჯს მერხურ ტყეში გადაუხვია, გამოჩნდა  
დიდი დაფერლებული მიწდობი. მიწდობს მარჯვნივ  
ქსაწვრებოდა წიწვანები ხეების მწკრივი, ხეების  
ხილრწემი მოჩანდა იმ მიწდობივით დაფერლებული  
ეზო, ეზოს შუაგულში ფიცრული სახლი, რომელსაც  
წინა მხრიდან მეორე სართულის ხიმაღლეზე ირი

მხრე ვერცადა ფართო აივანი. ცემენტის ბიჭებზე შემდგარი უკანა ნაწილი სახლისა მიწიდან ერთი მეტრიისაჲ არ იწეებოდა ავილებული. სახლის წინ იდგა ალვის ხე, ყველაზე მაღალი ხე იმ არემარეზე. ეზოში. გრილოდა, უბრაყდა ნაივი და შისის მცხენარებას სასიამოვნოდ ანელებდა. ეზოს ღობე არ ერტყა, თითქმის არაფერი არ ჰყოფდა დაფრ-დებული, მიტოვებულივით ხრთოკ მოსაზღვრე ფერ-ღობისაჲან, გარდა იმისა, რომ ეზოს ფარგლებში ბალახი უფრო ხალისიანად გამოიყურებოდა. მოუ-ლოდნელად აიგინს კუთხეში გამოჩნდა ცხელი ზაფ-ხულის შესაფერისად წყვეული სარდაფიანი ქალი-შვილი, რომელსაც ხელში იდარდა ბრტყელი თევზი კვირა. ქალიშვილი ის იყო ხეს უმოკართო კიბეს მიადგა, რომ ეზოს განაპირას შექრებული ვაჟის დანახაზე, გაოცებისა და სიხარულისაჲან ერთი ხმამაღლა შევიოლა და იმავე წამს თევზიც მის ფერხითი დაიშრება. ნამსხვრევებით კიბის საფე-ხურები მოიფინა, მაგრამ ამას ქალიშვილი არ შეუ-ჩერებია, მან ჩქარი ნაბიჯით ჩაიბრინა კიბე და გამეზებულებით ერთ ადგილზე მდგარ ვაჟს მიტყრა, კისრზე ხელები მოხვია და რამდენჯერმე გაშმაგე-ბით აკოცა.

— ხომ გიყვანი რომ შატბია ხარ და მაინც არა მჯერა!

— რატომ, მგვი? — მორსხვად იკითხა შატბიამ და შეფისთან ერთად, რომელსაც ახლა მკლავში ჩა-ველო მიხთვის ხელი, ძლივს გადადგა ნაბიჯი. ვინც სახლში იყო, ერთ წამში ყველა კიბის მხარეს მოხ-გომოდა აივანს და ენობისმოყვარეობით გასცქერო-და ამ ხანახანობას. ყველა უღიმოდა სტუმარს. შატ-ბია აივანზე წარმოუდგინა მევიმ დედას, საქმროს და ნამიდას. შატბიამ ყველას თავაზიანად ჩამოართვა ხე-ლი. ამოთვან ის მხოლოდ მეფის დედას იცნობდა.

— შატბია, მიკვარს, როგორ მოგვაცენი. — თქვა მევიმ.

— დღითი ვაღერებაში სულყოს შეცხვი. იმან მიიხრა. სულიყო ჯერაც არ მოხულა?

— დარეკა — ხუთი საათისათვის მანდ ვიქნე-ბიო. სადაცაა ხუთი უნდა შესრულდეს.

შატბიამ კიბიდან ხათი ამოიღო, მალულად და-ხვდა.

— ხუთს ათი წუთი უკლია. — ხმამაღლა უთხრა მეფის.

— მაშ სადაცა გარჩდება. — წამობრძანდი, აგერ აივანზე დაესხდეთ, სანამ სულიყო მოვიდოდეს. ის ჩვენი სუფრის უკვლევი თამადა, არ უყვარს თუ მაგიდას უბისოდ მივესხდებით-ხოლომე.

— ჩვენი დავლოდოთ. — თქვა შატბიამ, და როცა ყველანი დანახდნენ, თვითონაც ჩამოჯდა სკა-მის ნაპარზე.

— თქვენ ისაუბრეთ, მე კი დედას სუფრის გა-წეობაში მივემეღებო. — თქვა მევიმ და თამაში შევიდა, საიდანაც უკვე იხმოდა ჭურჭლის წკარუნნი. უბრუნული სიბუქე ჩამოვარდა, შატბიამ ერთი ორ-ჯერ შეასწრო თვალს მიბუკ ქალს, რომელიც ენო-ბისმოყვარეობით აკვირდებოდა მას, თვალის შესწ-

რების უმაღ ქალს დინჯად, აუღლესულად გაშა-ქონდა მხერა ვაზტყეილისაჲენ, საიდანაც სულიყო უნდა მოსულიყო. მეფის საქმრი განვლის ათვალთ-რებადა რაღაც ზურგულად და უკუაღსრულდა. ვაშ-თი მხოლოდ უხერხულობის თავიდან აწავილებლად გვირა, თორემ ეტყობოდა კითხვის გუნებაზე სულაც არ იყო ამ სიციქში.

მოულოდნელად ხმამაღლი ლაპარაკი და კიბეზე ლუბის ხმა ერთსა და იმავე დროს მიესმო. სული-ყოც სწორედ იმ გზით ამოსულიყო, რომლითაც წე-ლან შატბია მოვიდა.

სულიყოს გამოჩენამ საიკრად გამოაცოცხლა აჭა-ურობა. ის ჯერ მოხუც ქალს მიეჭრა და გადაკოცმა, მერე შატბიას მარჯვენა რომ ბეჭზე დაქარა, მარც-ხენა სასიძის გავუჩოდა, დედას ხმამაღლა გახატა — სადილის საქმე როგორ არისო. შინ იყო თუ გარეთ მას არ შეეძლო ისე გაძლება, თუ ყველგან ყურად-ღების ცენტრში არ იქნებოდა და ამას ეს ახერ-ხებდა ისე ოსტატურად, რომ სრულებით ვერ გრძნი-ბლით რაიმე ძალდატანებას და უხერხულობას. პა-რიჯით, შეიძლება გიდეგაც შეგმურებოდათ მისი ამ-გვარი უნარიც, სიცოცხლის სიხარულიც, ენერჯიაც და ხალისიც.

— სად დამეკარგა ეს ბიჭი, — გაოცებით იკი-თხა სულიყომ და კიბისაჲენ ვაიჭრა კიბეზე ამანანგი კატას ეფერებოდა, სულიყომ ის უმაღ გასთქვა — ერთი ამას დამიხედეთ! აშველა კაცი კატას ვთამა-შება! — აივინს ბოლოში გამოჩნდა მაღალი ტახუკი, ტახუკმა საერთო საღლით სკადა „ვალის მიხდა“, მაგრამ სულიყომ აიძულა ყველა დამხედურისათვის ხელი ჩამოეჩინა და სახელიც ხმამაღლა ეთქვა.

სულიყომ ბოდიში მოიხადა სტუმრებთან და სად-ლაც გაქრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის კვლავ გა-მონდა აივანზე სველი თმის ვარსნითი. პიჯაკის მაგიერ ახლა მარტო თეთრი განამებული, ორ დილ-ზე საყელო შესანიღო პერანგი და შუქი შვევანე შარ-ვალი ეყვია.

— ქალაქში ერთი საათიც რომ გასვიდე, ისე გამ-ტყვარიანებული ბრუნდები შინ, რომ შენი თავი გე-ხარება ხანამ საპნითა და წყლით თავს წესრიგში არ მოიყვან, — თქვა სულიყომ. აქეთ რომ მოდი-ვარ, მარტო იმაზე ვფიქრობ — ნეტავი წყალი მო-დის თუ არა-მეოქი. წყლის პრობლემა თბილისისა-თვის, მე მკითხია ჯერ გიდეგ საქბირბორტოა, თუმცა ახლა ათჯერ მეტ წყალს ხარჯავს ქალაქი, ვიდრე იყო წლის წინ ხარჯავდა.

— სამადიეროდ ათჯერაც გაიზარდა, — თქვა მე-ვის საქმრომ.

— ათჯერ არა მეოხია, მაგრამ სამჯერ კი გაიზრ-დებოდა.

— თუნდაც სამჯერ, ცოტაა?

— გავრდა შენ ამის შემდეგ ნახე... ყველანი რომ თავს მოვიყრიეთ და რაიონებიდანაც წინანდე-ბურად შემოესციენი ინტერტუტებს გოგო-ბიჭებში.

— თუ თბილისის შეფება საქართველოს სხვა რაიონებისა და ქალაქების დაყალიბებისა არ ნიშ-ნავს, მივესალმები, — თქვა სულიყოს მამიდან.

— რა თქმა უნდა ნაწილობრივ ნიშნავს! ყველა თბილისისავენ ემურება, აქედან წასვლა კი არავის აღარ სურს.

— შენ კი წახვიდოდი? — გამოიწვევდა შეაგება კიხეხა სულიკომ სახიბოს.

— მე რატომ წავიდოდი, აქ დავიბადე!

— დაბადებამუ თუ მიდგა, ბიძაჩემი რომში დაბადებულა... მამასადამუ, უფლება ჰქონია რომაელებს წიღონი ჩასდგომოდ!

— სადაც არ უნდა დაგებადებულებიყავი, სამშობლო ორ ნაბიჯზე მჭირდეს და სხვაგან ვიყსოვრებდი? იხე კი სხვაგან ცხოვრების უფლებას თუ აქვს ერის მშობლივ ერთ-ორ სასწელოვან შეიღბს! უნბარო ხალხი კი მარტო თავის სამშობლოში უნდა ცხოვრობდეს... საკუთარ თფლს საკუთარ მიწაზე ღვინდეს ხუნაში, შენობაში, სიყვარულში, ქირსა და ღვინაში..

დიდი ოთხბას ორივე კარი მოუღიღინელად ფართოდ გაიღო და ზღურბლზე გამოჩენილმა შვეიმი აივანზე მყოფთ სთხოვა:

— მიბრძანდიო! — შემდეგ მამიდასთან მივიტრა, წამოღგომიში მივეყვლა და მკლავგაყარილი პირველი შეუძღვდა ოთხბასი, სადაც სუფრა იყო გაშლილი. გრძალადგაშლილი მავადაზე თეთრი სუფრა ასე ჩანდა, თითქოს ანაფეხსო. სუფრაზე ძალიან ხალგობად, შორიშორის იყო ჩამორიგებული ერთმანეთზე დაწკობილი ორ-ორი თფფი, დანა-ჩანგალი, კოჭნი და იქვე სამი ჭიქა, დიდი, მომყრო და სულ პატარა. მაგიდის შუავლის ვასწვრივ კი გაემწკრივეზინათ თფფები დაჭირილი პურით, ნივჭით და ძმრით შეყამებული ღობითით, ქორფა მწვანლიით, ბოლოკით, ქორფა თუ სასუღდასელოდ დამგაყვებული კიტრით, ოფწეულოთ.

სულიკო, როგორც წესი, სუფრის ერთ თავში დაჯდა, ზურგით აღმოსავლეთისაკენ, მამიდა სუფრის მეორე თავში. სულიკომ მარცხნივ მოისვა შატბია, მარჯვნივ სახიბი. მის გვერდით მყვი. შატბიას გვერდით კი დაჯდა სულიკოს აშხანა. ცერის სიწხლო ფრცხლის ჭიქით — ხაითიეთი არავი შესესხ მამაკაცებმა და მამიდამ. თან ყველამ წაუმძღვარა ხმამაღლა თუ ზრწრულით — ხიმწარე გავიროს, სიტკბო მოგვეყსო.

ციფმა საუბრემ — თყვეუელმა, კარგად შეყამა ზულმა ღობიომ არა მარტო ჭამის შიდა გაუღვიბა ყველას, მთაწერა კიდევაც.

— დღეს თამადამა ვინია? — იკითხა სულიკომ.

— ვინც სუფრის თავში წის. — თქვა შვეის საქმროში.

— აბა ერთი დღევანდელი წვეულების მასშტაბი ცოტა მეტი იყოს, თამადას პოსტს მამინაც თუ აგრე ადვილად დაშითმობდი?

სულიკოს ვინმეს გამოპასუხებისათვის აღარ მოუყვლია. ჭიქა ასწია და ხანამ სადღვერძელოს იტყოდა, შენიშნა — მე შენიშა წამოღგომი და სხვა ცერეზონიები დღეს არ გვეჩირდება. ეს ამ ოჯახისა და ამ ჭერის სადღვერძელო იყოს! სულიკომ, მისმა მეგობარმა და სახიბომ ჭიქა ბოლომდე გა-

მოსცალეს, შატბიამ ნახვარი დალია, ჭალემა მხოლოდ გემო გაჟსინჯეს ღვინოს.

— შატბია, ასე გიყვარს ჩვენი ოჯახი? კახეის რქა ხომ არ მომიწოდებია?

— მაგას რაზე მეუბნები?

— მამ ჭიქაში ერის გასახველებელზე მეტი ესხა განა, ნახვარი რომ ჩატოვე?

პირველი თავი საქმელის ჩამორიგებამდე სულიკომ კიდევ ერთი სადღვერძელოს დალევდა მოასწრო.

— ამ ჭიქით მინდა შატბიას სადღვერძელო დაველიო. — თქვა სულიკომ. შატბია ცოტა შეიშმუნა, თითქოს წამოღგომივ დააბარა, მაგრამ სულიკომ ხელი დაიკო და ადგილის საშუალება არ მისცა.

— შეიძლება ჯერ სხვა სადღვერძელოები უნდა შეგვეყვა. მაგრამ რა გაეწყობა, ღვე. დამბრახონ სუფრის წყერიდის და ტრადიციის მოყვარულებმა. შთავარი ის კი არ არის, რომ ეს ჭიქაუკი — შატბია არამბე, ჩემი ბავშვობის მეგობარი, მამამეის ძმაცაცის შვილი და სამამული ომის მონაწილეა, რომ იმიდან ფაქტიურად დღეს დაბრუნდა და მის დაბრუნების პირველ სადღვერძელოს ჩემს ჭერქვემ ესვამო, შთავარი ისაა, რომ შიველი თავისი არსებით ის ხელოვანადა დაბადებული. თუ ჩვენს წინაპრებს დავეყვრებთ, ურბესვი მეტრების ურბესე შემოსევებში, ისეთი შემთხვევები ყოფილა, როცა თურმე თითო ქართველი მეტრის ას შვიმარს უნდა გამელავებოდა... ხელოვნების სარბიელზე გამოსული შატბია არამბე ბევრჯერ ინტარებს თავისი წინაპრების ბედს... და ბევრჯერ იტყვის, ის ბბოლა მერჩიო! მართლაც სადა ამ უცხო ტომის შვილიან და სადა ოყ თანამემამულესთან შეზრდილება... ეს ოხერი, მანც ასე რამ შეგვაყვარა თავის გამოჩენა!

— სულიკო, ჯერ შენიშა, ფხიზელი უნდა იყო, მაგრამ უკვე შთავალიეთი ღაპარაკობ, — ჩაიციხა მყვი.

— სწორი შენიშვნაა — სიცილითვე უპასუხა სულიკომ, მაგრამ აღბათ, შეპატებია, რადგან ანას ყველაფერს დღვეანდელი შთაბეჭდილებები მალაპარაკებს... და ვინც დღეს გაღერავში გამოფენის განხილვას არ დასწრებია, მართლაც უნდა უკვირდეს ჩემი ვაცხარებაც და ასე დაბნეული ღაპარაკიც.

— სადღვერძელო დალივ და მერე ცოტა დაღავებულად გვითხარო რა მოხდა გაღერავში? — ურჩია სულიკოს, საცოლის ოჯახში უკვე გამინაურბულმა სახიბომ...

— მამ დაგლით შატბია არამბის — მომავალი მოქანდაკის სადღვერძელო, და უესურვოთ მას ძველი გზის სახელოვანად გაეღა! შატბიას მომავალში ბევრჯერ შესვდნობთ ჩვენს ოჯახში, და რაც საუბრეღა, ყველაფერს ვტყვეთ ერთმანეთს.

სულიკო წამოიჭრა და შატბიას გადაესხა. მერე ჭიქა ბოლომდე დასცალა.

სულიკო დაჯდა, შატბია კი კვლავ განაგრძობდა ჭიქით ხელში ფეხზე დგომას, ხანამ სხვიცი თითო-ორი სიტყვით ადღვერძელებდნენ. ბოლოს თავი ასწია სუფრის წვერის თვალს მოავლო და თქვა:

— ნაადრევი იყო ეს სადღვერძელოც და ჩემი ჭე-

ბაც. მაგრამ რაკი ასე მოხდა, სინანული უკვე გვიან-  
 ლა. მე ფრონტზედაც ხშირად მაგონდებოდა რუს-  
 თაველის სიტყვები — სადაც არა სჯობს, გაცლა  
 სჯობს, გარკისა მამაცისაგან, თუშეა ანას ვერასო-  
 ლეს ვერ ვაძერებდი. თუ ფრონტზე არა შეიონდა სა-  
 ნუალბა რუსთაველისათვის ვური მეფო, სტელო-  
 ნებაში მაინც მოვახერხებ ამას... მით უმეტეს, რომ  
 შემი მოწოდებთ გაქრობას და ქონების შექმნას, ან  
 აგარაკის ამწვებას არ ვაძიებ... თუ ვალერიაში  
 ჰქნადაც არ გამოვიდებინ იმის მიშით, რომ ვინ-  
 შეს დაწინდებოდა, მქონდეთ ყველა ამქვეყნიური  
 და წინასწალი სიყვით ბატომიყვარვეს ვისაც ზე-  
 ლოფებდა უფარს, ის ზემო ჰქონდა შემიხიდავს, თუ  
 დღემთა ქნა და, რამე სახელით ვაქვეყი...

- მთვას ახლა ლაპარაკობ. — თქვა სულიკომ.
- რასაც ახლა ვლაპარაკობ, მერეც ამას ვიტყვი.
- ფაქტობრივად არც ერთი ქართული, სხვათა  
 შორის ზელოვნებას სარბიელ ქართული, სხვათა  
 შორის დღესაც. შენ რომ დავით კაკაბაძის, ამასწინან-  
 დელი საჯარო გამოსვლა მოგვხმინა, ჰქმნარბად  
 ბრძოლის გუნებაზე მოგვყავნა, მისი ტემპერამენტი-  
 ბი, მისი გაბედულება და უსაზღვრო ერთგულება  
 მაღალი ზელოვნების პრინციპებისადმი... მე შენ არ  
 უნდა ნახებოდი და აღუბათ ვერც ვასწავლი, მაგ-  
 რამ ზემო ღრმა რწმენით, ბრძოლა საქართველოში  
 აღომდე! სხალინი სამჭოთა კავშირის სასწავლოთან  
 კი არ შეგერებულა, მტერს ზერლინამდე არ მოეშვა!  
 ყველა საქმეში საქართველო „ბერლინამდე“ მიხვალ!

— ესე კამათი შორს წავეყვანს, — ძალიან შევი-  
 და, წყნარის კლოთი თქვა შატბია.

სულიკომ ახლა იფრინო თუ რა გატაცებით და  
 ხამადა ლაპარაკობდა, რა შეუმჩნევლად დაგარბა  
 წონასწორობა. შატბიას კი რა მტკიცედ უნდა სჭე-  
 რდა ნებისყოფის სადაც, რომ ერთმხელაც არ გაუშ-  
 ელანებოდა თავისი ადლებუბა.

სანამ მეორე თვე კერას ჩამოარიგებდნენ, სული-  
 კომ ჰქმნებ ერთხელ კიდევ შეავსო და სუფრის მეო-  
 რე თავში მუდარ ნინოს მიაშტერდა. ნინომაც შეშე-  
 და, ზეუსასიყო ტურებზე მოიხევა და თქვა:

— მოდი, დღეს იმასი მაინც ვერწმენით რუს-  
 თაველს, რომ ვრბელი სიტყვა შეიძლება მოკლედ  
 იქცეს!

— შატბია, ხედავ ამ ქალბატონს, სუფრის თავში  
 რომ ზის? ჩვენ მას მინაურებმა დიდი ხანა წმინდა  
 ნინო შეგარბეთი! — სულიკომ კვლავ მამიდას გაუს-  
 წორა თვლი. — მამიდა, დღეს ზემის სუფრას შატ-  
 ბია რომ არ ეწარბოდეს, თქვენს სადღევრებელს,  
 აღობო უნებყოვად შეგებოდი, მაგრამ ახლა მხო-  
 ჲოდ ამ ქმეციელს გასაგონად მინდა გიხარათ,  
 რომ თქვენ მივლი თქვენი ცხოვრებით და კუბა-გო-  
 ნებით ჰლებას მოდგმის მშენება ხართ! თუ ის  
 თქვენი შორეული, ზენამდე ლეგნდად მისული სეს-  
 ნია, ქართველების განმანათლებელი იყო, თქვენ  
 თქვენი ვერაულოების, ზენი ოჯახის აბლობლებს  
 განმანათლებელი ხართ! ამასი ახლა მატბიაც მ-  
 ლე დარწმუნდება, რადგან ამიერიდან ისიც ჩვენი  
 ოჯახის წევრივით აბლობელი იქნება, ჯერ ერთი იმი-

ტომ, რომ შატბია მასავით მივარს, მეორე იმი-  
 ტომ რომ ის ზემი კოლეგა ზელოვნებაში. შატ-  
 ბია, შენ ხომ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო...

— რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ  
 თქვენ ცოცხა გადაუხეოთ, სადღევრებელი ქალბატონ-  
 ნი ნინოსია!

— ქალბატონ ნინოს ერთხელ კიდევ ვესურვოთ  
 დიდხანს სიცოცხლე და სიცოცხლის უკანასკნელ წუ-  
 თამდე სულს ისეიფე ხმინვე, სიცოცხლის სიყუ-  
 რული, მესხიერება და კუბა-გონება, რითაც დღეს  
 ოთხმოცი წლის ასაკში, ის ასე გვამწეებს და  
 გვაოცებს! — სულიკომ ჰქმნა ასწია — მე მგონია  
 ერთი სიმღერა მოუბედებოდა ამ სუფრასაც და ამ  
 სადღევრებელსაც! — გამარჯვებულები ვართ, და-  
 მარცხებულები ხომ არა! — დაიღეს.

სულიკომ ხმადალა წამოიწყა — „მისი სადღე-  
 გრძლო, იყოს, მისი მრავალგამიერი“... სულიკოს  
 გაუბედვად აკყენენ ჯერ მეფი, მისი საქმით, შემ-  
 დევ დანარჩენებაც.

სადღევრებელსა და სიმღერის შემდეგ რამდენიმე  
 წუთით სიმღე ჩამოვარდა, რადგან სუფრის წყერ-  
 ბი ახლა მტერს მონდომებოდა შექმნილენ ზეორ-  
 თა საჭელებს. წმინდა ნინოს გარდა, ცხერის ბარ-  
 ლით, ყველამ ისამიფრა. წმინდა ნინოს, რადც შე-  
 მსხვევის გამო, ცხერის ზორცი ბავშვობაშივე შეი-  
 ზლებოდა და ოთხმოც წლამდე იგი მიეღწია, მისი  
 გემო ერთმხელაც აღარ გაუსინჯავს. შატბიას ჯერ  
 გაუკვირდა, ზორცი საყოთარ თვფმებზე გადასაღ-  
 ბად წმინდა ნინოს გარდა, ყველას რომ მიაწოდა  
 მეფი, მაგრამ მერე მიხვდა, რაც იყო ამის მიზეზი  
 და კრინტი აღარ დაუბრავს. წმინდა ნინო ისევ თვე-  
 ზეულს მიუბრუნდა, ხრამულს უსათვალად ფრთხი-  
 ლად აცლიდა ფხას და დინჯად შექმცოდა კიდევ  
 შეიხვა რამდენიმე სადღევრებელი და ბილის ელდა-  
 რის ჯერიც მივიდა.

— ელდარი წვენთან ბტუმბად სხვა დროსაც ყო-  
 ფილა, — დინჯად დაიწყო სულიკომ, — დღეს,  
 მართალია, მისი წამიყვანა თავიდანვე განზრახული  
 არა მქონდა, მაგრამ რაც მან წელან კრებას უამბო,  
 მეე კი დაუფრებლად მიმჩვენა და ვიფქვე, იქნებ  
 ხალხებებს ამეუბნას, წაიყვან, დალაგებულად გა-  
 მოკითხავ ზელოვნებისთვის მართლა ასე ტანჯულია  
 თუ სანახევროდ თამაშის-შეიქნა. მოგვსწებოთ  
 ოჯახურ, ინტიმურ გარემოებაში ადამიანი შეიძლე-  
 ბა უფრო გულახდილად გესაუბროს და ბვერი იხედი  
 რამ თქვას, რაც კრებაზე ნალაპარაკებს ცოტად თუ  
 ბვერად ნათვლს მომდენს-შეიქნა... ვნასით აქ რას  
 გვეტყვის...

მართალია სუფრამზე ვხვდევართ და ქართული  
 სუფრა მომირეურებოდაც განთქმულია, მაგრამ მე  
 გულწრფელად უნდა გავხარბო, ელდარი ნამდვილად  
 ნიჭიერი ფერმწერია თუმცა საბოლოოდ შეიძ-  
 ლება უფრო გეღლის მიატერობის უბადლო ობატ-  
 ტად ჩამოყალიბების.

— ის არ ქმარა, იქ რომ გუდას ბიჩი მოვხეხნი...  
 ან იქ რა სასიამოვნო მოსასმენი იყო, — თქვა  
 ელდარმა.

— კიდევ ვიწუნებენ რამეს? — იციანა შეგი.

— თქვენც ხომ ნახეთ შეგი, ამას წინათ, „მსახორის ქალის“ ფერწერულ კომპოზიციაზე ამინდრდნენ...

— ღმერთო ჩემო... — მევიმ ირჩევ ხელი ღვებზე შემოიწყო.

— „ღმერთო ჩემო“ იქით იყოს და, მიიღე თავიდან ყველაფერი დალაგებით გვიამბე. — წაჭეზების კოლოთი უბნა ხელიკომ ელდარს.

— მინცდამანაწე გინდამ წყაბწარით ეს დღე-ვანდელი სიაშოვნება? — გაიციანა ელდარსა.

— გულახდილად რომ გითხრათ, მეც დავინტერესდი! ასეთი რა გაიგონა დღეს სულკომ, რაც აქამდე არა სმენია მთელს ყურს! — თქვა წმინდა ნინომ.

— ქალბატონო ნინო, რაკი სულკომ თქვენც და-ჯანიტრფხალი, მოგახსენებთ... განთხაფნად სურათის მიღებას ძალიან აადვილებს ხოლმე ის ამბავი, თუ ხელმეწერულმა გაქვს; ხელმეწერულების დადგება რომ მადლო, ეს სოფეტრ თვითონ სურათის დაწერაზე უფრო ძნელია, სურათის დაწერას ნიჭი და შრომა სჭირდება, ხელმეწერულების ხელში ჩადგება კი მო-გებება, რად ნიჭიერს უმარტურს შემოსხვევაში არ გააჩნია... მონაწიხეპანი, როგორც მოგახსენებთ, წმინდა განსაყვებელია მლიტნელობა, ძმობიჭობა, ვა-ელუწინახო ნაყნობობა და ათასი სხვა გულმართო-ბა. ზოგჯერ ესეცა მიწეხი რომ ჩვენი გამოხუნები ასეთი ერთფეროვანა და უფერულიც კი გამოიღის ხოლმე, რანაჩ რაც შეიძლება მეტი მოსხრხებული მონაწილეობს... მეც ხელმეწერულების „მონაპოვებ-ლად“ დიდი გაჭირვება გამოვიარე, არახსოთ არ უნდოდით გაეფორმებინათ ჩემთვის იგი, გარანტი-რებული ვფიქროვებო — სურათი გამოიფინათ და პირნარაიც ანდო. საგანოფნო კომისიის თავმჯ-დომარეც იხივ კი გამოიფინა — მართალია სახალ-ღო არტიტიკა, მაგრამ მისი პირტრეტი არ გვიან-დაო. თუკი ეს ხელოვნება იქნება, სახალღო არტის-ტიკ რომ არ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს პიროფ-ნებას? ჩემი დახატული არ უნდადა, მიწეხი უფრო ეს იყო. და მე თუ იმ ხელმეწერულებს ამასილებდა, სამაგიეროდ სხვას, უფრო სასურველს და დახლოფ-ბულს მოიმახლოფებდა და უფრო დაიასლოფებდა, წემი დაახლოება კი ძნელია — ყველაფერს ვერ გა-მსკეობინებ, რადგან ოფიციანტიკა ხელოვნებაში არ მიყვარს. ბოლოს რომ ვუდარ მომპიროტე, აღეს ეს ხელმეწერულება ურადფიკიამი გამოიფორმეს. მე ეს უბრალოდ გამოიკირდა — ფერწერის ვარ, გრა-ფიკაში არ ვმუშაობ და როგორ უნდა მოვიტეე? საგანოფნო კომისიის ვალენიანმა წევრმა ხელფე-რებაშიმოქონდემ და კომისიის თავმჯდომარის „მარჯ-ველი ხელმა“ ბრძანა — რა უნაც, გრაფიკაში გქონ-დათ ხელმეწერულება, სიაში როგორმე შევიწარუ-ნოთ და მომავალ წელს ყველაფერს გაეკეთებოთ. ეს ნდობა და დეკლემბის დასაწყისში. მომავალ წელს გრაფიკიდან ხელმეწერულება მართლაც ფერწერაში ვაღაპიფორმეს, მაგრამ თანხა გრაფიკისა დასწებეს.

— რა თანხა იყო — იციანა წმინდა ნინომ.

— სამი ათასი მანეთი. — მიუკო ელდარსა.

— სამაგიეროდ კომისიის თავმჯდომარემ თავს შეიღს ოფდაათი ათას მანეთზე გაუფორმა ხელმე-წერულება თქვა სულკომ.

— თანხას რით განსაზღვრავენ? — იციანა შეგი.

— სკქრის წმინდა, — თქვა ელდარსა. — თუმცა ჩემს სურათსა და კომისიის თავმჯდომარის შეიღის სურათის შორის წომამი იხილა განსხვავება არ ყო-ფილა, როგორც ეს თანხის მიხედვით ჩანს. ჩემი სურათი წმინდა ორი მეტრი ორზე იყო, მისი — სე-მი მეტრი ორზე.

— სამაგიეროდ ის კომისიის თავმჯდომარის შეი-ღი ყოფილა. — თქვა წმინდა ნინომ.

— თავმჯდომარის „მარჯველი ხელმა“ და „ხე-ლოვნებაშიმოქონდემ“ თავის ცალს თხუთმეტათასიანი ხელმეწერულება გაუფორმა.

— ყველას ვაგიცინა. ელდარის სიტყვებს არც შე-ნიშვნა სჭირდებოდა, არც განმარტება.

— სურათი მანეც დავუწერე. — განაგრძო ელდარ-მა. — ერთ-ორ მხატვარს, რომელთა გეშოვნებაც მწამს, სურათი ვაქვენე. მომიწინეს ფერწერული შე-ხრულება, კოლორტი, ურთფიფიხიანი კომპოზიციის, შეიძლება არა ორიგინალური, მაგრამ მაინც საინ-ტერესო გადაწყვეტა. სახსამით აღნიშნეს — უკვე ოქნ დამოუკიდებელ სახესო. მე გამეხარდა. თუმცა ვიციდი ეს სიხარული მეტად ნადრევი იყო. რი-დღესაც განაგრძად — სურათი მზად მაქვს-მოქონი, კომისიის რამდენიმე წევრი თავმჯდომარის წინა-მძღოლობით მინ მეწეკა. თავმჯდომარემ პირტ-რეტი დაიწუნა. კომისიის წევრთაგან ხმა ვერავინ ამიიღო. მუნჯებოვით უკებრეს სურათს და მუნჯე-ბოვით წავიდნენ. მე მხატვართა კავშირის ერთ-ერთი მდივანს შევეტადე ეს ამბავი. რამდენიმე დღის შემ-დეგ მოვიდნენ საგანოფნო კომისიის თავმჯდომარე და კავშირის მდივანი. მდივანი მითხრა, განაგრეც მუშაობა და მერე ვნახოთო. მე მიესხედი — მდივანი უფრო ემსაყურად იქეცოდა. მან ოფიქრა, დაწუნება მერეც შეიძლებაო. ორიოდე დღის შემდეგ ფერწერის ხეცივის წევრები მეწეფინენ. ხუთი კაციდან ერთმა უფრო რამის შესწარება მირჩია, მეორემ მეორისა, მესამემ — მესამისა. ისინი რომ წავიდნენ, საგო-ნებელში ჩავვარდი, რომელი ერთი შენიშვნისათვის ვამეწეკა ანგარიში. ესხადია ანგარიში უნდა გამეწეკა იმ შენიშვნისათვის, რის მიხედვითაც სურათის გას-წორებას შეეძლებდი, მაგრამ, როცა ასეთ შენიშვნებს ვაშლევქე, რაც წარმოუდგენლად უწმინწელია, ამ უსაფუძვლოა, ან ის მიზანი აქვს — სეადო კია, მა-გრამ ვერ შესძლო და ამ ცდილ სურათი ხელ გააფე-ჭო, ძალიან ადვილია ბოლმა ყველში მოგაწევს. თავს ჭალა დაეატანე, სურათზე რამდენიც შემეძლო კიდევ ვაშემედე. ბოლოს სურათი ვალენიანში მიამატა-ნინეს. კომისიის წევრებმა იქაც მომესტ შენიშვნები. ახლაც არ გინდა ოთხი კვადრატული მეტრი სურათის შინ წამოღება? როგორც იქნა ვიწოფე ხანაბარო მანქა-ნა; რაც კომისიის წევრებმა მითხრეს, ყვადე იმ შე-ნიშვნების მიხედვით გადამეკეთებინა — თმა უფრო



ჩამოაღ უნდა იყოს დაწვრილი, „ფონი ძალიან ფერის“. „გასწორებული“ პორტრეტი კვლავ წყვილად გალერეაში. ახლა სულ სხვა შენიშვნები მომცეს — ცხვირს უფრო რელიეფურად უნდა დაწვრია, სკამი, რაზედაც ფიგურა წას, უფრო მკაფიოდ უნდა ჩანდეს. კანის ქვედა ნაწილი შეიძლება ჩამუქდესო. კვლავ სახარკო მანქანის ძებნა ქურბში, ამჟვარდაც რის წყაღებით სურათი შინ წამოვიდა. ცალკეულ ადგილებს სურათზე მივლი დამე ვფხვავდი, დილით ხელახლა რომ დამეწვრა. კომისიას ეს შორევი ახირებული სურათივე შევუბრუნე. მესამედ რომ მიმატანინებ სურათი გალერეაში — კომისიის თავმჯდომარეს უთქვამს — ზოლით, ამ სურათს ნუ მივიღებთ, თქვენზე ხომ ზედადი, რომ მხატვარს არაფერი არ გამოუდისო. როგორ თუ ნუ მივიღებთ — გამოდავებთან ზოგიერთებმა ურთ-ერთ ზელოვნებათმყოფდნეს ეს უთქვამს — მამ თუ აგრე გსურთ, ჯერ დანარჩენი სურათებიც გაატინჯათ, ენახათ რა მოგწონთ, რის მიღებას აპირებთ და მერე ამ სურათის ბედზე გადაწყვიტეთო, მე პირადად აქ მოტანილი ნამუშევართა შორის, ასეთი ზელონი არ მგულულებათ. ზოლის საქმე იმით ვთავაზდს, რომ კვლავ ახალი შენიშვნები მომცეს და შინ სურათთანად გამოიშვებრებს. ისევ წინ და უკან სიბინილი უნაშო, ისევ სახარკო მანქანის ძებნა და უკანასკნელი უროშების ვიდაურა. ამჟვარად ფერმა გადაკვთა და სურათი ისევ გალერეაში მივიტანე... ეს წყაღება, ეს მოტან-მოტანა სიზიფის შრომად მქვამს, მით უმეტეს მას შერე, რაც სურათის თითქო საბოლოო გასწორების, სინამდვილეში მიწასთან გასწორების შემდეგ, მიმდებარე კომისიის თავმჯდომარეს უფრო ავიკიდდე და იმეზნა თავისი მღვიწველები დახმარებით. მაგრამ შორეუ სხდომაზე, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე არ დასწრებია, მე ვიხივე კომისიის ორ წევრს, მივეციათ უკრადლება ჩემი სურათისათვის. ამჟვარად სურათი მიიღეს, თუმცა კომისიის თავმჯდომარის მომხრეებმა განმარტობებით მისმა „მარჯვენა სხდომა“, „სელოვნებათმყოფდნე“ გონაძემ მაინც სყადა იერიშის წამოიწვინა. თუ აქამდე კრიტიკა არ დაუბრავს, ახლა კი ერთი ჩვენი კეთილსინდისიერი და პატრონისი ხელოვნებათმყოფდნე თურმე ისე ვაყვებულა, უფრო დაუკავებიათ, წინ წამდგარა და კომისიის თავმჯდომარის ძმანიჭებაათვის უთქვამს — ვერაფერი ბოიბია, როცა მხატვარმა სერიოზულად დაიწყო მუშაობა, სწორედ მაშინ გადადობით წინ, შეუშალოთ ხელი და ასეთი საქციელი ხელოვნების ინტერესების დაცვად გასაღიო... გალერეის ამ კედლებს თქვენი მოტანილი რანარი სუსტი ნამუშევრები არ ახსოვს, ვინ მოთვლისო. სურათი მოიღიათ. გავიდა ხანი, როცა გამოიღვინს მოწყობის დრო მოახლოვდა, ერთხელ კიდევ ჩამოუჭირლა კომისიამ მიღებულ ნამუშევრებს და რამდენიმე მათგანი კვლავ დაიწვინა. დაწვინებულთა შორის რა ლქმა უნდა ჩემიც იყო. ამ ბოლო კომისიის სხდომას წვერთა ნახევარზე ნაკლები ესწრებოდა, თავმჯდომარე, მხატვართა კავშირის ერთ-ერთი მოღვაწი, „სელოვნებათმყოფდნე“ გონაძე და ფერწერის სექციის ხელმძღვანელი, თურმე იმ საღამოსვე კომისიის თავმჯდომარე მოსიყვ

აპირებდა წასვლას, მაგრამ რაღაც ბედად ყოველმა ფეხი მოიტეხა და მისი წასვლაც ჩამოშალა. მერე დღეს მე მივედი მასთან და ვთხოვე — თუ რა პირიუხება ასე ვებოთ, რომ მინი პორტრეტის დანახვაც არ შეგიძლიათ, კიდევ მაქვს სხვა ნამუშევრები და ერთ-ერთი მაინც გამომიფინეთო-მეთქი. მართლაც რამდენიმე დღეში უნდა დამეზიარებინა მერე მსახიბოთი ქალის პორტრეტი და ვუნებამი მისი მოტანა მქონდა განზრახული. მაგრამ იყო რა შიობრა კომისიის თავმჯდომარემ? — ახლა აღარაფრის მოტანის დრო არ არის. სურათების მიღება დამთავრებულიაო. ასეთმა პასუხმა, ცოტა უხეშადაც ნათქვამმა, ადვილზე გამაშურა. ბოლოს ეს იყო წამოსვლას ვაპირებდი, რომ თავმჯდომარემ დაურეკა გალერეაში დირექტორს — ესა და ეს მხატვარი ოთხ პორტრეტს მოიტანს და ჩარჩოში ჩავსვს, გალერეაშით არ გაღარბებულაო. მე ვეღარ მოუთმინებ, მიუეზრებდი და ვეთხარი იმ ვაგბატომს — თუკი ზოგიხიბის შეიძლება ოთხი სურათის მოტანა, ისიც უკანასკნელ წუთში, მე ერთის გამოიფინეს ნება არა მაქვს-მეთქი! — ეს დანახებრებული მოღვაწეობა. მე რაკი ერთხელ შევხედე უკან აღარც ახლა დამხებვია, — ვე მართალია, მაგრამ მე უფრო არ მესაქტირობა უფრადლება და დანახება-მეთქი! მან კატეგორიულად გამიციხა — ახლა სურათის მოტანა არ შეიძლება და ნერვ მოიტანო. განაწვერებულია შეუარესყოფილი გალერეაში წავედი, ძალად დაწვინებული სურათი რომ უკანასკნელად ზურგზე მომეკიდებინა და შინ წამეღე.

გალერეაში დირექტორმა რომ დამინახა, ისე ვავხარდა, გამიკვირდა ხომ არ მეწვევება-მეწვი. შიობრა — რას წააცვიდი იმ პორტრეტს, შინ რომ მერე ნამუშევარი ტქონია, იმას თუ მომიტან, მოვხებრებს გამოიფინეთო. როგორ-მეთქი, დაეინტერესდით, როგორ და ნახავ, თუ არ გამოიფინეთ. გალერეის დირექტორი სელოვნების, ნიჭიერი მხატვრების დიდი მოსიყვარული და საქმეში გავერებული ხელისაწინი მხატვრების დიდი მოძულე იყო. მის წინადადებას აღტაცებით მაინც არ შევდებებივარ. ორმა მხატვარმა ძალიან მიჭო შენი ახალი პორტრეტი — „ბალერინა“, თუ ერთ საათში მომიტან, მერე რომ ასე უსინდისოდ გემტრობას, მათა სერის გაყვარებინა... რატომ ერთ საათში-მეთქი! — შევასერ ერთ საათში შეიტყობო. დავუჭერე, სურათის მოსატანად წავედი. „ბალერინა“ სახარკო მანქანის ძარბი ფრთხილად დავაწვინე. მართალია პორტრეტზე კიდევ ვაპირებდი წამუშევებს, ხელებისთვის მოდელი დამარებული მყავდა, მაგრამ რაღას დავეცებდი, ოღონდ მტრების ჯაფი ამომეყვარა. სურათი გალერეაში მიიტანე და დირექტორს გადავეცი. მან სურათი კედელზე მოაყვდა და შიობრა — ბრწყინვალეაო. მაშინვე გამოიძახა დურგალი და უთხრა — სასწრაფოდ ჩარჩოში ჩახვიო.

მიხდა ისე, რომ სურათი, რომლის შესახებაც არაფერი იცოდნენ, მოაღიღნულად ნახეს კულტურის მინისტრმა, მისმა მთადგოლემ, სელოვნების სამმართველის უფროსმა, საგანმეურე კომიტეტის თავმჯ

ლოზარე — მხატვარმა, მხატვართა კავშირის ერთ-ერთმა ზღვიანმა და ფერწერის სექციის ხელმძღვანელმა, მადლიან დირექტორს სურათი დაუკლავია ერთი ცნობილი მხატვრის ნამუშევრების გვერდით. მხატვართა კავშირის მდივანს ჩემი სურათიც იმ ცნობილი მხატვრისა მკონებია, და უნახავს თუ არა, აღტყვეობით წამოუხატა — „Замечательная картина“ — მინისტრსაც, ხეცვებს ნამდივლად მოსწონებიათ „მადლიანა“. ფერწერის სექციის ხელმძღვანელი ჩემად გასულა და იმ მხატვრისთვის, რომლის ხაში, სურათის გვერდით ვყოფა ჩემი სურათიც, დაურგვია და მიულოცია. — იმ შემს ოთხ სურათში „მადლიანა“ ყველას სჯობიაო. — იმ მხატვარს კი აღმფიქვითო უსახუნია — რას მოდავო, ასეთი სურათი შე არ დასახატავსო. ამასობაში ყველაფერი ვარკვეულა — გაღვრის დირექტორს უთქვამს — შეუ ძალიან მომწონსო და იქ მყოფთაათვის ჩემი გვირგვინი გაუმხელია.

— ხომ ჰქავს დაუჯერებელ ამბავს — წამოიძახა სულივით.

— დაუჯერებელს არა ჰქავს, ვინც ჩვენ გვიყვინობს... ვუ „დირექტორს“ ერთმანეთის წაქეცა — დასადებით დაგვეყა...

— მაგრამ არა უნახავს... ხომ გადაუსხამს ცივი წყალი შენა მტრებისათვის გაღვრის დირექტორს რაკი სურათი მინისტრსაც მოეწონა, რაღას იხამდნენ? ბაიბაყს უთქვამს — გამოსავალი ყოველთვის არსებობს, საქმე ისაა, თუ იპოვინო, — შენიშნა სულივით დედამ.

— ცხოვრება ბრძოლაა... — თქვა სულივით, — საჭმე მხოლოდ ისაა, რა ხეცხით სწარმოებს იგი — საკარბით თუ არასაკარბით. ისე... დაითქო ბრძოლისა და შეხლა-შეშობლის გარეშე შეუღლებული იყოს არსებობა, დამერი ნიჭიერთან ერთად წარმოიშობ უნიკოსაც, ღამასთან ერთად მახინჯსაც! მართალია, უფრო ძნელია, როცა შინაურთან გინდებო შეპრობლება, მაგრამ კაცმა ყველაფერს უნდა გაუძლოს თუ ბრძოლას მიზანი აქვს და ეს მიზანი ფრჩხილისობება მანაც არის!..

— ერთი მიზანი, როდის არ იყო ბრძოლა, შეხლა-შეშობლა, შური, მტრობა?! სხვას რომ თავი დაეანებოთ, მარტო ამ ახი წლის წინანდელი, ენგრისა და დელაკრუას ჭიდილი თავიანთი მომხრეებთურთ რად დირს! ხომ ასეთი სურათი დაეცინატა ვლადარმა, მაგრამ ჩემს ზელოვნებას მაინც რამდენი გამოჩენილი ოსტატბა ჰქავს, რამდენი რამ დახმუნანინინავი შეიქმნა. მამ რაშია საქმე? საქმე იმანია, რომ ნიჭთან ბრძოლა ამჟამა, თუ ეს ვინმეს განურსახავს!

ვლადარს თავგადასავალმა მხოლოდ შატბია ჩააფიქრა და დაამუნჯა. მის შეგნებაში პირველი უბედურია შემხებევა ვერ დაძრდილა მეორე, ასე ვთქვათ ბედურებმა შემხებევაში. შატბია ჯერ კიდევ საკმარისად მომხადებელი არ იყო, ზოგი რამისთვის ფილოსოფიურია ახსნა ეპოქა და ამიტომაც უკვირდა, რომ იყო ასე მკაცრად გაპრობებული ეს ოსტირული მტრობა და ხიბულელი ნიჭიერებსა და უნიჭობებს შორის.

წმიდა ნინო ჭიჭების შეგება მოიხსოვო.

ჩემი სულიყო ვადღერძელოთ — თქვა მან და ჭიჭა ასწია — სელოვნებაში შევეცემა, მაგრამ ცხელურებაში კი მჭერა რომ გვეწება წარმეტება და ვსტყურებ ისე მოგვეყოს შენი ცხოვრება, შენს თავსაც გამოდგომოდ, შენს მოვეყავს!

— გამდლობთ სადღერძელისთვისაც და ვულას-დლობისთვისაც! — თქვა სულივით.

— ყველა შემხებევაში მოდერება მარტო სუტბს ჩვევია! ამიტომაც ტყუილი სუტბის იარაღი და მართალი — ძლიერისა. — მკაფიოდ, დინჯად, ხმადაბლა შენიშნა წმიდა ნინო.

— თქვენს თავს ასე ძლიერად ხივლით, ქალბატონო ნინო? — იციბია შენს საქმრომ.

წმიდა ნინო გაიღიმა.

— ვოველ შემხებევაში არა მსურს სუტბად მივლიდნენ, თქვენ რა, სიმაართლე არ გიყვართ? — სიმაართლე კი მიყვარს, მაგრამ მახელი ხივერული რა მამწისია? ჯერ კიდევ უსსოვარ დროში უთქვამს — სიმაართლის მოქმელს ესენი შეგასწული უნდა ვეღვდოს!

— ეხუნია რა მოგასწენო, მაგრამ ჭკუა... უკვეოდ და უდროო დროს ნააქვამი არც სიმაართლე ჭრის, არც ხივრეუ!

წმიდა ნინოს ყველა სულგანაბული უსმინდა, შეიძლება ზოგი არც იზიარებდა მის შეხედულებებს, მაგრამ ამ ქალბატონისათვის იმდენი თყო, ამიტომ გავმარჯვებული ყოველივის ის მანდა.

სულიყო სუფრის დანარჩენმა ვფერებმაც რივრი-გობით ადღერძელებს.

— ადღერძელობისა და კეთილი სურვილებისათვის მადლობა... — თქვა სულივით, — როგორც ვეღვის ნინო მამდამ ბრძანდა, შეიძლება ხელოვნებაში ვარსკვლავები ვერ მოეწვიტო, მაგრამ იმას მაინც ვაკვეყნებ, ვისაც ვარსკვლავების მოსაწყებებად ხელო მოეწვიტა, ფეხქვეშ „ნიადაგი“ არ გამოეცალაო! თუ ხელოვნების ნაწარმიტების შემქმნელი არა, სხვისი შექმნილის მარჯდომელი შევფასებელი მაინც ვიყო!

— თავს რაზე იჩივებ? — ვაკვირება ვლადარმა, — კრიტიკოსები ყველაზე ნაკლებად უყვართ!

— კრიტიკოსს გააჩნია, ჩემი ვლდარ! ერთი ეზოდან გამიტანინელ ნაეებს რომ მეორე, უკვე დასუფთავებულ ეზოში დაყრი, ეს რა კრიტიკოსობაა!

— მამაბიჭობის ხათირო ყველაფერი კვდება. — თქვა შენს საქმრომ.

— მამაბიჭობამ და პირფერობამ ქართული სუფრაც კი ღამის შემაბულოს. — გაითქრა კია, მაგრამ არ ვვინა თუ წამოსადგობდა ვლდარს.

— საკვირველია, ვისაც არ შია სწორედ ის რომ იმეტებს ზოლენ თავს ერთი ლუგმის გულისთვის!

— სიგლად რა, ჩვეულებად არ შეიძლება გვეყენებ? — დინჯად შენიშნა ვაკვირებულ სულივით წმიდა ნინო.

— ამ ჩემს სამადლობელში რაც მთავარი იყო ის კი დაშავიწყდა — შატბია, შენ რომ უყვრად წახვედი, კრებაზე ხიერი მერე ატყდა. ბოლოს გაეხსენი ფრწილებიც, და რისთვისაც სტიბენდა მოიხს-

ნეს, რასთვისაც ერთი ნაწილი მხატვრებისა მაკებ-  
და, მეორე ნაწილი კი მაგინებდა — ვაგამდღვე-  
კრებს წელან მოვასხენი — გამოფენივ ჩემი სახე-  
ლით გამოტანელი ნამუშევარი — „მოხუცის თავი“  
მე არ მგუთონის—მოქო. ამან ისეთი ალიაქოთი,  
მიტემა—მოთქმა და ინტერები გამოიწვია, რომ რა  
გოიხრა. თავმოდმარეს ზარი სამჯერ გავუერდა ზე-  
ლიდან. წარბუნთ რომ ვერაფერი გააწყო, ზარს  
აუტყობინებს ჩაქუთივ ურტყამდა მაგიდაზე, მაგ-  
ნარ თქვენე არ მომივდებო... ვისაც ის ქანდაკება  
მისწინდა, იმ წუთში შენი ნახვა აღმათ მილიონად  
უღირდა. მეც ცეცხლი ისე შევუკოვო, ისე დაგახა-  
სიათე ვარდენულდაც, შინაარსითაც, რომ მეტი  
აღარ შეიძლებოდა... რომელიდაც ჩემმა მოთქულემ  
და ხელოვნებამი საკმაოდ უკეთმა წამოაძახა ჩემი  
შესამართით — ადვოკატი... — მე დინდა ვუბა-  
რებე — ამ ქანდაკების ავტორი ჯერ ერთი უცხო-  
ბიბ, მეორე — აქედან მაშინ შორს იყო, მესამე —  
კავშირის წერი არაა, და რაკი ეს სამი ვარეშობა  
სამყარისი იწებოდა ნამუშევარი არ გამოეფენათ,  
მე ვიყარე ჩემი სახელით გამოიტანა იგი. რაკი ვა-  
მოვიტო, ბრევეტი გამოიფენს გახსნამდე რამდენიმე  
წუთით ადრე ზემად მოველიოვ, გამოიფენის გახსნის  
შემდეგ ჩემი ვერით მოიხსნივ, მოთვალურებს რა  
წარამარა ცეიხებოდნენ „ეს „მოხუცის თავი“ ვი-  
სიათ“ მოთვალურებე წარამარა იმეორება ზემად  
გვარს... ბერი მიდილია და მილოცავდა, მოგწონს  
და გვიყვარს — როგორ გამოიფენის ასეთი ნამუ-  
შევარი... ვინ რა იცოდა, თავს კი უუქმედი, მაგ-  
რამ მადლობას იღუშალ შენს მაგიერ ვუხედი ცვე-  
ლას, ვინ რა იცოდა, იმ წუთში რა რიგ მამარტება  
შენი წარმატება. ბოლოს და ბოლოს მთავარი მაინც  
ის იყო, რომ ქანდაკება მოეწონათ, ვისი გვარი ეყე-  
რა, ამას დროებით, არა ქვინდა მინიშნობა...  
ხალხი გამოიფენებზე ისე მივნივა ერთფეროვნებას,  
რომ ოდნებ თუ რომელიმე ნამუშევარს სიცოცხლის  
ნიშანწყალს შეატყობენ, გაოცებული ჩრებიან... მაგ-  
რამ მე დარწმუნებული ვარ ომეადახილი თაობა  
უსათოდ შეებრძოლება ამ ერთფეროვნებას და უნი-  
ციტელობის ტრადიციას ასე რომ შატბია არაბიძის  
სახელი მხატვართა ვიწრო წრეში დღეიდან უკვე  
ცნობილი და იღუმალუბის შარაგანდელითაცაა მი-  
სილი. ეს ერთი მხრივ თუ შევიწრობს ხელს აყადე-  
შიამი მიღებისას, მეორე მხრივ უსათოდ შევიშლის.

— რა თქმა უნდა შეველის — დამეწონა ვლდა-  
რის.  
— აინებებს კაცი — რეჟისორი, ან მხატვარი უნ-  
და ვაგამდო... განაგრძო წმიდა ნინომ, — ნაუნო-  
ბობით მიიღებენ... ნაუნობობით დამოაგრებს უნად-  
ლებს... საშვილო ვადსაცემენ დიპლომს, დანიწებს  
კაცი ნაუნობობით რეჟისორობას, ან მხატვრობას, მა-  
შინ, როდესაც ის ავტონომია ან ვეტერინარი უნდა  
ყოფილიყო.

— განა ნამდვილი ავტონომია ან ვეტერინარობა  
აფილია? წყნით შენიშნა სულიკოს დუდას, თუმცა  
მის გვარში არც ავტონომია, არც ვეტერინარი არა-  
ვინ ყოფილა რომ ამ სახებით გამოედო თავი.

— ადვილით, ვერაფერზე ვერ იტყვი, ან შეგე-  
ლია, ან არ შეგდოლია! ეს არის და ეს. აკაცის შეფ-  
ერი დავწერა „განთიადი“, მაგრამ არ შეგებო წაქე-  
ცია კულა ღელანელი, სამაფროვლ ნეტარის ქუჩისას  
შეველო წაქეცია კულა ღელანელი, მაგრამ არ შეეც-  
ლი დავწერა „განთიადი“.

წმიდა ნინომ სულდაზე მყოფი ვადახედა და ჩი-  
ცინა.

— ელდარ, თქვენ აღმათ გაგდონათ ძველად  
ნათქვამი — პური შეპურეს გამოაცხობინე! ხომ ხე-  
დავთ ჩვენს წინაპრებს რა კარგად ეხმოდათ მიწო-  
დების ფასი. რა მოხდება იგივე პური რომ სექმის  
უცოდინარმა გამოიფენოს? ვერ შექეში თუ ხელობას  
ციონა უნდა, ხელოვნების სამსახურს კიდევ მეტი —  
მიწოდება! ფირისმანი რომ ასე მოეწონს, რატომ  
თუ იცოთ? ქოდა ხომ ხედავთ, ზოგი რამ უთქმელა-  
დაც ვახედაბა! უშანივი რომ სცენაზე გამოიშდებოდა,  
ჯერ ხმა არ ამოეღო, რომ უკვე ბუხუსებს ვაყარი-  
და. ხმას რომ ამოიღებდა და უცნაური თეატრის თეო-  
რი განბას შუკი მაყურებელთა ჩამხელებულ დარ-  
ბაში შემოაშანებდა, მაშინ სულ ერთიანად ავა-  
ცახედავდა. ამისი არც აწერა შეიძლება, არც მო-  
ვოლა. ამს წინად სულიკო ვადახედა, ვინდა თუ  
არა თეატრში უნდა წაიყვანო, ერთი შევნი გამო-  
ჩენილი მსახიობი მონაწილეობს. სამი მოქმედება  
თავზე ციფრალადახსმულითი ვიჯექი და ზემს  
ცხოვრებამი ისე არაფერი გამაარებია, როგორც იმ  
სამეტიკალის დამთავრება. იყო ტაში, მილოცვები, შე-  
ძახილები, ფაღბი ღიმილით მოღრეცილი სახეები,  
ყვავილებიც კი, მაგრამ არსად იყო ის ერთნეტელი  
აი რა მოეცება, როცა მიწოდებულს ადგილს მო-  
ხერხებული დაიტყვას... იფილი ასე თავზე ციფრალ-  
ვადახსმულითი!

— რაც შეეცება თეატრს, ის ასლა სება პირ-  
ციბებით ხელმძღვანელობს. — შენიშნა სულიკომ.

— პირიციბი დანიშნულებს ხელს არ უნდა უშ-  
ლიდებს... თეატრმა უნდა გამოეფენოს, თელი  
ფიცილობს, ავადლეობს, გაგიტაციოს... თქვენ კი  
ცდილობთ მყურებელი დააბნოთ, თან გვიყვართ,  
თეატრში ხალხს არ დადებს! არ იფილს — რალა  
თეატრში დაიძინოს? ძალი შინ, თავის ლეიფში  
ურჩენია. მე, რა თქმა უნდა, მიხეცებზე არ მო-  
გახსენებთ... მოხუცი ვაშუის რომ კოიხულობს, მაშინ-  
ნაც კი ეძინება.

— თუ ზემს შესაბებ არაფერი სწერია, ვაშუია მეც  
კი მეკრის ძილს, მაგრამ ეს ხომ სიხერით არ მომ-  
დის! — სულიკოს სიტყვებზე სულრა მთიარული სი-  
ცილით აიშალა.

— კაცო, ან მაქლით, სამადლობელის დაღეცას...  
სულიკომ ქევა ასწია, ცოტა მოხევა. შემდეგ ყველა  
ტიქები დაყლილიც, განსაფრებულიც შეაბო და გა-  
ნაერთი, — კიდევ ერთი და უკანასკნელი — ყველა  
წმინდა შევეწიოს!

„ყველა წმინდის“ წაშორებულმა—წამებულებით  
დანიარჩენებამე ტიქები პირთან მიიტანეს, მაგრამ შე-  
სამხეზე მეტი არც ვიხს არ დაუღვავა. სულიკომ

უცხე თავში ხელები იტაცა, ჭიჭის სწედა და შიგ ჩატოვებული ღვინო სულმოთქმულად დალია.

ელდარმა და სულიკომ ეზოში სკამები ჩაიტანეს. ეზო მიუღ სივრცეზე სეთა ჩრდილებით იყო დიდ ზოლებზე გადახარული.

— შენს ეზოს არა ჰგავს, მადრამ, ეზო მაინც ეზოა.

— თქვა სულიკომ და აიწინიან შატბიას კიდევ ერთი სკამი გადააწოდა. მგვი და დედაბისი სუფრის ალაგებებს შეუდგნენ. დანარჩენები ეზოში ჩავიდნენ. წმიდა ნინოს რამდენჯერაც კი შესთავაზეს სკამი, არ დაჟდა.

— მიუღი სივრცელე ვხეივართ, ან ვუყვართ, ჩვენი შორეული წინაპრები კი სულ მოპარობდნენ. ჩემი აზრით სოფელში გაზარდილი ბავშვი ბედნიერია, ქალაქში გაზარდილი კი — უბედურია... თუ მიუღი სივრცელე რუსოს მიმდევარი არ იქნები, ბავშვობაში მაინც უნდა ტრიალებდე ბუნების წიაღში, რაღაც რომ გაგვეს ხელს საგზადა... სად მინდორ-ველი, ტყე, მთები და სად ქუჩის მტვრისანი ასფალტი, ბენზინის ნაწივით მოწამლული პავრით და რკინა-ბეტონის ჭურღმულში გამომწყვდეველი სული და ხორცი.

— მიუცე საუკუნის ქალაქი ცოცხლად მარხავს ადამიანს... — თქვა მუცის საქმრომ, — მაგრამ მაინც ამ სამარხებში გვიჩრდნება ცხოვრება. არა გვექონდეს მაინც სამოთხესავით აყვავებული კუთხეები კახეთიდან აჭარამდე, მესხეთიდან სვანეთამდე.

— ჩემი კარგი, მერე ვისი ბრალია? — იკითხა წმიდა ნინომ. — თბილისი მარტო დედაქალაქი ხომ არ არის, საქართველოს გულია! ყველაფერმა აქ მთავარია თავი. ლუდი რომ ლუდია, აჭაღას რომ გასცდები, ალბათ იმასაც ვერ იშოვი სხვაგან. ზოგისთვის ესეც კმარა, თბილისიდან ფეხი არსად გაადგას. მე უკვე აღარაფერს ვამბობ მიუღ რიც დაწვესებულეგებებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე. რა დასაფრთხილად კონსერვატორია ქუთაისში ყოფილიყო, სამსატრო აკადემია კი ბათუმში. ცხრა თვის განმავლობაში სტუდენტებს მიმეღი ნატურის ხატვა პაერზე, პლატზე მოუწოდდა. ვაგრამი კი უზარმაზარ კინოსტუდიას ავაშენებდი.

— რატომ უნდა გადაიტანოთ კონსერვატორია ქუთაისში, აკადემია ბათუმში? ბატყ ფეხს იტყა! — დინჯად ჩაერთო ელდარმა.

— მერე სად მივყავს ამდენი კურსდამთავრებული? — იკითხა სულიკომ. — ხომ ხვდაც, თბილისიდან არავის ფეხის მოცვლა არ უნდა?

— მაშინდა, თელავი ან გორი ვიღასთვის მიიტოვებ?

— შენ გორს ეხუმრები? — დიმილით გადახედა წმიდა ნინომ ძმისშვილს. — აკაკის მაინც არ ვთქვას.

გორი, გორი ქართლის გული, მეთაური ქართლისაო.

— აკაკის სტრინინები საიდანაა გაბნობს წმიდა ნინო?

— ჩვენ ყოტას ვვასწავლიდნენ, მაგრამ ისე ვვას-

წავლიდნენ, ახლაც ვვასხვავს, თქვენ კი გვიმარა გასწავლებს, დღეს ალბათ ისიც აღარ ვვასხვავს.

— მაგარი მართალი ბრძანებები.

— ან სხვა რა ექვთ ტყუილი, ბავშვობაში.

— არა, ყველაფერში მართალი ბრძანებით, მაგრამ სიმართლეს კი ზოგჯერ მიუღებელია, ან მწილად შეასარებელი...

აივანზე მგვი გადამოგვა.

— სულიკო, თუ სადმე მანქანა გამოჩნდება, მიავიციე ხმა!

— საით მიდიხარ? — ჰკითხა წმიდა ნინომ.

— ჯერ კონსერტზე, შემდეგ დაბადების დღეზე.

— დაბადების დღეს ვინ იხდის?

— ზემი თანაკურსელია, თქვენ არ იცნობთ, ნინო მაშინდა.

— ვინც ერთხელ ხეივანიდან არ დაბადებულა, ის ყოველ წელიწადს იხდის დაბადების დღეს!

— ესეც მართალია, ქალბატონო ნინო. — დაემოწმა ელდარი.

— შატბია, თქვენ მაგ ტანსაცმლით წამოხვალთ თუ... სულიკო თავის სასაფხვლო კოსტუმებს ვაგაცინებდა იყო...

შატბია წამოგვა.

— მგვი, არც კოსტუმების განაწივას ვაპირებ, არც კონსერტზე წამოხვალს, მივლობას კი წინასწარ ვიხდით.

— კონსერტზე არ წამოხვალ?

— მე ამ ცოტა ხანში სადღურზე ვაპირებ გასვლას. ომიდან დავბრუნდი, შინ არ ვყოფილვარ... არ შემიტოვებენ, მაგრამ არა მგონია ჩემი დაბრუნების გამო, წუხელ მაშინვე არაფერი დასიზრებოდა...

— თუ დაეხიზრებოდა რამე, ჯერ დედას, მერე მამას...

— დედა... — შატბიამ რაღაც უცნაურად შეხედა წმიდა ნინოს. — დედას ომის დროს თავი მოკლავს.

ამის თქმა და ცრემლით შატბიას თვალების აბრტყილება ერთი იყო. ამ ცნობას ყველა დემილით შეხვდა.

შატბია უზარადა იტყა სკამის საზურვეზე ხელებ-ჩაფრებული და ხეყვალმა გამსტრებული იცქირებოდა. იყოღა, რაწამს ქულოთებს ვასამამამედა, ცრემლები გადამოცივდებოდა. უცხად ის სულიკო-სვენ მიტრიალდა და სელით ქვემოთ, გასტყვილი-სავენ ამინმა, სადაც ყელსახვევის ბოროთავით მისდგდა მანქანას დაერაგნილი მტვრის კუდი.

სულიკო წინ წაფდა, ერთი ძალუმად დაუხტვინა და თან უცხო მძღოლს ხელითაც ანიშნა — აქვით ამოდი.

— ვინ არის, იყანი? — იკითხა წმიდა ნინომ.

— საქართველოში ჩემთვის უცნობი არ არსებობს, მაშინდა. თქვენ ის თქვით, მგვიმ თუ „ვილისი“ არ დავაწინა. მე-გო! — გამბით უხმო სულიკომ დას. მგვი მუცის აივანზე გაჩნდა, მოაჯირის ისე გადმოეკიდა, ეზოში მყოფთ კიდევ შევინდეთ, არ გადამოვარდესო. სწორედ ეს იყო ალბათ მიზეზი, შატბიამ

სამოღვე ნაბიჯით სსპლისკენ რომ გადაინაცვლა. — მანქანა უკვე მოქრის წასაფვანად, შენ თუ ხარ მზად?

— არა უნდას ერთი ორ წუთს დაიცდის! — მგვი სწრაფად მინ შეპარუნდა. სულელომ განსუ გიიხშიო შატბია.

— გამოფუნა დიხურა. „მოხუციის თავის“ რა ვუყოთ, გალურების საწყობში ხომ არ დაეტოვებ?

— წაივლებ, სულელო. — დაფიქრებაც არ დასჭირვებია, ისე თქვა შატბიამ.

— თუ გინდა ზემთან სახლში გადავიტან და ამ ცოტა ხანში, თუ მუშასტვითა ქალაქში ვეწვივით, მე ჩამოვიტან, შენ რაზე უნდა იწეალო?

— წალუბით მგე არ გამოიჭირდება წალუბა, მაგრამ ახლა ვინდა მოვცემა, გალურეა დაცემილი იქნება.

— ამქამად გალურეა გვიანობამდე ღიაა. ნამუშევრებს ხსნიან და საწყობში უხიდეხან, ხვალ ახალი ექსპოზიციის გამართვას იწყებენ. თუ ვინდა წაგიდეთ გალურეაში, მე დირექტორს შენს ნამუშევრებს სულწერილით გამოუარბიდე და სადგურში მიგატანინებ, ვაგრინი დავგინიანებ და მერე შენ იცი...

— შეიძლება, მაგდენიც არ გაწავალო, შენ გალურეიდან გამოიშატბიანიე და მერე მე ვიცი.

— რას ამბობ, შემასტვითა ქალაქამდე თუ არა, სადგურამდე მაინც არ შეგეშვებო ზემა წამოღებული ნამუშევრის მიტანაში? შსოლოდ ესაა, უფრო მოსახერხებელი რომ იყოს, ტომარაში ხომ არ ჩავედო ის თაი.

— მე შეონია აჯობებს. — დავთანხმდა შატბია.

სულელომ სწრაფად იპოვნა ხარდაღში ძველი ტომარა, შეიძროდ დაახვია და გახეთმი გახვეული შატბიას გადასცა.

ნახევარ საათში ყველანი წვიდ-წამოვიდნენ. ოქროყანაში მარტო წმინდა ნინო და სულელოს დედა დარჩნენ.

სულელო, ელდარი და შატბია ფუნეულოთრის ვაგონით ქვედა სადგურზე ჩავიდნენ და ზიტბის ქუჩით გეზი რუხთაველის პრისპექტისკენ აიღეს.

გალურეის წინ ვებრტოლა ძარბანი სატვირთო მანქანა იდგა, ზედ ახლა ფეიარზე ერთ მჭერიად მიერულ ათ-ათ სკამიან „მერებს“ აწყობდნენ უკანვე კლუბში გადასატანად. სულელო გალურეაში შეუძლვა შატბიას და ელდარს. სამივე დარბაზი გათიარდნებული იყო, იატაკზე ახლა ადვილად ვერ გაივლიდი. კედლებიდან ჩამოსხნილი ნამუშევრებით ისე იყო იქაურობა მოყენილი. მუშები სელოფენებს მაინცადამაინც არ დაგადდედათ; ხშირად არათუ ჩარჩოზე, თვითონ ტილოზედაც კი „უკაბედად“ აბიჯებდნენ ფეხს. ნამუშევრები საწყობისკენ მიჰქონდა. ელდარი და შატბია შუა დარბაზში იდგნენ, სანამ დირექტორის მოსაძებნად თვალსა და ზელს შუა გამქრალი სულელო არ დაპარუნდა.

— დირექტორი ახლაც ამოვა, ქვემოთ კაბინეტში რაღაცას ანგარიშობს. ძალიან გაუბარდა რომ

ვეთხარი „მოხუციის თავის“ ავტორი უნდა გაგეწონო-მეოტი.

სულელომ შატბია იმ დარბაზსკენ წაიყვანა, სადაც დღისით განხილვას ესწრებოდა და სადაც მისი „მოხუციის თავი“ იყო გამოფენილი. ახლოს ვერ მივიდნენ, იატაკზე დაწყობილი სურათებით გზა გადაღობილი იყო.

— შატბია, ხუთი წლის შემდეგ როგორ მოგწონს შენი ნამუშევარი?..

შატბია ნორცხვად ილიმებოდა, ახლა რამის თქმა კი არა, საკუთარი ნამუშევრისთვის ცქერაც კი ვუხერხულვებოდა.

— შე ახლა უფრო მიწინს. — ისე თქვა სულელომ, სიტყვებით რომც არ გაგეგონათ, მარტო კილო დაგარწმუნებდათ მის გულწრფელობაში.

— რას ამბობ, — წამოიბახა ელდარმა, — ეს რომ სადმე მიწინს ჩამახებული პლაკეტის ნაწარგევებით ვიპოვებო, ძველ დევიპტურ პორტრეტებსე დახლა არ დაეყენებდნენ, მჭედვე სულელო, რა საიყრად ვფიქრება ჩრდილი სხებზე, ფახალახის ნაწარგევით თავზე გადაფენილ ნაჭერს ქვემოთ შეზღის გასწვრთ, თვალის ფოსოებსა, საფეოლის ჯამბივით ჩიარმავებულ ადგილებსა თუ შეწვეულ ყებებსე ვებებს ფოსოებივით სიღრმეებსა სატვირთვით დამუშავებულს რომ არა ვაგე?

— არც დამიმუშავებია, — ამოილო ხმა შატბიამ.

— ჭაბუე წერის გასწვრთ ქვა რომ ჩამოვამტვრევ, ლოყის ადვილას ამოხურეულ ქვის ნაწილს ზემოდან, სამგან მოსაცელებით, რუანის სახარახისს ჩაქუში დაგეკარი და როგორც ხედავთ, ახე ვინდა ლოყის ადვილას ვე დრე, ასევე გამოიხილეს საფეოლის ფოსოები. ცოტა ვერინმალის თავებთ გადავასწორე და... — სანამ შატბიას საოქმელს დამოთავრებდა, ხმამაღლა ლაპარაკბა და ფეის ხმასე სხებთან ვრთად მარცხნივ რომ ვახებდა, დაინახა უფრო მამაკაცი უახლოვებოდათ, თან შუშებსა და გალურეის თანამშრომლებს ვანკარგულეებასა და შენინებებს აძლევდა. ეს იყო კვერცხის მოყვანილობის, პირბახე, საოყრად მხებელ წარბებიანი და ცხელ ტურბიანი მსუტანი მამაკაცი. მარცხენა, როგორღვე თითვეგამეშვებული ხელა, დროდადრო პირთან მიქონდა ჰაბირისის მოსაწევად. თვალდ სივარტრის ნამწვი თითვები არც კი ჩანდა.

მოახლოებულ გალურეის დირექტორისკენ სულელომ მარჯვედ უხიბგა შატბიას და თან დააკოლა — იცნობდე გალურეის დირექტორსა და ხელოვნებათმყოფლეს — ზოფერიას.

— ეს თქვენა ხართ, არაბიძე?! — ამ ნამუშევრის ავტორი? დიას... მომწონსო, რომ ვითხარაო, ცოტა იქნება. ასე, ჩემო კარო, ზოგი სახელოვანიე ვერ ამოთვრებს თავის შემოქმედებას, თქვენ კი დასაწყისშივე ამდენი გავიბედავო! რა თქმა უნდა, ბევრი ვერ გაგიგებს, უფრო მეტს შეწერდება, მაგრამ, ნუ შეეშინებებოთ!.. თქვენ ჯერ შეიძლება კატის ხელა იყოთ, მაგრამ მალე ალბათ ჯოქივით ავიტრტანს ხელოვნებაში..

შატბია უხმუნდა. ჭებით გაბრუნული და სხარულით მიყრალი ბავშვივით იღიმებოდა.

— აგერ ელდარს რა დღე აყარეს, მაგრამ, — ზოფერიამ ბეჭეზე ხელი შემოკრა ელდარს, — ბოლოს მაინც ეს დარჩა გამარჯვებული...

— თქვენ რომ არა...

— მე რა... მის აქ რისთვის ვარ, ჩემო ელდარ! მართალია ზოფერის ისეთ ნამუშევარსაც ვვიღებ ამ კვდელზე, რომ პირდაპირ გული მერგვა. რას იხამ ხომ იცო, შამანურის ბარლიყივით აქვს მიყრული „წამყვანის“ სახელი, მაგრამ ვინც მიაკრა, არც იმან იცის, არც „წამყვანმა“, საით მივიღამ! საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ყველას თანაბარი უნაბეზარი მივცა მხატვრობაში. ამით ისარგებლებს უნიჭობმა და ისინიც აბუნდნ საერთო ფერბულს...

— ვვლავზე ვერ იტყვი, პატრონ ვევენი, მაგრამ მე მგონია მაც „წამყვანების“ სამი მეთხედი ჩიხში მაცყვებელი დავანგული ორთქლმავალივითაა! — შეინიშნა სულიყომ.

— ორთქლმავალი გართად მაინც გამოდგება, იმათ სურათებს და ქანდაკებებს რაში გამოიყენებ?

— ასაღებენ კია და შენ თუ გინდა გადაადდე.

— რომ ვერც გადაადდე, ვევა ცუცხლი! სულ მე მაყრია ძველი ინტერტარით.

— გასაღებს ნიჭი კი მოყვია ღმერთს შავათოვის.

— მოჯადოებულ წრეში ვართ მომწვედველი! — გასასვსავა ხელები ზოფერიამ. ა, ზომ ხედავ ამ ტილოს, რა შვილიყა — Гадюца! — თქვა დირექტორმა, — მაგრამ ნახე, ამ დღეებში რა ქებას ამოიკითხავ, ან მოისმუნ.

შატბია გაკვირებული უხმუნდა გაღერების დირექტორისა და სულიყოს შეინშენებ. თუმცა ისინი ნახევრად ხუმრობის კლთით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამგვარ ხუმრობაში სინარტულ უფრო მეტი იყო. შატბიამ სულიყოს უჩერკულა:

— ელდარს სურათს ვერ მაჩვენებ?

— შატბონ ვევენი, — გადუღლაპარაკა სულიყომ გაღერის დირექტორს. — არაბიძებს ელდარის სურათის ნახვა უნდა.

— თუ მუშებს საწყობში არ ჩაუტანიათ...

სურათი დარბანში აღარ აღმოჩნდა. ელდარს გული დაწყდა, რომ მისი ნაწარმოები შატბიამ ვერ ნახა.

— ხეალ თუ შემოივლი, გამევენბთ. ასლა სურათები ვრთმანებზე უწყსრიგოდაა მიწყობილი...

— ამაღამ მივდივარ, პატრონ ვევენი.

— რაყა ჩამოხვალთ, ან ჩვენთან ნახე, ან აგტორთან, ბინაზე, თუ მანამდე არ შეიძინეს.

— ჟერ განა რამდენი სურათი მაქვს, რომ ზოფერითივით ვვლადფერი მივყოფ-მოყვიდო, რაც მანადაა...

— მართალი ხარ, მაგრამ, — ვევენიმ ცალყმად გაუღიმა ელდარს, — ასლა ვინ მსჯელობს აგერ შენს მეტაი...

— ეინმე ზომ უნდა მსჯელობდეს! თუ არა და რაღა საწყობში დაობდეს, ან სადმე მიყრუებულ სას-

ბერტა ცოლად გაჰყვა ცნობილ კომპოზიტორს. მას ალბათ ეს ჭირწინება ისევე მზიარულად, უზრუნველად და ეფემტურად ესახებოდა, როგორც იყო ვიქტორის ხანმოკლე სტუმრობა კიევიში. კონცერტები, ტაშის გრიალი, ეახმები რესტორნებში, ფულის უყაბათო ფლანგვა, ნებევრობა და უზრუნველი ცხოვრება მზიარულ, სიცოცხლით სავსე ნიჭიერ ქმართან, ო, რას მოელოდა ბერტა. ვიქტორს კი უფრო შეეფერებოდა ცხოვრებაში ცოტა მეტად გამობრძმედილი მეგობარი, ვინც ვაუგებდა მას, ხელს შეუწყობდა, გვირდით ამოუღებოდა ქირში თუ ლხინში.

ბერტა გოდარი კარგი, წესიერი ქალი იყო. საბრალო პეტრედ დაჩაგრა ცხოვრებამ. ჯერ ერთი, ასე ადრე, სულ რამდენიმე თვეში დასკარვა საყვარელი ქმარი. ვიქტორის ვადაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ქერიფა ორიოდე წელი დასკო თბილისში, შემდეგ ლენინგრადს გაემგზავრა, იქ მუშაობდა ოპერის თეატრში და საბალეტმეისტერი კურსებზე. საბედისწერა 1941 წელს კიევიში ჩავიდა მშობლების სანახავად. აქ მოუხსრო ომი. ოკუპაციის დროს ფაშისტების უადამიანო რეჟიმის მთელი საშინელება გადაიტანა, რაღაც სასწაულით ვადარჩა, ხოლო მშობლები — დედა, მამა, დები და ძმა საზარლად დაედება. თვითონ მას, ეგონებ, იმან უშველა რომ ქვრივობაშიც ვიქტორის გვარს ატარებდა და მეზობლებმა არ გახცეს... რა უბედური ქალი ყოფილა...

ძნელია ამის თქმა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ისინი ერთმანეთს რომ არ შეხედრდნენ, ორივეს ცხოვრება სხვანაირად წარმართულიყო.

ბერტას არასდროს გაუმხელია ჩემთვის, მაგრამ შემთხვევით წამოსროლილი სიტყვიდან თუ მოგონებებიდან აღვილად ვასავებია. ჩამოვიდნენ თუ არა ახლადშეუღლებულნი თბილისში, რა მალე გაეფანტა ილუზიები, რაოდენ უკმაყოფილო იყო იგი სიღლი ვულის სიღრმეში. ჯერ ერთი არ ჰქონდათ ფული, არ ყოფნიდათ. იქ, კიევი ისე უყაბათოდ გავლანკეს რაც ვააჩნდათ, აღრავფერი ჩამოჰყვათ შინ. ბინა პატარა, არც თუ ისე კეთილმოწყობილი. შემდეგ მიყვებოდა, როგორ გაოცდა, რომ ვიქტორის სამუშაო კაბინეტში არა ჰქონდა, რაც მისი აზრით, აუცილებელი იყო ასეთი გამოჩენილი კომპოზიტორისათვის. ამ პატარა ბინაში ისეთი არეულობა, უწყსრივობა სუფევდა. დეიდა ხომ იმ დროს თბილისში არ იყო და ადვილი წარმოსადგენია რა დღეში იქნებოდა ბინა ორი მარტოხელა მამაკაცის ზღლი.

საქმე ის იყო, რომ რთვა ვიქტორი სავსტროლოდ გამგზავრა უკრაინაში, დეიდამ გადაწყვიტა ჩემთან წამოეღიყო მოსკოვს, თან ვენატრებოდი, რიი წლის უნახავი, თან მძაფრა რევმატრიზმი აწუხებდა და იქ მეტი საშუალება ექნებოდა ემეურნალო. ის მოსკოვში წამოვიდა, ვიქტორს კი სავსტროლოდ გაემგზავრა. დეიდა მართლაც ძალიან გამოიყვინა მოსკოვში და შემოაღრომბა, ის იყო უკან გამოგზავრებას აპირებდა, რომ ვიქტორმა გეაცნობა, ცოლი შევირთეო. შემეინიერი ახალგაზრდა ქალია, — იწერებოდა ვიქტორი, — სულ შენა გავეს, ნინა (მართლა იყო მსგავსება, ჩემივე სიმბლისი და ავტობილების, ჩემსაიყო შევერემანი ქალი იყო, ჩემივე ასაკისა). ახლა მარტო აღარა ვარ, პატრონი მყავს, რომ იცოდეთ, როგორი ჭირვეულია, სულ მეჩხებება, სულ ქუას მასწავლის, რაღა თქვენ და რაღა ისა. ხომ არ შეეძლო არ ეხუმრა, რაც უნდა სერიოზული საქმე ყოფილიყო.

უფრე ძალიან ვავევხარდა, ვიქტორის მარტოხელობა მუდამ ვადარდებდა. ცოტა კი შევეკვდი, რომ ისეთი ახალგაზრდა, უცხო ტომის, თანაც ბალერინა-შეირთო, მაგრამ თავს ვიმშვიდედი: — ის თუ ბალერინა, ვიქტორიც ხომ კომპოზიტორია, უფრო გაუგებენ ერთმანეთსო. მალე ისიც ვავიციე, რომ დინჯი და წესიერი ქალი გამოდგა და დაემშვიდდით.

ჩამოვიდნენ თუ არა თბილისში, ბერტას ერთი ამბავი აუტეხია, ეს რასა ჰგავს, ბინა როგორი მოუღელიაო. რემონტი დაუწყია. ვიქტორი იწერებოდა: „სულ ავჯიკლო, ერთი წელი მოსვენება არა ვაქქეს, არც შე, არც ვასოსო“, მაგრამ, ეტყობოდა, თვითონაც მოსწონდა ეს ახალი ამბები, პირველ ხანებში მაინც.

დეიდა შეფიქრებდა: „ჩავედე ახლა, საჭიროა ვითომ! ახალგაზრდა ქალია, თავისებურად აწყობს ოჯახს, მე რაში ვჭირდები?“ მეც, რაღაც თქმა უნდა, მისი ჩემთან ყოფნა მიხაროდა.

ბოლა, შეფიქრებდა დეიდაჩემი, თანაც ბინა ხომ პატარა გვექონდა მაშინ თბილისში, ახლანდელ რუსთაველის ძეგლის გვერდით. ორი ოთახი, აივნები, სამზარეულო... ერთს, უფრო მოზრდილ ოთახში ცოლქმარი მოთავსდა, მეორე, სულ პატარა, ცხრამეტობიანი იყო. იქ ვასო ცხოვრობდა. ამ სივრცეებში მართლაც გაუჭირდებოდათ და დეიდა აღარ წამოვიდა. — იცხოვრონ, როგორც თვითონ ურჩევნიათ, თავიანთ სურვილებზე ააწყონ ოჯახი, მე ხელს არ შევეშეო.

ეს იყო 1932 წლის სექტემბერში. 1933 წლის 20 მაისს ვექტორი ცოცხალი აღარ იყო.

ექტორი გარდაიცვალა პარტახტანის ტიფთ. ცხრა დღე იწვოდა მაღალი სიციხით. იმ დროს საღ იყო ისეთი საშუალებები, როგორაც დღესაა.

პროფესორი ნიკოლოზ ყიფშიძე, ვექტორის საყრდენს მეგობარი, ყოველდღე მოდიოდა, პროფესორი გიორგი მიქელაძეც. ექიმების ყურადღებამ არ მოკლებია. იმ დღეს დილით რომ იწახუნა, ნ. ყიფშიძეს კიდეც იმედი ჰქონდა, ყველანაირი კარგად დასრულებული. გულის ემინოლათ ყველაზე მეტად, გული კი კარგი ჰქონდა ვექტორს, ამიტომაც არ ჰკარგავდნენ იმედს. ცოტა ხნის შემდეგ, ვექტორი რომ უარესად გახდა, ვასო პროფესორს შ. მიქელაძესთან გაქცეულა. ეს შესანიშნავი მწერალი და ადამიანი თვითონაც ავად იყო თურმე, მაგრამ, რომ ვაივო ვექტორის მდგომარეობის გაუარესება, იმ წამსვე წამომდგარა, „ახლაც წამოვალა“. ვასო ყინულისათვის გაიქცა საღდაც, რომ დაბრუნდა, შ. მიქელაძე და ნ. ყიფშიძე შინ დახვდნენ, ვექტორი კი უკვე სულთმობრძავი იყო...

ექიმების დასკვნით, ავადმყოფობამ შენეწი-აღური ხასიათი მიიღო. გადატვირთულმა, გადაღლილმა ტვინმა გულარ ვაშლო ასეთ მაღალ სიციხეს, დაიწვა კაცი.

გადტვირთვა, გადაღლა, ნერვიულობა და... მოუვლელობა. მოუვლელობა? ავიღოთ თვით ავადმყოფობის პერიოდი. ახალგაზრდა ცოლი შეშინდა, არ გადაუდოს ეს საშინელი სენიო და განერიდა, ვასოს ოთახში გადავიდა. ავადმყოფს ვასო დაადგო თავს, მარტო ვასო. მაშინვე მიც ხომ ავად იყო. ის და ვექტორი ერთად გახდნენ ავად. მაშა, როგორც უფრო ძლიერნი ავადმყოფების კაცი, ჯერ უმალანდებოდა, არ ეპუებოდა სენს. მარტო ღამე თუ ღამეღვედა სისუსტე, თორემ დღისით ფეხზე იყო. მხოლოდ ვექტორის დაღუპვის შემდეგ წაიქცა ერთი პატარა, ბნელი ოთახი გვექონდა, საექსპლანსაციო. შევიდა თურმე იქ და დაწვა. არავინ მივიყარა,

არც ექიმი, არც წამალი, არც თუ რაიმე საჭეულ-სასმელი. პროფესორი მიქელაძე რომ შევიდა მასთან, „თავი დამანებებოო“ თქვა თურმე და კედლისაკენ გადაბრუნდა. მესამე დღეს აღარც ის იყო...

რა დღეში იყო ვასო, დღისით კიდეც პო, მაშაც ფეხზე იყო, ან ვინმე შემოვიდოდა, მაგრამ ღამით! აქეთ ვექტორი წევს და შფოთავს, ვექტორმა საოცარი შფოთვა იცოდა ავადმყოფობის დროს. ბორჯავადა, არც საბანს დაიყუენებდა ტანზე, არც თავზე ტილოს თუ ყინულს. ბოღვა არ იცოდა, ოღონდ შფოთავდა და ისე ამოახვეწებდა, თითქოს, აი, სული ამოაყოლაო. ვექტორი შფოთავს, საბრალო! მაშინვე უგრძობლად წევს, ღამღამობით უკვე კარგავდა კონტროლს თავის თავზე. ბოღვის, ხან ვექტორს ელაპარაკება, ხან საბრალო დედაჩემს იკონებს... მთელი დღე ნარბენ-ნაწიმები ვასო (მარტო ის დაბრუნდა ექიმებთან, აფთიაქში, ყინულისთვის, სხვა ვინ იყო?) ღამეც ვერ ისვენებს. ღმერთი ხომ არ არის ადამიანი. წუთით მაინც მოდერეს დადილობა.

ვინ იცის, უკვე ჩათვლემდა მოქანცულს, ვატანჯულს და რა შიშით რა სინანულით და საკეთარი სისუსტის გამოებით გაახვლდა თვალს, ვი, ეს რა მოვივიდა. წამოვარდებოდა, ისევ ტილო, წამალი, ბუღისს ძებნა, ღამე კი გრატელია, ვექტორი შფოთავს, მაშაც ბოღავს რაღაცას...

ამ დროს მე და დეიდაჩემი მოსკოვში საავიარკოდ ვემზადებოთ. ცხელი, რაღაც საოცარად დახუთული გაზაფხული იდგა. ცოტა სამუშაო მქონდა და გადამწყვიტე აიღრვე გასულიყოვით ავარაკზე. აღწე ვექტორის ბარათი მივიღე. იწერებოდა — ჩემი უკანასკნელი ნაწარმოები, საფორტეპიანო კონცერტი მინდა დაგეგულო. მომიძებნე მინდ გრავიორი და მოელაპარაკეო, თან ამერად უცნობ გრავიორს წერდა: „აქზანგო გრავიორი, აი ასეთი სამუშაო... მაქნობეთ, რამდენ ხანში და რა ფასად შეგიძლიათ შეასრულოთ“. დაწერილებით აღწერდა რაღაც სპეციალურს, ჩემთვის გაუგებარ წერილმანებს. მე ჯერ გრავიორის ძებნაში ვიყავი, რომ მოვიდა მეგრე ბარათი, ვექტორის უკანასკნელი ბარათი... იწერებოდა: „არ ვინდა, მე თვითონ ჩამოვალ. 20-25 მაისს საღამო მექნება, ფულს ავიღებ და ჩამოვალ, ბერტასაც ჩამოვიყვან, გაგიცნობ, ნახე, რა კარგი გოგონაა, როგორ დამეკობრდებოთ...“

ჩვენ მართლაც დავმეკობრდით, მე და ბერტა. მაგრამ ოცდაათი წლის შემდეგ. — ხოლო პირველი ჩვენი შეხვედრა რა შემომ, რა ძნელად გასაძლევ იყო...

ექტორი დახუსტებით არ იწერებოდა, როდის ჩამოვიდოდა, წინათაც რამდენჯერ ამბობდა ჩამოსვლას და გადაღო, ამიტომ გადაწყვიტეთ, მაინც წავსულიყავით. როცა ჩამო-

უნ, ბერტის იქვე წავიყვანო, ხოლო ვიქტორი ხან აქ იქნება თავისი საქმეების გამო, ხან იქ ჩამოვა, სულ ორმოციოდე წუთი სავალი იყო ჩვენი აგარაკადე.

და, ოი, იმ სამინელო დღეს... მახსოვს, შინანი. ნათელი დილაა, მე და დეიდა მშვენიერ გუნებაზე ვართ. დერეფანში ერთი დიდი ძველებური სკიფარი გვედგა, შიგ ზამთრის ტანსაცმელს ვალაგებდით. კვირა აღდა. შერობლები ირევიან დერეფანში, სამხარეთულოში (მაშინ კომუნალურ ბინაში ეცხოვრობდით), შემოპოქინიან მხიარულს, ბედნიერს. რა მადარდებს? კარგი ამინდაა; საცაა მანქანა მოვა და აგარაკზე წავიყვანს. იქ კი ნაძენარი, მსუბუქი, სუფთა ჰაერი, საყვარელი სამუშაო. აგერ საცაა ვიქტორი მესტრებრება ახალგაზრდა ცოლით. ახლა საფორტეპიანო კონცერტი დაუწყვრია, ვნახით... მეზობლები გაფრთხილებული მყავს, ვიქტორის დემეშა თუ მოვიდეს, იმწამსვე მაცნობონ. თან ვასაღებსაც ვერტოვებ, ვთხოვ კარგად მიიღონ... რა თქმა უნდა, ყველა მშობრდა, რომ მასობებენ და კარგადაც მიიღებენ.

უცებ ზარი. გავიქეცი კარებისაკენ. საქმაოდ გრძელი დერეფანი გვქონდა, ვაღებ კარებს ფოსტალიონი, დემეშა! „ხელი მოაწერეთ.“ — შეუბრუნება ფოსტალიონი და ქვითარს მიუვდის. „ვიქტორის დემეშა, ვიქტორის! — დაფუძახე დეიდას. სხვა აბა, ვისი უნდა ყოფილიყო. მოუთმენლად გადავხეი ბლანკი და წავივითხე: ვიქტორი გარდაიცვალა ვასო.

ყოველგვარ სასენ ნიშნების გარეშე, რომ ვიქტორი ყოველთვის დემეშებში.

მე მყავდა ორი მძა. ვიქტორი და ვასო. მესამე ზომ ადრე დაეკარგეთ, ჯერ კიდევ 1913 წელს. ეს „გარდაიცვალა“ მათ სახელებს შორის სრულებით გავუგებარი, ძნელიად ასათვისებელი იყო. რას ნიშნავდა ეს „გარდაიცვალა“, ან ვინ გარდაიცვალა? უცებ იღვრა რადიკამ, მივხვდი, რომ ვიქტორი, ვიქტორი აღარ იყო, ვიქტორი გარდაიცვალა! დამნუელი, გარეტანებელი ამ სამინელო დემეშით ხელში. ისე მკაფიოდ, საგანგებოდ განათებულ სცენასავეთ მახსოვს: გრძელი დერეფანი, ბოლოში ფართო, ნათელი ფანჯარა, ღია ფერის კედლებში აქეთ-იქით დატანებული მაღალი, შუქი კარები. დეიდა, ოღონდ დხარილი სკიფრთან. სახე სიხარულისაგან უბრწყინავს, ეღოს, ოი, ახლა ვეტყვი, როდის ჩამოვა ვიქტორია, ეს იყო წუთი და მიერ აღარაფერი მახსოვს... ცოტა ხნის შემდეგ მოიღა მეორე დემეშა, რამდენიმე დღის წინ გამოვზინეილი. ზოგჯერ ასეც ხდება. ვასო გვატყობინებდა, ვიქტორი ავად გახდა პარტახტინი ტიფით, ექიმები ამბობენ, კარგი მულო აქვს, უნდა გადაიტანოსო...

გრძელი წერლის მავარი დემეშა იყო. ის რომ დროზე მოგვცელოდა, იმ წამსვე წამოვიდო-

დით, ცოცხალს მაინც მივესწრებდით და ვინ იქნის... გვიინდა იყო.

სამი დღის შემდეგ განადგურებულმა ცილები წამოვიდით თბილისს. ვიქტორი და მისი დანაფლავებული იყო. ვავიციანი ახალგაზრდა ქვრივი... რა ძნელი იყო. დიდების პანთეონში მაშინ როდი იდგა იმდენი მარმარილო ძველი, როგორც ახლა. აქა-იქ სამი-ოთხი ძველი საფლავი, შუაში, სწორედ შესავლის გასწვრივ — ვიქტორის... ვიქტორის საფლავი.

ნაწიში იყო წინა დღეებში დიდ წვიმებს გადავცვით. ვიქტორის საფლავზე მიწა (მიწა ვიქტორის საფლავზე) გორაკად კი არ ეყარა, ჩახსენილიყო, წყლით დამძიმებული. ირგვლივ სველი, გაპარული ვეერგვინები, მიწაზე განათხზული მოწყენილი ყვავილები. ძნელი იყო ამის ატანა. ჩვენ ხომ არ გვინახავს ვიქტორი ავადყოფი, სულთმობრძავი, თვალწინ ისევ ის სიცოცხლით სავსე ვიქტორი გვედგა, მუდამ საქმიანი, მუდამ ახალი მიზნებით ვაბრუნებული, მის ცოცხალი სახე, ანთებული, შავი, მკვიანი თვალები...

თითქოს უცებ მოგვტაცეს ეს საყვარელი აღმიანი მოგვტაცეს წაგვართვეს, თითქო რაღაც სამინელო მაღალბა მობდა, ძნელად დასაქვრებელი, გაუგებარი.

ციცხალ-მკვდრები ვუყარენით მე და საბრალო დეიდაჩემი ამ სველ მიწაზე. ეს იყო აუტანელი, აუწერელი რამ. ვანსაუტობრებით ვანიციდდა დეიდა. ის თავისთავს აბრალებდა ვიქტორის უდროოდ დაღუპვას. მუდამ, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იმეორებდა: „ჩემი ბრალია, მე რომ ჩამოვსულყავი, მე რომ მასთან ვყოფილიყავი, ეს არ მოხდებოდა...“

დეიდა ვიქტორის უდროოდ სიცვლის იმას აბრალებდა, რომ იგი მასთან არ იყო, რომ ვიქტორის სიცოცხლის უკანასკნელ წელს აყლდა მზრუნველი ბელი, მოვლა. ვიქტორი ზომ ბავშვივით უმწეო იყო. ლუქმას არ შექამდა, თუ ვინმე არ შეახსენებდა, არ მოქალებოდა. არც დაიძინებდა, არც დაისვენებდა თავის დროზე. მას არაფერი ახსოვდა თავის შრომის გარდა...

მართლაცაა, საოცარი კაცა იყო. ტანსაცმელი ზომ ტანსაცმელია, იმასაც ვერ იყიდდა თავისთვის, ვიდრე ჩვენ არ ავუხარდებოდით, რომ კოსტუმი სულ გუთცვდა, ფეხსაცმელიც შემოვფელითა და დროა ახალზე იზრუნო. აბა, მას უფრო უხარობდა, მე და ვასო რომ კარგად დაიწყებოდა ვუთხარდებოდით. — ა, რა ლამაზი ლაყო მყავს, ა, რა ვეცავი მძა მომდევს. იტყობდა ზოლზე, თვითონ კი—მე რად მინდა. მე ჩემი კომპოზიტორობაე მეყოფიყო, იცინოდა. — ძალიან რომ გამოვეწყო, უხერხულიცაა. ფუქსაეატობაში ჩამოპარამევენ. მაგრამ ჩვენ არ ვეუბნებოდით, ძალით ვავიდივინებდით, რაც საჭირო იყო მისთვის, აგარაკზე ძალით ვგზავ-

ნილით. ის, ერთი მავალით: 1923 წელს დედა გარდაიცვალა. ეს სამიწელი ტრავმა იყო ჩვენთვის. დედა ჯერ არ იყო ხნიერი, ასე რამდენად თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა. მახსოვს, საავადმყოფოში იწვა, სულ რამდენიმე დღე თავადმყოფი. მე და ვასო ყოველდღე იქ ვიყავით. დილით მე მივდიოდით, ვიდრე ვასო სამსახურში იყო, გარეთ ეზოში ვტრიალებდით, ფანჯრიდან ვუთვალავდებოდი დედას. ხოლო როცა ექიმები წაიღეს-წამოვიდოდნენ, ექთანებში შივ მიშვებდნენ. ექიმების შემოვლის დროს გამოვიდოდით გარეთ და ასე. შეუდარისას ვასო შემეცვალა, ლამეც ვასო რჩებოდა იქ. წუთით არ ვტოვებდით დედას მარტო. ვიქტორს კი უფლება ჰქონდა მხოლოდ ერთხელ მოსულიყო დღის განმავლობაში. მას არც საავადმყოფოში ვუშვებდით, გვეშინოდა აზაფერა შეეყაროს, მარტო ფანჯრიდან შეხედავდა დედას. დედა კიდევ იქიდან დალოცავდა და ისევ გამოვისტუმრებდით, თუმცა ძალიან გვედაგვებოდა; თქვენ წადით, დასვენეთ, ცოტა ხანს მაინც დაერჩებოთ, ვინ დაანებებდა?

დედაჩემმა ვერ გაუძლო თარგმლების მკვეთრ ანთების, რაც ხორციის შემდეგ დაემართა, მას ხომ დიდი ხანია, დაზინებული ჰქონდა თარგმლები. დედა გარდაიცვალა მათსი დამლევა. ეს თვე საბედისწერაა ჩვენი ოჯახისათვის. ვიქტორიც ხომ მათში გარდაიცვალა. ზუსტად ათი წლის შემდეგ, კიდევ ერთი ძმა გვყავდა ნიუ, ძმებში ყველაზე უმცროსი. ისიც მათში დაეკარგეთ. მამაც ხომ ვიქტორის ჯანჯას გადააყენა იმავე თვეში. საოცარი დამთხვევა...

გარდაიცვალა დედა თავზარდამცემი იყო ეს ამბავი ჩვენთვის. განსაკუთრებით ვიქტორისათვის, რომელიც აგერ ოცდათორმეტი წლის იყო იყო, უკვე სატელემოვივილი კომპოზიტორი და დედა კი ჯერ კიდევ ბავშვითი უელიდა. ბათუმიდან ჩამოვიდა დეიდა, ის დეიდა კუსიკო, რომელიც პატარაობიდანვე თავს დავეტრიალებდა უფელსა, შემდეგ გათხოვდა, სულ უკესიოდ წელიწადი იცხოვრა ქმართან, ხოლო როცა დედა ავად გახდა, მამა ვივიდა, დედას თვლები დაუხუტა და თავის ოჯახში აღარ დაბრუნდა, რომ ოდნავ მაინც გაეწია დედის მავიერობა, მზარუნველი ხელი არ მოეკლო ჩვენთვის. ჩვენ მამის პატარები აღარ ვიყავით, მაგრამ შურნეული, მისიყვარული ქალი ოჯახში განა ცოტა რამ აბას?

დავასილავეთ დედა. ჯერ კიდევ ვარს ვერ მოვსულიყავით, რომ ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა. ვიქტორი მეტად ცხელი ზაფხული დადგა, როგორ შეიძლებოდა ვიქტორის თბილისში გაჩერება. თან საბლში ეს გაუთავებელი გლოვა, ტირილი. დეტრიალდით, ზოგი რამ ვიქტორს ჰქონდა მისაღები, ზოგი რამ გავყიდეთ და უშაღვე აბასთუმანში ვავისტუმრებდით.

იგი მართლაც ასე დამდნაო და დასუტრებულ იყო, რომ არ წასულიყო, აუბნე კოვიდინე ჩავარდებოდა.

ვავისტუმრეთ ვიქტორი აბასთუმანში. თუმცა თავის მკეთელ ვივომ ძალიან გვიდავებდებოდა. ახლა იმას მაინც აღარ გვეშინოდა, ვიქტორი არ ავადლევაო, ვიქტორზე ცუდად არ იმეორდისო და ცრემლებს აღარ ვიკავებდით...

არ ყოფილა ზაფხული, რა ვინდ ვაჭირვება გვექონდა, ვიქტორი ავარაზე არ ვაგვეყვანი. იმ საბედისწერა ოცდაცამეტს კი ვიქტორი, დასვენების მაგიერ, მეტად გადაიტვირთა. ჯერ ვასტროლები, მოგზაურობა, კონცერტები. მერე ხომ ცოლი შევიბოთა და ოჯახის მოწყობას შეუდგა, მერე ამ საფორტეპიანო კონცერტზე, თან ახალ ოპერაზე შემოიბოდა, და კიდევ თვლებს თეატრში აიღო საშუაო, სპექტაკლებს მუსიკალურად აფორმებდა. ძალზე დაიღალა. ზრუნვა კი ავლდა. ამიტომაც იკლავდა დეიდაჩემი თავს და სულ იმას იმეორებდა: მე რომ აქ ვყოფილიყავი, ჩემებურად თავს დავედგომოდა ვიქტორს, ცოცხალი გვეყოლებოდა, მას რომ ისეთი შოვლა ჰქონოდა, როგორც ვთველთვის, ასე მალე არ გამოგვეცლებოდა ხელიდან. ცდებოდა დეიდაჩემი თუ არა ცდებოდა, ამის თქმა ძნელია, ერთი კი ცხადია, ვიქტორს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დროს არ ჰქონდა ცხოვრების ისეთი პირობები, როგორც მისთვის აუცილებელი იყო.

იგი ჩვეულებისამებრ ბევრს მუშაობდა. ეს ის დრო იყო, როცა უკვე სიმფონიით იყო გატაცებული. კიდევაც დამთავრა თავისი პირველი საფორტეპიანო კონცერტო ორკესტრის თანხლებით. შემოიბოდა, აგრეთვე, ოსურ ოპერა „ჩერმენზე“, რომელიც ვფიქრობ, ყველაზე ძლიერი იქნებოდა მისი ოპერებიდან. ამას მოწმობს ის ადგილები, რომლებიც უკვე დაწერილი ჰქონდა ვიქტორს, და ის წარმატება, რაც მას წილად ჰვდა შესრულებისას, როგორც კავკაში, ისე თბილისში. ამ ოპერას დასრულება ველარ მოასწრო ვიქტორმა.

ბერტა ოპერის თეატრში მოეწყო ბალკონად. დილით რეპერტორები, საღამოთი წარმოდგენები. დაკავებული იყო თუ არა, იგი ვიქტორთან ერთად თეატრში იყო დღე და ღამე.

შინ არც საუბრე ეთდებოდა, არც სადილი, არც ვახშამი. რასაც წახებლთებდნენ, იმას შეჰქმნიდნენ. ასეთ პირობებში მძიმე, მოჭინველი შრომა, თან თბილისსა და თელავს შორის სიარული...

მუდამ ცალ ფეხზე ცხოვრება, მოუწყობლობა, ნერვულობა, დაღლილობა... ის ხომ მაინც არ იღებდა ხელს თავის საყვარელ სამსახურს. დამთავრა საფორტეპიანო კონცერტო, დასაღმთავრა ანუ აღებდა მას. მუშაობდა ახალ ოპერაზე, გზადაგზა, თბილისსა თუ თელავს

შორის, ღამლამობით, და როცა ეს საშინელი სენი შეეყარა, დაქანტულს, ვადალილს, შემოქმედებითი მუშაობით თუ ამ გაუთავებელი ხე-ტალით, რაღა თქმა უნდა, აღარაფართაა ძალა აღარ გააჩნდა, ამ მძიმე სენს შესწიდებოდა. კარგი გული აქვსო, რაღას უშველიდა მარტო კარგი გული... აღბათ ტყუილად არა თქვა ა წუწუნავამ თავის გამოსთხოვარ სიტყვებით:

„ჩვენ ცოტას ვზარუნავდით მასზე, ვიდრე ცოცხალი იყო და, აღბათ, ამიტომაც დავეტოვე მან ასე ადრე“.

... მართლაცადა, რად უნდა ყოფილიყო ვიქტორი ასე ზეღუფრიოდ? რად უნდა ეხეტიალა თელავსა და თბილისს შორის?

არაფერს გამოგოს ცუდად, თელავში ან, საზოგადოდ, რომელიმე რაიონში წასვლა და მუშაობა როდენ მიმანინა სათავალოდ შემოქმედისაფვის, პირიქით. თვითონ ვიქტორი წავიდა თავის ღროს ქვეყანაში (ორჭონიკიძეში) და დიდი ხალისითაც მუშაობდა. მაგრამ, აი, სწორედ ამ ხალისშია საქმე. ეხალისებოდა ამ სიმღერებზე მუშაობა. ახლა კი ახლად ცოლმერთული, თანაც ორი ასეთი ბოთლი სამუშაო ჰქონდა დასამთავრებელი — ოპერა და საფორტეპიანო კონცერტი—განა ახლა ის დრო იყო თბილისსა და თელავს შუა ევლო, ამის მაგივრად, რომ შინ მჭადიყო და თავისი საქმე ეეთებინა?

უღვათა, ვიქტორი რომ ასე დაღლილ-დაქანტულს არ ყოფილიყო. უკეთესი პირობები რომ ჰქონოდა ცხოვრებისა, იქნებ ისე ადვილად არ მოჩუოდა ეს საშინელი სენი. იქნებ უფრო შესკიდებოდა ავადმყოფობას. იქნებ არა სტყუოდა დეიდარქვი... რაღა ღრთხია...

ვიქტორი დასაფლავებულა დიდუბის ბანთოინში.

მის საფლავზე დგას შავი მარმარილოს ობელისკი, რომელზეც ამოტეიფრულია ვიქტორის სახე და ერთი მუსიკალური ფრაზა „ქეთო და კოტეღან“:

„დავცალოთ, ყანწები, დავცალოთ კიჭები“... თავისი შემოქმედების ხანმოკლე პერიოდში (სულ ოხუთმეტობდე წელიწადში) ვიქტორმა შექმნა სამი ოპერა „ქეთო და კოტე“, „ღუილა“, „ციხანა“, მეოთხე „ჩერმენი“ დაწმთავრებელი დარჩა. ვარდა ამისა, საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად, სიმფონიური პოემა „ივერია“ და მრავალი რომანსი.

მაგრამ ჩვენი ფართო საზოგადოებისათვის იგი, უპირველეს ყოვლისა, „ქეთო და კოტეს“, ამ, მართლაც, უკვდავი ოპერის ავტორია (იბიტომ, რომ თუ მან გაუძლო ნახევარ საუკუნეს, აღბათ, საუკუნეებსაც გაუძლებს).

ხდება ზოლმე ზეღუფების, ლიტერატურის ისტორიაში, რომ ხალხი ზოგიერთ შემოქმედს აღვიქვამს როგორც მარტო ერთს „სწარმოებინს ავტორს, თუნდაც მას ბევრი სხვა“... სწორედ ეს შექმნილი და არც თუ ისე უმნიშვნელო ცნობილი ინგლისელა მწერალა ვერომაგეროში გრთვან თავის წერნილი ალიარებს: საოცარია, რა გინდა კარგი მოთხრობა ან რომანი დავწერო და რა გინდა რა მოეწონოს იგი მკითხველს, მე მაინც ერთი მოთხრობის ავტორი ვარებდი. ეს არის: „სამნი ერთ ნავში, ძალი რომ არ ზავთვალთ“.

ასევე დავძაბათა ვიქტორს: ის, პირველ ყოვლისა, „ქეთო და კოტეს“ ავტორია. ამ მელოდირი, მხიარული, ოპტიმიზმით, სიცოცხლის ერთი აღსაყვს, ოპერის. ვფიქრობ, ეს არც თუ ისე ცოტაა. „ქეთო და კოტეში“ უკვე ვადალასა საქართველოს საზღვრებზე. იგი წარმატებით იდგება მოსკოვში, რიგაში, ერევანში, კიევიში, სევრდლოვსკში, ტაშვენტში... რა საჭიროა საბჭოთა კავშირის ყველა იმ ქალაქის ჩამოთვლა, სადაც „ქეთო და კოტე“ ახალსებს და ამზიარულებს ხალხს. და განა მარტო ჩვენს ქვეყანაში? არა, იგი უკვე საბჭოთა კავშირის ფარგლებსაც გასცდა. იგი დიდი წარმატებით იდგება პოლონეთში, პრატამა... ზელგრაიდთან, პარიზშიდან მოდის მოთხოვნები, ვაუზთავით ოპერა დასადგმვლად. როგორც უკვე ვთქვით, აქამდე დიდი დაბრკოლება იყო მისი დაუბეჭდაობა სასიხარულოა, რომ „ქეთო და კოტეს“ კლავირი ახლა უკვე იბეჭდება, და, აღბათ, დარაფერი შეუშლის ხელს მის გამარჯვებულ მსვლელობას. ამის წინათ პირფესორ ნიკო ყიფშიძის ოჯახში, იმ ადამიანის ოჯახში, რომელიც ვიქტორს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში თავს დასტრიალებდა, მიიხრეს, რომ ამერიკაში, ნიუ-იორკში მოისმინეს „ქეთო და კოტეს“ ნაწყვეტები საკონცერტო შესრულებით და, იქაც, როგორც ყოველთვის, ტაშითა და მოწონებით შეხედენ მას. დაახ, შორს წავიდა და, აღბათ, კიდევ უფრო შორს წავა „ქეთო და კოტე“.

მაშ, იდეგარბელის ვიქტორ დოლიძემ, გიღრე დღეგარბელ არის მისი პირში „ქეთო და კოტე“. დეე, კიდევ უფრო მეტი ძალა მოიკრიბოს, უფრო გაშვლოს ფრთები, უფრო შორს წავიდეს, სხვა ქვეყნებში დაიპყროს. ყველგან ვახალისოს და გაამზიარლოს ხალხი თავისი მჩქეფარე პემოით, სიყვითისა და სიმაართლისაღში სწრაფვით, თავისი ლუკი, ორიგინალურა, ვიქტორისეული მედიდურობითა და სიცოცხლის სიყვარულთ.





პახანაშ გოგანელი

## ყველა გზეურობაზე მაღალი

ცამდის ფრთებს ადგაფუნებენ  
ოქროცურვილი ველუბი,  
მიწას ზე აიტაცებენ  
საცაა ცისარტყელუბი.  
ქედებს უბიდან ტალღებად  
გადმოუმლიათ ხავერდი,  
დაძრულან მთები ერთიან  
და მოაქვთ ცისუარსკვლავეთი.  
რიონს, მტკვარსა და ალაზანს  
გადმოულახავთ ნაპირი  
და ნოემბერში შემოტყავთ  
აყვავებული აპრილი.

სადაც კი ცისკრის ვარდებმა  
მხრები ამაყად ასწიეს,  
სად ნაბერწყალი გრდემლს ასსლტა  
ფრთებზე უბრწყინავთ არწიეებს.  
და მაღლა-მაღლა რომ მოაქვთ  
ცვრიან ჯეჯილთა დღანით,  
ოყვანეზე ძლიერი,  
ყველა მწვერვალზე მაღალი,  
სულ ვაშად წინ-წინ მავალი,  
დაბლა არასდროს დახრილი,  
დიდი ოქტომბრის დროშაა  
და სიჭაბუკის ძახილი.

დასაბამიდან ასეა  
და მუდამ ასე იქნება,  
რაც სიყვარულშია შენდება,  
რაც სიყვარულში იქმნება,  
რასაც უხდება ღიმილი  
და შვენიის თვალის გახელა,

მას ჰქვია მარადისობა  
და სიჭაბუკე სახელად.  
გულს გაუმარჯოს, ჭაბუკ გულს,  
იწვის და რომ არ ბერდება  
და უემარობის წყურვილი  
უფრო და უფრო ედება.  
ეს უემარობის წყურვილი,  
ეს ლტოლვა, ეს შემართება,  
მამულო, შენი წინსვლაა  
და კიდევ უფრო ნათდება.  
მამულო, შენი დილაა  
და მისი ფარ-მუწარადი,  
სიჭაბუკე და საწმობლო  
არ გაიყოფა მარადის.  
გულს გაუმარჯოს, ჭაბუკ გულს,  
წინ რომ ეძახის ვაჟკაცებს,  
რომ ფუტყავს საბედნიეროდ  
და საწმობლოქთვის კაშკაშებს.

ვარ ოქტომბერის მლოცველი,  
რასაც არ უნდა ვნატობდე...  
სალამი, ახალ მიღწევებს  
და სიჭაბუკის ნანტომებს.  
აქედან ოთხივე მხარემდე,  
აქედან შორს კოსმოსამდე  
სულ მინდა მზის ნატერფალებს  
ია და ვარდი ჰმოსავდეს.  
გულს გაუმარჯოს, ჭაბუკ გულს  
სულ რომ სიკეთედ ინთება  
და წინ-წინ დროშად რომ მიაქვს  
დედა-საწმობლოს დიდება.

## პეზრეს ქაღაჩი

თუთარ სასახლეთა ტალანები  
და საუკუნო განძი.  
თუჯის მაღალი გალანები  
საზღვარს უდებენ მანძილს.

მეფურ ბრინჯაოს შეჯიბრება,  
ლელვის ფოთლების მწკრივი,  
წყლის ზედაპირის შებინდება  
და მარმარილოს სხივი.

პეტრე, პუშკინი და ლენინი,  
რევოლუციის გრდემლი,  
ისაკის ტაძრის ქვაფენილი  
ნატყვიარების ცრემლით.

მაინც ქალაქის უკვდავებას  
ყოველი ძეგლი ყვება,  
ქვეყნად ყველაფერს ედავება,  
რაც კი გათლილა ქვებად.

## შეხვედრა

შენ ეხლა წევხარ სხვის მიწაზე,  
მოსულო მტერო,  
ბრიყვია მიწა, თორემ შენს ძვლებს  
როგორ აიტანს,  
შუბლის ღარებში ჩაგრჩენია  
სვედა უთქმელი,  
ნეტავ საიდან?

იქნებ ალერსი გაგახსენდა  
ღედის ამჯერად,  
თუ მოგაგონდა კეთილ ზღაპრებს  
რომ გიმღეროდნენ,  
ან იქნებ ბავშვი შეგებრაღა  
ვიეტნამელი?  
ო, როგორ მინდა მჯეროდეს და  
მაინც არ მჯერა.

## მ რ ე ვ ა რ ი

პლიაქს უდაბნოს ჰქონდა იერი,  
ცა იყო მშვიდი, მე შენ გელოდი.  
ზღვა ბუტბუტებდა გულისხმიერად  
და თავებს ხრიდნენ მთები მელოტი.

და მე გელოდი. ლოდზე მარტივი  
ჩემი სინიშვლე ხელში მეჭირა.

შენ გაექვეცი ჩვენს სიმარტოვეს  
და შეგაკელდა სხვათა მეკლისმა.

შენ არ მოხვედი. ღრუბელი მგერივი  
გავსებულ ცურით ქვებზე წვებოდა,  
წყალს ისრუტავდა კენჭების მწკრივი  
და ცას მჭევარტლავდა გუნდი წეროთა.

## შ ე რ ე ბ ი

დაიფანტება ღამე ნისლივით  
და მთვარეული იის ბუნქები,  
მთვრალი—დაცვარულ სხივთა ისრებით,—  
ღამის ცასავით გადალურჯდება.

მასწავლე, როგორ გავხსნა სეზამი, —  
ყველა პირობა უკვე ასრულდა,  
ამ მოასთან ვდგავარ უკვე მესამედ,  
მინდა შევიდე და ვერ შევსულვარ.

ვარდია ლურჯი, ზღვა ვარდისფერი, —  
ნუ დაუბრუნებ განკუთვნილ ფერებს,  
ნუ, თორემ თვალებს გადავისერავ,  
დავმუნჯდები და ვვლარ ვიმღერებ.

## გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

იქ არის ბოლო,  
იქ სუფევს სიერცე,  
მივყვები შუაგს  
რცხილის და იფნის,  
და სადაც წყდება  
ეს წყვილი ზოლი,  
ცა ყვითელ ყვავილს  
ლურჯ მკერდზე იბნევს.



## ძველი ეპიკური ლირიკა

დასაწყისი ტაბილ-სასურველი გამოთქმებისა, რომლებიც  
დაწერილობაში იქნა ამოკითხული და რომლებიც  
ნახტ-სოგაჲს ეკუთვნის — ნეკროპოლის სწავლულს

1

თუ შენ ადგები  
და დაიას ეწვევი სახლში,  
თუ მიაშურებ დაიას სენაკს,  
განათლება და სახეს იცვლის სენაკი იგი,  
გამშვენდება ცაცკა-სიმღერით.  
ამასთან ერთად,  
ღვინოც ასეა, არ დაგაეიწყდეს.

მაშინ აჯობებ,  
დაამარცხებ მის ეშმაკობას  
და მთელი ღამე მიაგებ ჯილდოს.  
და გეტყვის იგი:  
„მო, მკლავებში გამომიწყვდიე!“  
გათუნდება და,  
ხვალაც, ზგაჲც, იგივე ჰქენი.

2

როდესაც შეგყავს  
სიმღერები დაიას ჭერქვეშ,  
თუ შენ მარტო ხარ  
და არაფერ არა გყავს გვერდით,  
მაშინ იქცევი  
მის მეჯლისზე სურვილისამებრ,  
ხოლო ჭარი  
გირლიანდებს კედელზე არხვეს.

ეშვება ზეცა,  
ებჯინება ანაზღად ჰაერს,  
ვფრ იმაგრებს ჰაერი ზეცას—

თვისი სურნელი მოაქვს შენთვის  
ზეცას, რომელიც  
ირგვლივ ყველას და ყველაფერს ათრობს.

აბა, შენ იცი,  
გაჯილდოებს ოქროს ქალღმერთი,  
გასაჩუქრებს და —  
შენც იგემე ცხოვრების სიტკბო!

3

კარგად ისერის  
ქამანდს ტურფა დაია,  
არ აწუნებს  
მენახირის ბაეი.  
ყელში მიჭერს  
ნაწნავების მარყუებს,  
თვალთა შუქით  
მიზიდავს და მითრევს,  
მარგალიტის  
ყელსაბამით მბორკავს  
და შებორკილს  
ბოლოს ბეჭდით მდაღავს.

4

რად ეუბნები შენს გულს ასე:  
„უინი მაქვს მისი, მწადის იგი,  
ჩახვევს მწყურის!“  
ვფიცავ ამონს, გავიხდი სამოსს,  
დავიჭერ ხელში  
და მოგივალ დედიშობილა.

5

წყლის პირად ვნახე ჩემი ძამია,  
იჯდა, ჩაუშვა ფეხები წყალში.  
წინ ედო ხონჩა პურ-ღვინით სახვე, —  
სისხანით ჩემი გულ-შვერდის მსგავსი.

6

ვაპმე, რა მიყო ჩემმა დაიამ.  
გაფრემდე განა? დამტოვა კართან,  
თვითონ კი უცბად შევიდა სახლში.  
ერთიც არ უთქვამს:  
„ჩემო კოხტავ, შინ შემო ჩემთან“.  
ყრუ იყო ჩემთვის  
წუხანდელ ღამეს.

7

მე ჩავიარე მის სახლთან ღამით.  
დავაკაკუნე, მაგრამ კარი არვინ გამოიღო.  
ჩინებული ბნელი ღამეა —  
ო, ურდულო, გაგალო მინდა!  
ო, კარო, ჩემო ბედისწერავ და  
ო, კარო, ჩემთვის კეთილთ სულო!  
იქ, შიგნით, საკლავს დაგიკლავენ და  
შენ, ყოვლადძლიერს, შემოგწირავენ!

რქადაგრეხილ ხარს —  
შენ დაგიკლავენ, კარო!  
ბოჩოლა მოზვერს —  
შენ დაგიკლავენ, კლიტვე!  
ჩასუქებულ ბატს —  
თქვენ, ანჯამებო!  
ქონს, გასაღებო,  
შენ შეგწირავენ!

საუკეთესო ნაჭრები ხარის —  
იტყვის ტურფა — ქარგლებს ხუროსას!  
რათა სახლს კარი დაჰკიდონ ჩალის,  
ურდული კი —  
უბრალო ლერწმის.

დაე, მობრძანდეს,  
როცა სურდეს, ჩემი ძამია,  
ღია დახვდება ყოველთვის კარი,  
სახლში — საწოლი, ძვირფასი ზეწრით,  
და საწოლში — ტურფა ქალწული...

და მეტყვის ტურფა, როცა მივალ:  
„სახლი გუთვნის ქალაქის თავს  
მარად და მარად“.

### მომთხმა ოსირისისა ისილას მიერ

ვარ — დედაკაცი,  
ტურფა თვისი მეუღლისათვის,  
ვარ ცოლი შენი, სატრფო შენი,  
გამოეშურე, ო, ჩემგენ ჩქარა,  
რადგან მწყურის მე შენი ხილვა.  
რაც შენი სახე აღარ მინახავს,  
ღამეა ირგვლივ,  
თუმცა რაი გვინათებს ციდან.  
მიწა და ზეცა შერევი ერთიმეორეს.  
დედამიწას ფვინება მწყურის ზეწარი.  
გულს მიკიდია ცეცხლი,  
რადგან შენ გამემიჯნე  
და ჩვენ შორის ჩადგა კედელი —  
თუმც არ ყოფილა ბოროტი ჩემში.  
ძღუელა ჩვენი ორი ქალაქი,  
აწეწილან და ნგრეულან გზები,

და გეძებ, გეძებ,  
რადგან მწყურის მე შენი ხილვა.  
ზღუდემორღვეულ ქალაქში ვდგავარ.  
შენსას ჩემდამი სიყვარულს ვწუხვარ.  
ო, მოდი ჩემთან, ნუ დარჩები  
ასე შორს ჩემგან!  
შესე გორს,  
შენს ვაგს,  
პირმშოს შენსას,  
სეტს ვრგვება მისი დასჯის ადგილისაკენ.  
მე შევაფარე ლერწმოვანებს შენი ჩვილი,  
შენი პირმშო, რათა შემდგომ გვეძია შური.  
ასე ძნელია  
ჩემთვის შენი შორს ყოფნა, ხოლო  
შენი სისხლისთვის და ხორცისთვის —  
აუტანელი.



ა ლ ა კ ი

I

ამენსათს,  
აწ განსვენებულ პაპერის ასულს, რომელიც  
ღვინის დაღვევას უარობს,  
წინ წარსდგომია მსახური,  
თასს აწვდის ღვინით საესეს,  
თან ვუბნება ასე:

„შესვი, გაამოს, დაითვერ და  
სული იცხოვნე.  
არც მე დავტოვებ დღეს მშვენიერს  
აღუნიშვნელად!  
ყური ათხოვე შენს დაიას,  
ეს გქონდეს წესად:  
ნუ იტყვი უარს —  
მოწვიდის უმალ მოქიდე ხელი“.

ღიაცი,  
რომელს ნუმბეჰი ჰქვია და აწ განსვენებულ  
პაპერის ნათესავია,  
მსახურს მიმართავს ასე:

„თვრამეტი თასი ამივსე და  
აქ მომიტანე.  
ხედავ, მწყურია,  
დავლიო და დავითვრე მინდა.  
ველი მიშრება, გულ-მუცელიც

თივასავით მშრალია ჩემი“.  
ძიძას, სახელად სენსენბეთს,  
ეპასუხება მსახური:

„შესვი, გაამოს, ნუ იტყვი უარს,  
მეც აქ ვარ და არ ჩამოგრჩები“.

მეორე ძიძა დასძენს:

„შესვი და ალაპს ნუ წაგვიხდენ,  
შესვი დროზე და, აქ გადმოშეც —  
მბრძანებულმა  
დასალევეად გვიბოძა იგი“.

2

სვი და ღვინოს ნუ მოიკლებ.  
სვი, ადიდე დღე მზიური.  
ბედნიერად, სვეძლიერად  
ჩაატარებ წუთისოფელს,  
ბოლოს წახვალ, მარადიულს  
მიადგები დიად ქალაქს,  
აქ დასტოვებ ხსოვნას, სახელს,  
იქ თვისტომი დაგიხედება,  
ყარიბს შემოგვეგებება  
და ჩაგიკრავს  
გულში.

მ ო ტ ქ მ ა ს ა ტ რ უ ო ზ ე

ძნელია წასვლა  
სამუდამო სიჩუმის მხარეს,  
ღვიძლი ჩვენი აწ და მარად  
ძლიით იცვლება.  
ვისაც ღამითაც არ ეძინა, ყოფილა ხშირად,  
ახლა დილიდან საღამომდე  
წევს გარინდული.

ქერუმთ უწყიან,  
თუ რა ვრცელი და რა ბნელია

საუკუნო განსვენების მაღალი სახლი.  
უკარფანჯროა სახლი იგი, უსინათლო,  
მოწყენილი და უმზეოა.

იქ არ მოგვბერენ  
ჩრდილოეთის ქარნი სივრილეს,  
მზე არ ამოდის სამუდამო სიჩუმის მხარეს.  
დღე დღეს მისდევს და,  
განისვენებ წყვილად ღამეში.

## ს ვ ა ვ ლ უ ლ თ ა ძ ე ბ ა



ბრძენი სწავლულნი,  
მწიგნობარნი გარდასულ დროთა,  
მემკვიდრენი თვითონ ღმერთების!  
წინასწარჭვრეტდნენ. ისინი მყობადს,  
მათი სახელი —  
საუკუნოდ ჩვენთან დარჩება.  
დააგვირგვინეს დრო თვისი და  
ისე წავიდნენ —  
ყველა მათი ნათესავი დავიწყებულა.

არ აუგიათ მათ სპილენძის პირამიდები  
და არც ბრინჯაო არ ამშვენებს  
აკლდამებს მათსას.  
არ დარჩენიათ მემკვიდრენი  
შესანახად მათი სახელის.  
მაგრამ სიმდიდრედ დაგვიტოვეს  
ქადაგებანი,  
თხზულებანი  
დაწერილნი საკუთარ ხელით.

სამღვთო წერილნი —  
ქურუმებად გადაექცნენ დამწერთ,  
ხოლო ფიქალნი, საწერელნი —  
გადექცნენ ძმებად.  
ქადაგებათა, მოძღვრებათა დიდი წიგნები  
იყო მათი პირამიდები.  
თანამეცხედრე იყო მათთვის —  
ტახტი ტინისა,  
ღერწმის კალმები — ჩვილები მათი.  
დიდი და მცირე —  
შვილებია მათი უკლებლივ,  
ვგ იმიტომ, რომ  
მწიგნობარი — თვალია ჩვენთვის.

აგებულ იქნენ შენობანი,  
მაგრამ დაიქცნენ,  
იყვნენ ქურუმნი,  
მაგრამ გაჰქრნენ ტაძრებთან ერთად,  
მათი ძველები  
დაფარულან მტერთა და მიწით,  
აკლდამები დავიწყებულან.  
მაგრამ ხმამალა წარმოთქვამენ  
სახელებს მათსას,  
რაკი არიან თხზულებანი  
დაწერილნი იმათის ხელით,  
და ხსოვნა მისი უკვდავია,  
ვინც წერდა წიგნებს.

გახდი სწავლული!  
ამოიჭრე ეს გულში, რათა  
შენი სახელიც ასეთივე სახელად დარჩეს.  
წიგნი მჯობნია ბრინჯაოს ძველის  
და ქვიტიკირის მტკიცე გალანის.  
წიგნი ტაძრებს და პირამიდებს  
აღძრავს მის გულში,  
ვინც სასობით იმეორებს დამწერის სახელს,  
რათა სუფევდეს ბავებზე ქუშმარიტება.

კაცი კვდება და  
მტრად იქცევა სხელი მისი,  
ჰქრებიან მისნი ნათესავნი და მახლობლნი,  
მაგრამ რჩებიან  
თხზულებანი ბრძენთა სწავლულთა  
და მოგონებას იმ კაცისა გვაძიულებენ.  
გვჭირდება წიგნი  
სახლზე მეტად, რომელსაც ვაგებთ,  
გვერჩიოს წიგნი  
დასავლეთით შალალ აკლდამებს,  
გვერჩიოს წიგნი  
სასახლეებს აღმოსავლეთით  
და ძველთა ყოველთ  
დიდებულთა ტაძართა შინა. —

არის კი ქვეყნად  
ახლა ვინმე, ჯედუფტორს ჰგავდეს?  
არის კი ვინმე,  
იმხოთეფის მსგავსი და ტოლი?  
არღა არიან დღეს, ჩვენს დროში,  
ისეთები, როგორც ნეფრი  
და ხეთი იყვნენ —  
ო, პირველნი პირველთა შორის.  
მე თვითონ გეტყვი,  
მე გეტყვი და მე შეგახსენებ  
პტახემჯხუთის და  
ხახეპერა-სენებას სახელს.  
არის კი ვინმე  
პტახოთეფის, კერასუს ღირსი?  
წინასწარჭვრეტდნენ ისინი მყობადს, —  
ავიხდა, რასაც მეტყველებდნენ  
მათი ბავნი.  
ეს ყველაფერი  
მათს წიგნებში წერია ზუსტად.  
ეს ყველაფერი  
ხალხში დადის დიდებულ სიტყვად.  
სხვათა და სხვათა კაცთა შვილნი

მემკვიდრენი გამხდარან მათნი,  
თითქოსდა მართლა  
საკუთარი შვილები იყვნენ:

მისნობა თვისი დაუმალეს ადამიანებს,  
მაგრამ მოძღვრებას

აკითხულობენ ისინი მათსას.

წარვიდნენ, გაჰქრა მათთან ერთად  
მათი სახელი,

აწ მოგონებას

თხზულებანი გვაიძულებენ.

## ბულგატხილი კაცის ღვაპი საკუთარ სულთან

1

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:  
ავადმყოფის განკურნებად, შვებად  
და წამების  
ტყვეობიდან დახსნად.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:  
სურნელოვან ზმირინად,  
და ტკაცუნა  
აფრის ჩრდილში ჯდომად.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:  
მყუდროებად, ფშვინად ტკბილი ლოტოსის,  
მათრობელა  
ციხფერ სანაპიროდ.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:  
გათელილ და უკვე განვლილ გზად —  
ლაშქრობიდან  
დაბრუნებად შინ.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:  
ზეყის გახსნად, ფარულ ჭემშარიტების  
გაგებად და  
წედომად.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:  
მშობელ სახლად — საპყრობილის ნაცვლად,  
ათასწლოვან პატიმრობის შემდეგ.

2

ჭემშარიტად, ამ ქვეყნიდან  
ვინც გადავა იმ ქვეყანას,  
უკვდავ ღმერთად გადიქცევა,  
ბოროტს სძლევეს და მისაგებელს  
მიაგებს.

ჭემშარიტად, ამ ქვეყნიდან  
ვინც გადავა იმ ქვეყანას,  
მზიურ ნავით ცაში გასწევს,  
მადლს იქიდან მოგვაშუქებს  
ტაძართათვის სასურველს.

ჭემშარიტად, ამ ქვეყნიდან  
ვინც გადავა იმ ქვეყანას,  
ბრძენთა დასში აღმოჩნდება  
და მასლაათს გაუმართავს  
რას —  
ღვთაებას მზისას.

## მეჯლისი ბალში

ჰა, შენ ლოტოსი, ჰა, ყვავილი  
მოწყვეტილი შენსავე ბალში —  
ვერ მიიტაცებს,  
ბალი იგი კვლავაც შენია.  
დაე, მოჰქონდეს  
შენს ბაღს შენთვის ყოვლი სიკეთე,  
დაე, ნაყოფი  
შიგ მწიფდეს შენთვის,

რათა შეგეძლოს  
დატკებ მისგან მოწვედილი ძღვენიო.  
გულს გიცოცხლებენ  
შენ ყვავილნი შენი ბაღისა.  
განგიგრილებენ  
სხეულს ზეთა ჩრდილნი ამონი.  
მარად იქმ იმას, რასაც ისურვებ,  
რაიც შენს გულს გაუზარდება.



## პირველსიტყვა სინარული მომნიშავლისა

ს ი მ ლ ი რ ა   კ ი რ ვ ი ლ ი



სწორუპოვარი ერთი ქალწული  
მსურს, სასურველი არის ჩემთვის  
ყველაზე მეტად, —  
მაგონებს ვარსკვლავს შობა ღამისას  
ბედნიერი წლის დასაწყისში.

შუქს აფრქვევს მისი სათნოება,  
მზინვარებს მისი სახის კანი,  
სულს ათრობს მისი შემოხედვა,  
ტკბილმოუბრობენ ბაგეები  
თავდაჭერილად.

ელვარე მკერდი,  
ზედ კისერი ამაყად მშვენი...  
ხალასია და უტყუარი გიშერი თმების.  
თოთო ხელები  
დაბურცვილი, მჯობი ოქროსი,  
თლილი თითები,

შესადარი ლოტოსის გვირგვინს.  
დიდებულია  
მიხრა-მოხრა, მსვლელობა მისი,  
ხოლო გზადაგზა თუქოები მოხდენილები  
თითქოს პატრონის სიტურფეზე  
მასლაათობენ.  
ჩამწყვდება გული,  
დიდებულად თავს რომ დამიკრავს.

შემხვედრ ვაჟკაცებს  
აიძულებს შებრუნდნენ მისკენ,  
გაყოლონ მიმავალს თვალთ.  
ბედნიერია და ტოლებში გამორჩეული  
ვაგი, ვისაც ის გაუღიმებს.

საკმარისია,  
გამოვიდეს შინიდან გარეთ —  
ყოველ ნაბიჯზე,  
როგორც ქალმერთს, ესალმებიან.

ს ი მ ლ ი რ ა   მ ი ო რ ა

ორ სიტყვას იტყვის  
სხვათა შორის ჩემი მიჯნური,  
იტყვის და, ბერავს  
უცბად გული შემოქანდება.  
ძილში მამოდებს მე მისი ხმა  
ავადმყოფსავით.  
მხარდამხარ დგანან ჩვენი სახლები, —  
ჯერ არ დამიდგამს  
მის ეზოში აქამდე ფეხი.

ჩარეულიყო დედაჩემი საქმეში ნეტავ,  
აეკრძალა თვალის ჭყვტა და მოშტერება.  
ლამობს და ლამობს,  
ცდილობს გული მის დავიწყებას,  
ნაცვლად კი — ვაი,  
სიყვარულის ცეცხლით ბრიალებს!

რა გულქვა არის!  
დახე მაგას, რა უგულოა!

მინდა მივიდე,  
ჩავეშვიო, ჩაეიკრა გულში,  
მინდა მოვიდეც,  
ჩემი თავი დედაჩემს სთხოვოს,  
ყოლად მომეო, —  
ის კი, რა ვქნა, ვერაფერს ხელება.

თუ ბედისწერამ  
ქვეყნად ქალთა ოქროს მეოხად  
შენ განგიკუთვნა ჩემი თავი,  
მიჯნურო ჩემო,  
მოდი, გიხილო  
და ვილხინო შენი მშვენებით,  
მოდი, დედ-მამა გამიხალისო,

მოდი, მოაგვარო აღტაცება  
უცხოთა თვალებს,  
შენ, ჩემო ტკბილო  
ტყუპისცალო და ორეულო!



ს ი მ ლ ი რ ა მ ი ნ ა მ ი

სამი სურვილი ამ ჩემს გულში შეერთებულა:  
ტაძარში შევეალ, ვნახავ ხატორს,  
და მას, ოქროსას,  
თაყვანს ვცემ და შევევედრები.  
შემომეყარა გზაზე მეტი —  
ეტლში ჯდა თვისი  
ყმაწვილკაცებით გარშემორტყმული.

რალა ვქნა ახლა?  
ავიციდინო შეხედრა როგორ,  
ან რანაირად ჩავეურო  
საბრალომ გვერდით?  
გზა მდინარეს ჰგავს:  
ვაი, ფეხქვეშ მიწა მეცლება.

ო, დაცხრი, გულო,  
გულო ჩემი გამოუცდელი!  
რისთვის მაქვს შენ,  
წინ აღვედგე ნეტავი მეჭის?  
განა არა სჯობს,  
რა ერთმანეთს გავუსწორდებით,  
გავცე თავი და  
გადავხედო წყალობის თვალით?

„ეარ გაჩენილი შენს სალხენად!“ —  
ეს ვაგრძობდინო,  
და ისიც უმალ სასახლეში დამაბინავებს,  
იქ, სადაც ახლავს დიდებული ამაღა თვისი.  
სიხარულისგან  
სახელს ჩემსას აღიდებს სამეზის.

ს ი მ ლ ი რ ა მ ი ო თ ხ ი

სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც მიმატებს  
გულის ფრიალი,  
სიყვარულზე როდესაც ვფიქრობ.  
საშველს არ მაძლევს, ნაბიჯს მირევს,  
აჩქარდება, ხტის დაბმულივით.

ვერ გადამიცივამს ტანზე კაბა,  
ვერ ამიღია ხელში მართა,  
ვერ გამიქნია წარბი სწრაფად,  
ვერ წამიცნია უმარილი სურნელოვანი!

გამახსენდება მიჯნური და —  
შეხტება მკერდქვეშ:  
„ნუ აყოვნებო,  
წინ, სასურველ მიზნისკენ გასწი!“  
ო, დაცხრი, გულო უგუნურო,

დაცხრი, დაწყნარდი,  
ნუ მაწამებ  
გიჟური როკვით.

ის თვითონ მოვა,  
მოვა შენთან, მოვა სატრფო და  
ცნობისმოყვარე თან მოჰყვება  
ხალხის თვალები.  
ნუ იზამ ასე,  
რომ დამძრახონ: „მთლად შეშალაო,  
გადარიაო სიყვარულმა ჰკუაზე ქალი!“

ო, დაცხრი, გულო,  
სიყვარულში მომთმენი იყავ:  
სდევ და, სულ ცოტა,  
ოთხჯერ მაინც უკელი ძვერას!

ს ი მ ლ ი რ ა მ ი ხ ე თ ი

ცათა მბრძანებელს  
ხუთი ვუთხარ საგალობელი,  
წარესდევქ, თაყვანი ვეცი ხატორს,  
ქალღმერთს ოქროსას.  
ცად აღვაგლინე  
ქება ყოვლადღმთიერის მიმართ,

აღვსებულმა მადლიერებით.  
ლოცვა-ვედრება ყურად იღო  
ოქროს ქალღმერთმა  
და ჩემი ნახვა შთააგონა  
ქალბატონს ჩემსას.  
ბედნიერება მერგო წილად განუზომელი —  
შენ მეწვია

ტურფა დაია!  
 აღტაცება და სიამაყე მე დამეუფლა  
 როცა მომესმა:  
 „მოდის! მოდის! შეხეთ, ის არის!“  
 გამოჩნდა ის და,  
 მისი ეშხით აღმოდებულმა  
 ჭაბუკებმა დახარეს თავი.

ცათა მბრძანებელს  
 მე ვუკმით გუნდრუქსაკმელს  
 და მანაც ტურფა  
 ძღენად სამი დღით გამომიგზავნა.  
 ვაფიცე ღმერთი, შეტს არ დარჩა.  
 ახლა მარტო ვარ.  
 მარტოდმარტო, მესუთუ დღეა.

### ს ი მ ლ ი რ ა მ ი ა ქ ვ ს ი

ექვსი ნაბიჯი იყო ჩემგან ღია კარამდე,  
 როცა მის-ეზოს  
 ჩავუარე შემთხვევით ერთხელ.  
 დედის მახლობლად იდგა იგი,  
 დები და ძმები.  
 ეტმასნებოდნენ,  
 ეხვეოდნენ ჭაბუკს ალერსით.

გამვლელ-გამომვლელს  
 უნებურად ემსჭვალეობდა  
 გულს სასოება —  
 შემკობილის ყოვლი სიკეთით,  
 მალალ ღირსებით მირონცხებულ,  
 კეთილშობილ და სწორუპოვარ  
 ჭაბუკისადმი.

რომ ჩავუარე, გადმომკრა თვალი,  
 თვალი შემავლო ჭაბუკმა სწრაფად.  
 მე შევისწარი მისი მზერა და  
 სიხარულით ვეწიე ზეცას.

ზეიმს გადაუხდი მე ჩემს ქალღმერთს.  
 მკერდში გული ო, როგორ ბორცავს!  
 ვეტყვი ოქროსას:  
 „ნება მომეც ექვსი ღამე ვუცქირო რჩეულს,  
 ექვსივე ღამეს  
 არ მოეხუჭო დილაამდე თვალი“.

ახლა ვინატრი,  
 გულისნადებს მიმიხედდეს დედა.  
 ო, ნუ აყოვნებ,  
 გვევდრები, ოქროს ქალღმერთო,  
 შენ აღამალე დედის გული  
 მიხვედრის ნიჭით!  
 და აღსრულდება —  
 გულისწორის ოჯახში შევალ.

ჯალაბის თვალწინ გადაგვოცნი.  
 მე არც შინაურს,  
 არც გარეულს არ ვერიდები.  
 დაე, ხალხს შურდეს,  
 რომ შემიცნობს ჩემი რჩეული!

### ს ი მ ლ ი რ ა მ ე შ ვ ი დ ე

მეშვიდე დღეა, არ მინახავს ჩემი მიჯნური.  
 ავადმყოფობამ დამჯაბნა და დამრია ხელი.  
 დამძიმებულა ჩემი სხეული.  
 გული მიმდის, დაჯვარგე გონი.

მოდინ ბრძენი აჭიმები —  
 რას ვაქნევ წამალს,  
 სნეულისათვის მათს წამლებში  
 რა ჰყრია ნეტავ?  
 საგონებელში ჩავარდნილან შემლოცველნი,  
 ვერა და ვერა,  
 ვერ მიმხვდარან სატკივარს ჩემსას.

სახელი ჩემი დაიასი მითხარით ყურში,  
 ჩამიჩურჩულეთ —  
 მოვრჩები და ავდგები ზეზე-  
 მოვიდეს მისგან მოციქული და,  
 გაცოცხლდება ეს ჩემი გული.

შორს ყოველგვარი წამალი ჩემგან!  
 შორს წიგნები სააქიმონი!  
 ავგაროზია — ჩემთვის სატრფო:  
 მისი ხილვით მე ვარ ჯანმრთელი.

ახალგაზრდობას —  
 შემოხედვა მანიჭებს მისი,

მის ლაპარაკში,  
 მის სიტყვებში — გპოულობ ძალას,  
 მის მკლავებშია —

უკვდავების წამალი ჩემთვის,  
 შემიდე დღეა,  
 ჩემი ტურფა არა და არ ჩანს.



წილოსის ქება

1

დიდება, ხაპი,  
 დიდება შენდა!  
 შენ ამ მიწაზე მოხვედი, ხაპი,  
 შენ მოგვევლინე. რომ განაცოცხლო,  
 განაცხოველო გვიპტე ჩვენი.  
 ვით დღის წიაღში არა ჩანს ღამე,  
 ასევე არ ჩანს დინება მისი,  
 როცა მსახურნი მსახურებენ და  
 ალაგლენენ მისღამი ქებას.  
 რწყავს იგი მიწდგრებს,  
 მზისაგან შექმნილს,  
 რათა შთაბეროს სიცოცხლე ყოველს;  
 რწყავს იგი ხმელეთს,  
 რწყავს უდაბნოებს,  
 ეს მისი ცვარი მოცივია ციდან;  
 მას უფვარს მიწა,  
 ნებარს იგი მართავს,  
 ის აღაყვავებს ხელობებს პტასას.

2

იგია თვეზთა მბრძანებელი,  
 იგი ჰკარნახობს  
 დაიბრან და მიაშურონ ჭორომებს მისას.  
 როცა ის არ ჩანს, არ ჩანს ფრინველიც,  
 არ დასტრიალებს ბრინჯის მთესველს  
 და მომკელს თაეზე.  
 როცა ისვენებს მისი თითები  
 და როცა მისი ნესტოები დაგმანულია,  
 ლატაკდება და გლახაკდება ადამიანი.  
 როცა ასეა, პარტახდება აგრეთვე ზეცა —  
 ზეცა ღმერთების სამყოფელი —  
 და მაშინ დასტად  
 ისოცებიან ქვეყნად ხალხები.

3

როცა ყველაზე საშინელი ეს საქმე ხდება,  
 თავს ატყდება დედამიწას უბედურება, —  
 ილუბება დიდი და მცირე.  
 მაგრამ გროვდება,

გჯროდ სროვდება,  
 ყიჭინებს ხალხი  
 თუ ტბორდება და  
 ანლოვდება თქრიალით ხაპი.  
 როდესაც ხნუმი წარმოქმნის მას და  
 როდესაც იგი გამოჩნდება, ზემოობს მიწა,  
 განისხარებს არსი ყოველი,  
 ყოველი მალა ხერხემლისა  
 ხარხარებს ღხენით,  
 გამოაჩენს სიცილი კბილებს.

4

მარჩენალია დოვლათიანი,  
 შემოქმედია მშვენიერების.  
 მეუფე ძალთა, სურნელებათა,  
 იგი, ვისაც შეჰხარის ყველა,  
 ვინც შობს ბალახს ჯოგებისათვის,  
 ვინც მფარველია თვითონ ღმერთის  
 და გულით ახსოვს უფლისათვის  
 შესაწირავი,  
 სადაც არ უნდა იყოს თვითონ:  
 ქვესკნულში, ცაში, დედამიწაზე.  
 ამურ და იმურ ხელთ უპყრია  
 ორთაე მიწა, ორთაე ვევიპტე.  
 ის ავსებს ბედლებს მარცვლეულით  
 და ღარიბ-ღატაკთ ის ანიჭებს  
 სარჩოს და დოვლათს.

5

მისი ნიჭია  
 ყვაეილობის ნიჭი ხეთათვის,  
 ხეთა ურიცხვთა იგი არის ქვეყნად მშობელი  
 ყველასთვის, ვისაც მათი ხილვა  
 სურს და უხარის.  
 გემთმშენებელი ის არის ჩვენთვის,  
 მეცადინობა მას ქვისმთლელთა  
 არა სჭირდება,  
 თეთრი გვირგვინით  
 ქანდაკებებს ის თვითონ ამკობს.  
 უხილავია, არ სჭირდება

მსახურნი და ბაჟის ამწრეფნი,  
საიდუმლონი მისი არსის — გონუწვედენია,  
არავინ უწყის ქვეყნად მისი სადაურობა  
და თხზულებათა ამოკითხვით  
მისთა მღვიმეთა არვის ძალუძს  
ქვეყნად მიგნება.

## 6

არ არსებობენ ქვეყნად ბედლები  
დამტყენი შენგან მოწვედილი ძღვენის,  
მბრძანებელი შენს გულს არა ჰყავს.  
შემოგზარიათ  
ყმაწვილნი და ჭაბუკნი შენნი,  
გადიდებენ ხელმწიფუსავით.  
ურყვია და ურღვევია კანონი შენი.  
ზემოს თუ ქვემოს  
მოაკითხავ ორთავ ვეგობატეს.  
ესარბებიან შენს წყალს  
თვალნი ყოველი კაცის.  
მშვენიერება ამრავლო ქვეყნად  
მთელი გულით ესწრაფვი ამას.

## 7

როცა ქადანნი გვაუწყებენ შენს გამოჩენას,  
ყოველი კაცი ილხენს და გულში  
სიხარული აღარ ეტყვია.  
მაკედ გახლავან ნიანგები,  
მშობიარობა ეწყება ნეიტს.  
ტურფაა შენი ცხრავე ღმერთი  
ქელიოპოლის.

განაძლიერებს ხალხს მოსავალი,  
ჯანზე მოიყვანს: ერთს — დაატკობს,  
სხვას — განაძღვებს და დააპურებს,  
და აღარ რჩება მათ საქიშპო  
ურთიერთ შორის.  
შენ სხვისთვის იღვწი, ძღვენს უმზადებ,  
არავინ არის შენი სადარი —  
არისო მზღვარი, იგი სხვააო, —  
ხაპი, შენზე ამობენ კაცნი.

## 8

გამომავალი წვედიადიდან, ნათლის  
მომფენი,  
ის — სიმსუქნე თვისი ჯოგების,  
ის — ძლიერება,  
შემოქმედი ამქვეყნად ყოვლის.  
არავინ არის ქვეყანაზე, მას არ იცნობდეს.  
ადამიანებს ასაჩუქრებს, რათა ისინი

ასრულებდნენ განზრახვებს მისას.

მხენელ-მთესველისკენ  
მისი გული მიპურობილია,  
ვალერსება ყანებს თვისას სადამო ხანად.  
მეგობარია იგი პტასი,  
მასთან ერთად იღვწის და შრომობს,  
შემოქმედია საღვთო წერილთა  
ამიერ, ქვემო ვეგობატემი  
შემოქმედი ის არის ყოვლის.

## 9

ხარ სასურველი, მოდიხარ და  
მიწის გულში ჩუხჩუხით აღწევ,  
ეთხოვები შენს საიდუმლოს.  
როცა შენ წყრები, თევზი ქრება,  
ელიან კაცნი წყალს ვეებას,  
მაშინ მდიდარი  
გლახაკისგან არ განირჩევა,  
მაშინ ხელსაწყო-იარაღებით  
ყანებისაკენ მიმავალი  
შესამჩნევია კაცი ყოველი.  
შინ არ დარჩება მეგობარი მეგობრისათვის.  
ვის, ვის ახსოვს სამოსის ჩაცმა.  
არ ირთვებიან ყმაწვილები —  
დიდგვაროვან ოჯახთა შვილნი.  
შინ ვინ დარჩება, ვისაც წუსელ  
წყლის ჩაესმა მოახლოება.  
და, წყალდიღობა იწყებოა,  
ზმირინს იცხვებს სიხარულით კაცი ყოველი.

## 10.

გვიმტკიცებს იგი ჭეშმარიტებას,  
დახარბებიან სიტყვა-თქმაში  
რომელსაც კაცნი:

„განემზადეთ და მზად იყავ —  
მიგიღებს ზეცა“.

მაშინ, მიიღებს თვითონ ნილოსს  
მწვანე ზღვა დიდი.

წარჩინებულნი მიჰყვებიან  
ლატაკთ კვალდაკვალ.

ცოცხალთ ამქვეყნად ნებრა მართავს  
და ღმერთებიც მას აღიღებენ.

არ ჩანს ფრინველი მომფრინავი  
უდაბნოს მხრიდან.

შენს ხელეებს ახსოვს ოქრო, როცა  
ყალიბებში ვერცხლი ასხია.

ვინ ჭამს ლილა-ქეას,  
მარცვლული მწიფეა როცა.

11

ტაშს შენ გიკრავენ,  
წკრიალებენ შენთვის არფები.  
შემოგზარიან ტაბუკები, შეილნი შენნი,  
მოსაგალი როცა შემოდის,  
ღირსეულად შეგასხამენ ხოტბა-დიდებას.  
როდესაც მოგაქვს ათასგვარი ფასეულობა,  
იკაზმება და ირთვება მიწა.  
ხომალდებს შენსას  
სარგებელი მოაქვს კაცთათვის.  
ფეხმძიმეთათვის  
ხარ სიცოცხლის მომნიჭებელი,  
მოსიყვარულე  
ხარ ურიცხვის ჯოგების შენის.

12

როცა შედისხარ შენ ქალაქად,  
დღესასწაულობს, ილხენს ძვირფას  
ნივთთა მფლობელი,  
ლატაკი ამბობს:  
„აჰ, ნეტავი ლოტოსი მომცა!“  
ერთიანია ყოველივე დედამიწაზე.  
მცენარეული ყველაფერი  
შეიღთა შენთა კუთვნილებაა.  
როცა რჩენილნი  
გივიწყებენ მარჩენალს თვისას,  
მაშინ დოვლათი  
ფეხს აღიკვეთს მათი კერიდან  
და დედამიწას თავს ატყდება უბედურება.

13.

ო, ხაპი! როცა აღიდდები,  
მოაქვთ შენთვის შესაწირავი,

დასაკლავად მოჰყავთ ხარები,  
ასუქებენ საშენოდ ფრინველს,  
შენთვის იჭერენ უდაბნოში  
სამსხვერპლოდ ლომებს  
და მშვენიერს გიძღვნიან ნივთებს.  
და, ხაპი, როგორც  
შენთვის მოაქვთ შესაწირავი,  
ასევე მოაქვთ იგი ყველა  
ჩვენი ღმერთისთვის:  
სწირავენ ციურ ნელსაცხებლებს,  
ცეცხლს,  
ნახირს,  
ფრინველს.  
ხაპიმ გაბურღა  
შორს, ფიბიის კლდეში ქვაბები,  
მაგრამ ქვესკნელში არვინ იცის  
სახელი მისი.  
შესთხოვენ კაცნი  
ღმერთებს, რადგან შიში აქვთ მისი,  
ეინც მუფფა ყოველივე მიწიერისა,  
გვედრებიან აყვავებას ორთავ ნაპირის.  
მაშ, აყვავდი, აყვავდი, ხაპი.  
ო, იყვავილე, ველთა შენთა მწვანილოვანთა  
ნაყოფით კაცთა და პირუტყვთა  
მაცოცხლებელო.  
მაშ, აყვავდი, აყვავდი, ხაპი.  
ო, იყვავილე, იყვავილე,  
მშვენიერო შენის ნაყოფით.

გასრულდა შრომა,  
გავასრულე ესე კეთილად  
ორთავ სასახლის გადამწერმა,  
სახელად კავაბუმ.





კოსტანბული გამსახელობა

# შენიშვნები დსავლეთის ლიტერატურათა გამომცემისათვის

## 1. ახალი პერიოდი

ჩვენს წინაშე უბოლოდ აღმოცენდა — მეოცე საუკუნის ლიტერატურის მიმოხილვა. მწიგნობართა სამანების დადება და შეფასება ლიტერატურათა, რომელთა ფორმაცია ქვერაც არ დასრულებულა.

ეს პოეტები და მწერლები, რომელთა შემოქმედებას მიმოხილვა ჩვენ მოგვიხდება, მეტწილად ევროპული არიან და ამიტომაც მათ ვერ არ მოუთავებიათ სათქმელი. ზოგიერთი დიდი და ნაყოფიერი მწერალი, არა ისეთი, რომლის გამო რუსთაველი იტყოდა, განა თუ სათქვამს ერთი ორი, უმზგავსო და შორიშორი. ათეული წლების მანძილზე იცვლის მსოფლმხედველობას, უკიდურესობიდან უკიდურესობას ეხლება, განსაზღვრული სულიერი კატასტროფების შედეგად იძულებულია შესცვალოს აზროვნებისა და შემოქმედების გეზი. ეს მომენტი ხელს უშლის დამკვირვებელსა და მისტიკოსს.

ჩვენი დავიწყების საგანია ლიტერატურის დასავლეთის მწიგნობართა გერმანიისა, საფრანგეთის და ინგლისისა. ამ ერთა ლიტერატურებს უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები აქვთ.

წინასწარ ითქვას: პოეზიაში მე ვგულისხმობ რეალურ ლირიულ ლექსს, ეპიურ პოემას, ისე ღრამას, რომანსა და ნოველას. განა ვინ იტყვის პოეზია არ იყოს უზუნაესი ბალზაჟის და ტოლსტოის რომანები, იბსენის და პოლ კლოდელის ღრამები.

გარდა ხსენებული სამი ერისა, დასავლეთის პოეზიის განვითარებაზე ენერგიულ ზეგავლენას ახდენდნენ საკმაოდ მცირერიცხოვანი და არც ისე ძველი ლიტერატურული ტრადიციებით აღჭურვილ ერების პოეტები და მწერლები.

მე ვგულისხმობ დანიელებს, ნორვეგიელებს, ბელგიელებსა და შვედებს.

ეს სტრაქონები დაიწერა იმ სამიწილი ომის პერიოდში, როცა გამხეცებული ფაშისმი დღისით, მზისით თვალეში აფურთხებდა ყველაფერს, რაც აქამდის წმინდად შიანდა კაცობრიობას.

როცა აუტოლაფეს უმართავდნენ თვით უღიღეს მწერლებს იმავე გერმანიისას, სამშობლოდან გამხეცებულნი იყვნენ გერმანიის უწარჩინებულესი მწერლები, დიდოსტატები გერმანული სიტყვისა.

როცა გათავხედებული გენერლები უტიფრად უბრძანებდნენ გამხეცებულ სოლდატებს: აღმოსავლეთის ზელოვნებათა ძეგლები დამწიფით, რადგან მათ არავითარი მნიშვნელობა არ მიერწყვიტოთ, ისეთ სამიწილ ეპოქაში, როცა მთელი ქვეყანის თვალთა წინაშე შეავინეს მარადის დაუვიწყარი ბრწყინვალე დიდოსტატის, ლეონ ტოლსტოის სამარე.

ცხადია, მხეცობისა და კანიბალიზმის შეჭობაში ჩვენ არ გავყვებით ფაშისტებს. ამ ბარბაროსების თავებს გადაღმა ჩვენ ვხედავთ გერმანიის მშრომელ ხალხს, ჩვენ მუდამ მუგავეყვებაჯარხითო ურთიერთისაგან ფაშისტების პოეზიის უმგავრო მგდაფერი, გერმანული უახლესი პოეზიის კორიფეებისაგან.

ჩვენს ქვეყანაში დღესაც სიყვარულით კითხულობენ, აქვეყნებენ და პიტვის მიაგებენ დანტეს, გოტეს, გერმანულ პოეზიას, იტალიურ ნოველებსა და რიპარდ ვაგნერის მუსიკასაც სიამოვნებით ვისმენთ. რადგან ეს ყოველივე პიტლერისა და მუსოლინის სამკვიდრო როლია აზამედ მძელ კაცობრიობის გულოვნის. ისევე ჩვენს საგანს რომ მიუებრუნდეთ, ჩვენს ამოცანას მრავალი დაბრკოლება ელოდება წინ.

როცა XIX ან XVIII და უფრო ძველი საუკუნეების პოეზიას ეხებით, ამ უოველივე უკვე გამოჩნდება, წარსულს მწერლობის შეფასება მოთხოვნილია, ბოლოს სხენებულ საუკუნეთა მწერლობა თარგმნილია და გამოცემულია.

ერთი ლიტერატურა არსებობს ძველი პერიოდების მწერალთა გარემო და, რაც უმთავრესია, სხენებულ პოეტებს ვაღილი აქვთ ხელოვნების უდიდესი გამოკვლევის—დრამის, ხანდაზმულობის საჭირო ეტაპები.

ხოლო უახლესი და თანამედროველი შეფასებას მედამ თან ახლავს შემფასებლის თვალში გადაჭარბებით შეფასების და ან ჭეროვანად ზერ დაფასების რისკი.

ჩვენ ვვახსოვს ფრანგი რომანისტის სტენდალის წინასწარმეტყველური ანდერძი, მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მომხიენელი წესი ადგას ფრანგულ ლიტერატურაში.

და ეს წინათქმა ჩვენს თვალწინ ახდა. ერთი მომენტით არ დაგვაიწყდეს. ის მწერლობა, რომლის მიმოხილვას ჩვენ ეწვევით, ბერძენთულ, კამიტალისტურ ქვეყნებშია აღმოცენებული.

ეს უკვე აღარაა მეთვრამეტე და უფრო ადრინი საუკუნეების ევროპა, როცა პოეტები მეფეებს. პერსონებს და ბარონების კარზე იხვედნენ მოცალეობას, ხელოვნებისათვის ვაზომ საჭიროს. ჩვენს წინაშეა კამიტალისტური ევროპა, რომელიც ემყარება უპირატესად ფულად ურთიერთობებს. მშირად ზოგიერთ მწერალს მფარველობას უწევდა დიდი საეკონომიკო სარგებლობები და სავაჭრო ტრესტები, ზოგ მათგანს საკუთარი ორგანოები აქვთ.

თანამედროვე ევროპაში მეხუთე დიდ სახელმწიფოს უწოდებდნენ პრესსას, სწორედ ეს პრესსა გამოყენებული აქვს ზოგს როგორც ტრამპლინი მსოფლიო სახელის მოსახვეჭად.

სინანულის ვრძობას იწვევს წერილებში გაპარული ცალკეული უზუსტობანი. ავტორი ზოგჯერ ლატობს თავის მართებულ პრინციპს (თ-th) და წერს „ნაბელას“ (გვ. 1387) და „კეტალთარს“ (გვ. 1083). იყენებს მოძველებულ ტრანსკრიპციის (წერს „ტფილის“, გვ. 114, 252, 899 და სხვ.). 1832 წლის თიადანაწერული შეთქმულება ზოგჯერ მოხსენებულია როგორც „adelsverschworung“ (გვ. 1002), ზოგჯერ კი —

მეტად — „adelsaufstand“-ად. (იქვე). თავადხანურულ აჯანყებად. არის სხვა კორექტურული ხასიათის ხარვეზებიც: წერია S. Khabadze (გვ. 1154), ნათელა ბ. ვაიბახის; ავირ წერეთლისათვის დართულ „ბიბლიოგრაფიაში“ ქართული ტრანსკრიფციით დაწერილი სხელწოდების „Tschemi natserebi“ (გვ. 1347), უნდა იყოთხებოდეს — „ჩხეული ნაწერები“.



1963 წელს შვეიცარიისა და დასავლეთ გერმანიაში, ბერნში და მიუნხენში გამოვიდა „Kleines literarisches Lexikon“-ი. ორტომეული, რომელსაც ბევრი რამე აქვს საერთო ამვე სახელწოდებით 1958 წ. ბერნში გამოცემულ ერთტომეულ ლექსიკონთან. სარეცენზიო „ლექსიკონი“ გამოცემული ვოლფგანგ კაიზერის მიერ, ჩვენი მწერლობის შესახებ ცნობები მასში დაუმეზვევია დოქტორ რ. კარმანს.

ძველი ქართული მწერლობიდან, რა თქმა უნდა, ყურადღებას რუსთაველი იპოვებს. პოეტის პიროვნება და მისი პოეზია აქ ძირითადად მართებულია და გამუქებული და შეფასებული. „გუფხისტყაოსნში“, გვიხსენებთ ლექსიკონში, შექმნილია რაინდული სიყვარული და მეგობრობა. პოემის სტილი უახლოვდება თანამედროვე სპარსული რომანების სტილს. ლექსი პლესტიკურია და მონუმენტური. პოემის მოქმედება რომანტიკულ-რაინდულია, რომელსაც ატყვია დუალიტიკური-რაინდული მსოფლმეგობრების ვაგენა. საქარო სატრფიალო პოეზიის, მინუანგის — აყვავების პერიოდში ეს ნაწარმოები უმდიდრესი შენეურობასა და ვახლურ ერთგულებას. სკატრთელოში იგი დიდძალ დაფასებულთა ვეუა პოეტურ ქმნილებებზე მეტად და მთელ ეპიკურ მწერლობას მისაბამი ნიშნად ქმონდა (ტ. 1, გვ. 650). თავისი არაკების კრებულებით სელხან-საბა ორბელიანმა ქართული მწერლობა ხელახლა აყვანა ძველი, კლასიკური მწერლობის დონემდე. იუმპარით აღსავსე ხალხური შეანებისა და ფაბლიოთებისაგან შემდგარი ეს წიგნი „გამოთქმის თავისი ლაბილარული სიმოკლით“ ემსგავსება თანამედროვე „დებეშურ სტილს“, თუმცა მასში „შეიმჩნევა ქართული ვნის უცვლელს წყაროები“, ორბელიანმა შეადგინა ლექსიკონი, რომელიც დღესაც განუმეორებელ ძეგლად ითვლება (იქვე, გვ. 603).

დ. გერამიშვილი წერდა ისტორიულ-ლიტერატურული და ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსებს. თავის ეპიკურ ქმნილებებში განავითარა რუსთაველის ტრადიციები. მის ქმნილებათა წიგნში — „დავითიანში“ — ყარგად ამახა მუდუ

ვებთან მეექვსის ეპოქა (იქვე, გვ. 485-487). სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ გერამიშვილის ნაწარმოები „ქართლის ჭიჭი“ სექ. წინაოღვნისაა, როგორც „ბედი ქართლისა“ (ქვე, 485) და ამდენად მკითხველისათვის ძნელი გასაგები ხდება, თუ რა მსგავსება-ვანსხვავებაა ბარათაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოებთან (იქვე, გვ. 282). საქართველოში პირველი დიდი ლირიკოსია ბესიკი, რომელიც ძირითადად წერდა სამიწუნტრო სიმღერებს სპარსული მიწანების სულისკვეთებით. ვასაოკარია მისი სენსუალისტური მსოფლმხედველობა. ქართული პოეზია მან ვამდლდა ბევრი საღეჭო მტერთი და პლესტიკური სურათით, რომლებიც თავიანთი საუთეთესო შესრულებით ხშირად XIX საუკუნის ბიზნოლისტებს ვავიხებენ. ზოგიერთ ეპიკურ ობხულებში ბესიკი აიღვალებს ისტორიულ სახეებს (იქვე, გვ. 295).

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლირიკა იწყება ალექსანდრე ჭავჭავაძით. ქართული მწერლობაში მან პირველად დააფასა წმინდა დასავლური ლექსის ბირთვიან წყება. ა. ჭავჭავაძე ეთავყვებოდა სენსუალისტური მსოფლმეგობრებას, რომელსაც ბიკი აქსოვდა ნატიფი ფორმის მქონე ანაკრონტიულ ლექსებში. იგი ვანიცდდა პეშინისა და ფრანგი ლირიკოსების ვაგენას; როგორც მამულიშვილი ხაზს უსვამდა საკეთარი სემობალის თავისუფლებისათვის ბრძოლას, და ადიდებდა მის სახელოვან წარსულს. „გოგინს ტაში“ მოიპის ღრმა მეღანქოლია და დებულისა; ამასთანავე აღმოსავლური მწერლობის ვაღდაკვალ ცდილობს ტენის, ქალბნასა და უზრუნველი ცხოვრების გაიღვალეს. ა. ჭავჭავაძემ დიდი ვაღენა ოქროს თანამედროვე პოეტების მთელ თაობაზე (იქვე, გვ. 730). გრავილო ორბელიანი ლირიკოსია, როგორც რომანტიკოსი იგი ადიდებდა საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას თმარის მეფობის დროს. ჰაფიზის მსგავსად უმდიდრეს ბუნების მშვენიერებას და ქალბნს. ხშირად მისთვის უცხო არ იყო სეველიანი, ბელთან შერიგებისა და სულით დაცემულობის სულისკვეთება (იქვე, გვ. 602). ბარათაშვილმა თავისი დიდება მოიპოვა პოეზიით „ბედი ქართლისა“. მასი ადრინდელი ლირიკა არის პესიმიტიკური და მეღანქოლიური და ატარებს ბაირონის, გეოქტეღების ძლიერ ვაღენას. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია „მერანია“, რომლის წყალობითაც ავტორი ითვლება ქართული რომანტიკის მოავარ წარმომადგენლად. საქეთარი ლირიკის წველიანი მოტივების მეშვეობით ბარათაშვილმა ვეროვანი ვაღენა მოახლინა თავისი სემობალის ლიტერატურულ მიმდინარეობებზე (იქვე, გვ. 282).

ილია ჭავჭავაძე, — ნათქვამია „ლექსიკონში“, — იღვა თავისი საუკუნის ქართული ლიტერატურული მოძრაობის სთავივი და იყო ლიბე-

1 „Kleines literarisches Lexikon“, hrsg von Wolfgang Kayser, Bern und München, Bd 1 (s=807) — II (s=471), 1963.

რალერ-პროვრესელი აზნაურების იდეოლოგი-საქეთარ რეალისტურ ნოველებში იგი იბრძოდა გლეხთა განთავისუფლებისათვის, ადამიანური უფლებებისათვის, საერთოდ იდეოლოგიისათვის. მისი პრობლემების გადასაწყვეტად, მისი უკანასკნელი ლექსი „ახალეთის ტბა“ იყო თანამედროვეობის წინაშეაღმებრუნებელი პერვეტი. მკითხველებზე ი. ქვეკვიცი დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენდა თავისი ხალხური ენით (იქვე, გვ. 730). ასევე შეტად ხალხური იყო აკაკი წერეთლის ფორმით სრულყოფილი ლირიკა — ნათქვამია „ლექსიონში“ და შემდეგ განხილვებელია უფრო ადრე გამოთქმული მცდარი დებულება, რომლის თანახმადაც აკაკი ხატავდა ლიბერალური აზნაურების სამყაროს, წერდა ზურჯაბიას და რომანტიულ ფერებში აღდგენდა მოტივებს საქართველოს წარსულიდან. მომდევნო დებულება უკვე მართებულია: აკაკი გადაჭრით ილაშქრებდა ბატონყმობისა და ცუ-რისების წინააღმდეგ და ესაღმებოდა 1905 წლის რევოლუციას. მაგრამ ეს რევოლუციური მოტი-ვები თანდათან ქრებიან მის შოგვიანო პერიო-დის ქმნილებებში (იქვე, გვ. 771).

ვაჟა-ფშაველა უმღეროდა კავკასიის მთიულე-ბის პატრიარქალურ ყოფას და რუსთაველის შეტრიალ წერდა პოემებს. მისი პოეტური თვალ-თახედვა მთლიანად მიითქვამდა, მისი სურათები ისევე საოცრად მონუმენტურია, როგორც „ვიღვამეში“ და „ილიადა“. რუსთაველთან ერთად, ვაჟა-ფშაველა ითვლება საქართველოს უდიდეს (urwüchsigste) პოეტად (იქვე, გვ. 630). სტავთა შორის, აკაკი განმეორებულია რევოლუ-ციური შეთქმულებაში ვაჟა-ფშაველას მონაწი-ლეობის საეჭვო დებულება. აღქმანდრე ყაზბეგი თავის რომანტიკულ მოთხრობებში გადმომგვიტეხს კავკასიის მთის მცხოვრებთა სუფიერ შეგრძნებებს. პროზის ეს გასაოცარი ოსტატი უპირველეს ყოვლისა აღიღებდა თავი-სუფლებას, ზემანდრობასა და დიდი საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის იდეალს. თავის რომა-ნებსა და მოთხრობებში ყაზბეგი საოცრად ნათქვამი უფრებით ხატავდა ხალხის ცხოვრე-ბას, იხენდა დიდ გავლენას ქართული ლიტერა-ტურის განვითარებაზე და ითვლებოდა ქართუ-ლი რომანის შემქმნელად (იქვე, გვ. 501).

ნათელი მხარეების მიხედვითად „მცირე ლი-ტერატურული ლექსიონი“ მთავრად ვერ აღმოჩ-ნება დახვედრული სამწუხარო ხარეებებისაგან, რომელიც მას მექანიკურად გამოჰყოლია თავის „წინამორბედი“, ამავე სახელწოდების სიტყვა-რიდან. ჩვენ ერთხელ უკვე წერილობით აღნიშ-ნეთ წიგნის რიგი ჩრდილოვანი მხარეები და ის ამჟამად გაუგებრობა, რომელიც თავს იხენს რაფიელ ერისთავთან დავაუმრთობ წარმოე-ბულ მსჯელობაში. სტატიაში: „ქართველი მწერლები გერმანულ ლექსიონში“ („ლიტერა-ტურული ვახეთი“, 1963, № 3) ჩვენ უკვე მი-

უთითეთ და ამგვარად მხოლოდ ვაიმეორებთ, რომ ლექსიონის შემდგენლები ვერ ვხარეველ-ლან რეალურ ვითარებაში და ერთ პირველად მიხენდებოდნენ ქართული ლიტერატურის ორ-ადი მოამავე, ორი ერისთავი — ვიორჯი და რაფიელი. ლაბარაკია რა რაფიელ ერისთავის შესახებ, ლექსიონში აღნიშნულია, თითქოს მან ქართულ ლიტერატურაში დაასრულა მობ-რუნება რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ, საფუ-ველი ჩაუყარა ქართულ დრამის და სათევეში ჩაედგა 50-იანი წლების პერეკრეხიელი ინტე-ლიგენციის საზოგადოებრივსა და კულტურულ მოძრაობას.

ლექსიონის შემდგენლებს მხედველობიდან გამორჩენილათ ის ფაქტი, რომ ყოველივე ზემო-თქმული შეეხება ვიორჯის და არა რაფიელს, ხოლო მომდევნო სტრუქტურებში ამგვარად რაფი-ელ ერისთავი ნაგულსხმევი; თავის ლექსებში რაფიელ ერისთავი — ვიორჯილომთ ლექსიონში — ასახავს ქართველი გლეხის სიღარიბეს, დიდი პოპულარობა მოიპოვა მწერალმა საბავშვო სიმღერებითა და ზღაპრებით, განსაკუთრებით ლექსით „სამშობლო ზეგურისა“, რომელიც პოეტურად და გაშქმებული პატრიოტული იდეა.

მომდევნო სტრუქტურებში ისევ ლაბარაკია დამსახურებაზე, რომელიც ვანეუთუნება ვიორ-ჯი ერისთავს: კომედიებში „ვაკარისა“ და „მუნ-წში“ მან ახევენა დარბიბ გლეხების უვლუფა მეამეღლეებისა და კაბიტალისტების მხრივო, დაბოლოს, კიდევ ერთი არასწორი ცნობა: ერისთავი ითვლება საქართველოს პირველ პე-ლიციტად (იქვე, გვ. 384).

არის სხვა ხარეებებიც: არაა სწორი დებუ-ლება თითქოს ლიტერატურული მოღვაწეობა ილია ქვეკვიციდ დაიწყო 1877 წელს (იქვე, გვ. 730); სინამდვილეში ილიამ ლიტერატურუ-ლი მოღვაწეობა დაიწყო ოცი წლით ადრე-„გლეხის ნამბობი“ თარგმნილია, როგორც „გლეხის ნამბობი“ („Erzählung des Bauern“), ხოლო „აკაკი ყაჩაღი“, როგორც „ყაჩაღი გე-ბრი“ („Der Räuber gebro“), ავობებდა სრული სათათრის: „რამდენიმე სურათი, ანუ ემიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. რა თქმა უნდა, ჩასას-წორებელია „Zinondali“ (გვ. 730) და „Tiflis“. ჩვენ ამგვარად დახვედრებით უნდა ვავიშეო-როთ, რომ არაფრანსმეტყველია არც ამ ლექსი-კონის ცნობები თანამედროვე ქართულ ლიტ-ერატურაზე. მასში, სამწუხაროდ, არაა წარმო-დგენილი არც ერთი რამდენიმე მნიშვნელოვანი მწერალი, ან ლიტერატურის ნაწარმოები, ხოლო ის ცნობები, რომელიც ქრონოლოგიურად შეეხება თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, სრულიადც ვერ ასახავენ ნამდვილ ვითარებას.

\*\*\*

უდაოდ საინტერესოა აგრეთვე ვალენტინო ბომპიანის მიერ გამოცემული „კინდლერის ლიტერატურული ლექსიკონი“, რომლის პირველი და მეორე ტომი გამოვიდა შვეიცარიაში, ე. ი. ციურხში 1964 წელს. პელმეტ კინდლერის მიერ დაწერილი წინასწარი შენიშვნებიდან ვიგებთ, რომ რედაქციის პქონია განზრახული ამ ლექსიკონის გამოცემა შვიდ ტომად. ამასთან მუშავდებოდა იქნებოდა დასახელებათა ნუსხა — რევიზორი. როგორც აღინიშნა, ჩვენ საშუალება გვქონდა ვერაფერობით გაცნობოდით პირველ ორ ტომს (A—Fk). მასში მიმოხილულია 130 სხვადასხვა ლიტერატურა, მრავალი ზეპირსიტყვიანობით ტექსტები. ლექსიკონი არაა შედგენილი ტრადიციული წესით. ანბანის მიხედვით მასში დალაგებულია არა მხატვრული სიტყვის ოსტატთა გეგმები, არამედ ავით კვლავ სიტყვიანობის ნიმუშები. ყოველ წერილს ერთეულ ბიბლიოგრაფია, თარგმანებისა და კრიტიკული ლიტერატურის სია. ქართული მწერლობის შესახებ ამ გერმანული სიტყვიანობათა ცნობები შეუდგენია პრადის უნივერსიტეტის ქართულლოგის, აქ განსვენებულ პროფესორ იარომირ ივლიჩისა.

ქართული ლიტერატურიდან პირველ ტომში შეტულია: „აბდულმესია“ (გვ. 9); „აბო ტფილელი“ (გვ. 38); „აილუდა ქეთულაური“ (გვ. 503); „ამირან-დარეჯანიანი“ (გვ. 558); „ამირანიანი“ (გვ. 559); „არჩილიანი“ (გვ. 888); „არსენას ლექსი“ (გვ. 961); „არსენა მარაბდეი“ (გვ. 963); „ასტურელ მამათა ცხოვრება“ (გვ. 1043); „ბახტარიონი“ (გვ. 1261); „ბათა ქეჭა“ (გვ. 1375); „ბედი ქართლისა“ (გვ. 1421); „ბედის ტრილი“ (გვ. 1422) და „ქაშიკი“ (გვ. 2220). ხოლო მეორე ტომში ადგილი მონახეს შემდეგმა ნაწარმოებებმა: „ადეა“ (გვ. 592); „ადვიითიანი“ (გვ. 594); „დიდმოურავიანი“ (გვ. 1228); „დიდოსტატის მარჯვენა“ (გვ. 1231); „დოგმატრიკონი“ (გვ. 1461); „ჯავოს ხიზნები“ (გვ. 1761); „ეილუფა“ (გვ. 1985); „ეთერი“ (გვ. 2456); „ეთერიანი“ (გვ. 2456) და სხვა... აი, მავალთად, როგორცა დახსიათებელი ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“. ეს ნაწარმოები, აღნიშნულია სტატიაში, ავტორმა უძღვნა ერთეულ მერის მეფობის ერთი ეპიზოდის აღწერას; უძღვნა იმ პერიოდს, როდესაც საქართველო კიდევ ერთხელ გაძლიერდა და შედგენდა თანდათან დასუსტებული რუსეთზე დამოკიდებული გახდა. „ლექსიკონში“ ნათქვამია, რომ პოემის პირველ ნაწილში აღწერილია ქართველთა წარუმატებელი ბრძოლა ვრწანისთან სპარსელების წინააღმდეგ; ხოლო მეორე ნაწილი გადმოგვცემს

მეფის ფიქტიურ საუბარს თავის „კანცლერთან“ — სოლომონ ლეონიძესთან. ამ საუბარში ლაპარაკია რუსეთთან საქართველოს მიწების საქართველებზე. შემდეგ „ლექსიკონში“ ნათქვამია, რომ 1842 წელს დაწერილ ლექსში „საფლავი მეფის არაღალს“ რუსეთთან საქართველოს შეერთება საბოლოოდ პოზიტიურადაა შეფასებული. თანამედროვე ყოფის ბარათაშვილი აღარბედა საქართველოს სისხლიან წარსულს და მშვიდობის გამო უმაღლოდა მეფე ერეკლეს (ტ. I, გვ. 1421-1422).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება პირველსა და მეორე ტომში წარმოდგენილია აილუდა ქეთულაურისა, „ბახტარიონისა“ და „ეთერისა“ სახით. ამთავან პირველზე ნათქვამია, რომ პოემის სოფეტი აგებულია კონფლიქტზე მთავარი პერსონაჟის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასა და თემის პატრიარქალურ კანონებს შორის. პოეტისათვის იდეალური გმირი აილუდა მთებში ელავს „ჩერქეზ მტაცებელს“, რომელიც ძარცვავდა და ხოცავდა ხევისურ მწყემსებს. გადმოცემს რა პოემის შინაარსს, ავტორს დასძენს: ვაჟა-ფშაველა დგება არა ტრადიციების დამცველი ხალხის, არამედ ამ თაობადან-თაობაზე გადაცემული წეს-ჩვეულებების დამრღვევი აილუდა ქეთულაურის მხარეზე. პოემა დაწერილია ქართული ხალხური სმდერის ტრადიციული რეპროდუქციანი მერით (ტ. I, გვ. 503-504). „ბახტარიონი“ ეპიურ-დრამატული პოემაა, რომლის ისტორიული საფუძველია 1659 წელს სპარსელების წინააღმდეგ ქართველთა მიერ მოწყობილ აჯანყებაში, კერძოდ მთიულთა გმირობის ამთიუხი. ლირიკული გრძნობით გამსჭვალული სცენების აღწერას ენაცვლებიან დრამატული მონოლოგები და დიალოგები, რომლებიდანაც ისმის თავისებულებისათვის მებრძოლი პერსონაჟების გმირობა. სტატია ავტორი განსაკუთრებული სიყვარულით ლაპარაკობს მწყემს ქალისა და ვეირიას საგმბრო საქმეებზე, პოემა მთავრდება პანეგირიკულად. ქართველ გმირებს შეხბარის თვით ბუნება. გველმა ქრალიობები მოუჩინა ლუხუმს მამის, როცა იგი ვინებდააგრული ევლი ბრძოლის ველზე. სტატია ავტორი ლაპარაკობს ვაჟის პოემის სიდიადეზე, მასში ჩაქსოვილი იდეების მაღალ მოქალაქეობრიობაზე, და ქემინირობაზე; ლაპარაკობს ქართველ-ადამიანის მხადუფინაზე — ძნელბედობის ემს შესწირის თავი სამშობლსათვის ბრძოლას (ტ. I, გვ. 1261). პოემაში „ეთერი“ ვაჟა-ფშაველამ გამოიყენა ცნობილი თქმულება აბესალომისა და ეთერის უიღბლო სიყვარულზე, მაგრამ ვაჟა იგი გაამდიდრა ახალი მოტივებით, — აღნიშნავს სტატია ავტორი და იქვე ცდილობს მართებულად მიუთითოს ხალხურ „ეთერიანსა“ და ვაჟის პოემის შორის ირსებულ იდეურსა და მხატვრულ სხვაობაზე (ტ. II, გვ. 2456).

<sup>1</sup> „Kindlers Literatur Lexikon“, hrsg von Valentino Bompiani. Bd-I (S. 2710); II (S—2974). Zürich, 1964.

უველა საქირო შემთხვევაში „ლექსიკონის“ შემდგენლებს უცდათ სიტყვაჯამზელი მწერლობის ცალკეული ქმნილებებისათვის მოენახათ ადგილი ჯერ მისი ავტორის შემოქმედებაში, და შემდეგ თვით ქართული ლიტერატურის ისტორიაში. სტატიები დაწერილია უახლესა მეცნიერული გამოკვლევების ჟეროვანი ცოდნის საფუძველზე; ყველაზე იგრანობა მხატვრული ტექსტის და მასზე შექმნილი მეცნიერულ-კრიტიკული ლიტერატურის ვარგი ცოდნა. ამასთანავე ლაპარაკი ყოველთვის სწარმოება ნაწარმოების შექმნის ისტორიაზე, მის სიტყვებზე, არქიტექტონიკაზე, იდეურ შინაარსსა და მხატვრულ სრულყოფილებაზე. ასეთი ლექსიკონი უდაოდ საქიროა. დღემდე არსებულ (და ჩვენთვის ნაცნობ) სხვა ლექსიკონებში სტატიების მცირე მოცულობა და თხრობის უაღრესად ლაკონიური სტილი არ იძლევა ცალკეულ ნაწარმოებებზე შედარებით ფართო მსჯელობის გაშლის საშუალებას. კინდლერის „სიტყვარში“ კი საგანგებო მიმოხილვის საგანდაა ქცეული საკუთრივ ნაწარმოები და არა საერთოდ მწერალი. სწორედ ამიტომ იქმნება შესაძლებლობა, ყურადღება გამახვილდეს ნაწარმოებების მრავალ მხარეზე, ქართული დამწერლობიდან ლექსიკონში საბატიო ადგილი დამკვირვებოდა შეიძლება მკითხველისათვის ბევრმა დღემდე სრულიად უცნობმა მხატვრულმა ტექსტმა.

სტატიების დასასრულს, როგორც აღინიშნა, მოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობები. მათში დასახელებული მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურის გაცნობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს ლექსიკონის შემდგენელთა საქმეში ჩახედულობას. მეცნიერული კეთილსინდისიერებით

აქ ყოველთვის მითითებულია უახლესი და სწორედ ავტორიტეტული გამოკვლევები.

\*\*\*

დასკვნის სახით საბოლოოდ სამივე ლექსიკონის შესახებ შეიძლება ითქვას: უცნაურესი ხანებში გამოქვეყნებული ლიტერატურული ლექსიკონების განხილვა ცხადყოფს ვეროპელ მეცნიერთა და მკითხველთა მზარდ ინტერესს ქართული დამწერლობისადმი. ახალ სიტყვარებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ვეროპელთათვის ადრე უცნობი ქართული ავტორები და ნაკლებად ცნობილი, ან მთლიანად უცნობი ნაწარმოებები. განსაკუთრებით კინდლერის ლექსიკონით ბევრი ჩვენი მწერალი თუ ძველი წარსდგა პირველად გერმანულ ენაზე მკითხველთა სამსჯავროს წინაშე.

ლექსიკონში წარმოდგენილი ინფორმაცია შეძლებისდაგვარად ატარებს ზუსტსა და მეცნიერულ ხასიათს; მათში იგრანობა ტექსტის უაღრესო ორიგინალობა, ღრმა იდეურობა და მაღალი მხატვრულობა. და მინც სამწუხარო ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ ზოგიერთ ლექსიკონში თავს იჩენს ფაქტობრივ მასალის ერთგვარი გაბუნდოვნება, გამარტივება; და არაიშვიათად, — დამახინჯება. თუნდაც რაღა ღირს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ლექსიკონებში ჟეროვანი ადგილი ვერ მოუპოვებიათ თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის ოსტიტებს, რომელთა ნაწარმოებთაგან ბევრი უკვე თარგმნილია უცხოურ ენებზე.

1. მხოლოდ ერთ ადგილას ერთ-ერთი შრომის ავტორად პროფ. პროკლე კეკელიძის ნაცვლად შეცდომით მოხსენებულია აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე (ტ. 1, გვ. 503).



## მარი ბროსე და გუბათი „ტფილისის უწყებანი“

ფრანგი მარი-ფელიქსტე ბროსეს სახელი ქართველი მკითხველისათვის კარგადია ცნობილი. მთელი თავისი ძალა მცენიერმა კავკასიოლოგიას და განსაკუთრებით ქართველოლოგიას მოახმარა. თავდაპირველად იგი საფრანგეთში მოღვაწეობდა, შემდეგ რუსეთში. ჯერ კიდევ პარიზში მან დამოუკიდებლად შეისწავლა ქართული ენა. ამ დარგით ვატაკებული ბროსე ეცნობა ამ დროისათვის არსებულ ლიტერატურას და უშუალოდ მეშობას იწყებს ქართულ დამწერლობით ძეგლებზე. მესტრანგეთ საეკლესიო 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ახალგაზრდა მცენიერი ფრანგულ თურნალებში ბეჭდავს საქართველოზე, მისი ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. ამისთვის მან გამოიყენა ქართული ხელნაწერები, რომლებსაც პარიზის ბიბლიოთეკებში მიაგვლია, ისტორიული დოკუმენტები საფრანგეთის არქივებიდან და საერთოდ საქართველოზე ყველა ის საბუთები, რომლებიც შესამუშებელი იყო იმდროინდელ საფრანგეთში მიღვენით. მცენიერმა გამოიკვლია საბუთები, რომლებშიც ფარდა ახადეს ქვეყნის ისტორიულ წარსულსა და კულტურულ შექვედრებებს.

მაგრამ ამასთან ერთად, ბროსე ყველანაირად ცდილობდა თვალყური ედევნებინა იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებისათვის, და ცხოვრება იყო დაინტერესებული ყოველივე იმით, რაც ქართულ ენაზე იწერებოდა და იბეჭდებოდა.

დიდს გულისყურით მოვიკიდა ბროსე იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესის მასალებს, რომლებიც კი მას ხელთ ზაფხარდა. მის არქივში დაცულია გუბათი „ტფილისის უწყებანის“ 1828 წლის ერთი ნომერი, ე. ი. ერთ-ერთი იმ ნომერთაგანი, როდესაც გუბათმა გამოცემა იწყა.

როგორც ცნობილია, გუბათი „ტფილისის უწყებანი“ გამოდიოდა 1828 წლიდან პარალელურად

რად ქართულ და რუსულ ენებზე. ეს იყო ოდიციული ორგანო, რომელშიც ქვეყნდებოდა მთავრობის განკარგულებანი და ცნობები ომის მიმდინარეობაზე. მაგრამ გუბათი თანდათან სხვა თემებსაც შეეხო და საკითხების უფრო ფართო წრის გაშუქება დაიწყო. გამოცემას ხელმძღვანელობდა პ. სანკოვსკი, მოწინავე შეხედულებების ადამიანი, რომელიც პირადად იცნობდა ი. ს. პუშკინს. ფრანგი საგულისხმო იყო, რომ გუბათში ქვეყნდებოდა სტატიები საქართველოში გადმოსახლებულ დევარბიტებზე. ყოველივე ეს გუბათის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გუბათის ქართულ ტექსტს რედაქტორობდა სოლომონ დოდაშვილი. მოგვიანებით დოდაშვილი გუბათის ჩარჩოებს აფართოებს და ცალკე ქართულ ენაზე სცემს ლიტერატურულ დამატებას სათაურით: „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“.

ორ ენაზე გამოცემული გუბათი ორგანო მისი ზანს მასხავდა. მას უნდა მოეთათება ქართველი მკითხველისათვის საინტერესო ცნობები და მასალები, ამავე დროს გაეშუქებია ისტორიული ძეგლები, აღგულობრივ შევიდრთა ზნე-ჩვეულებანი, და თავისებურებანი, რითაც რუს მკითხველებს აცნობდა ახალ ქვეყანას.

გუბათში გამოქვეყნებულმა ზოგიერთმა ისტორიულმა და ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიებმა საზღვარგარეთის ყურადღება მიიპყრო. „ფრანკლ აზიატიკა“ — პარიზის აზიური საზოგადოების ორგანომ, 1830-31 წ. წ. თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა თბილისური გუბათიდან რამდენიმე სტატიის თარგმანი. ამ სტატიებში ლაპარაკი იყო კავკასიის მინერალურ სიმდიდრეებზე, ხატავდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს, მავალითად, ქართულ თამაშებს, საქორწინო წესჩვეულებებს და სხვ.

გუბათი „ტფილისის უწყებანის“ ეგზემპლარი, რომელიც ბროსეს ქალაქებში შემოინახა,



ასეთ ისტორიულ ექსკურსებს არ შეიცავს. გაზეტი ძირითადად იმ მოვლენებს ეძღვნებოდა, რომლებიც მაშინ ყურადღების ცენტრში იდგა. სახელმწიფო თურქეთთან ომის მიმდინარეობას და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის აღწერას.

როგორც ჩანს, ეს საკითხები მაშინდელ დასავლეთის მკითხველებს აინტერესებდა, რადგან ბროსემ საჭიროდ ჩასთვალა პარიზის ახიუტის საზოგადოებას ეურნალში ქართული გაზეთის მასალების გამოქვეყნება. საზოგადოების ოქმებიდან ჩვენ ვიცით, რომ 1829 წ. 6 აპრილს სხდომაზე ბროსემ ამ საკითხზე ცნობა გააკეთა, ოქმში ნათქვამია „მან (ე. ი. ბროსემ—ნ. ო.) ერთ-ერთ ქართულ გაზეთიდან ნაწყვეტი წაიკითხა“ („ეურნალ აზიაციკი“, 1829, მისი, გვ. 380). ქართული გაზეთის სახელწოდება მითითებული არაა. თუთიან ბროსე თავისი თარგმანის შენიშვნებშიც არ ასახელებს გაზეთის სახელწოდებას, მხოლოდ „ტფილისის ქართულ გაზეთად“ მოიხსენიებს.

იმავდ მისის ნომერში დაბეჭდილია ბროსეს პირველი თარგმანი, რომელიც მან ამ გაზეთიდან გააკეთა. ეს იყო თურქეთის ფრონტის ახალი ამბები და სამოარ მოქმედებათა ანგარიში, რომლებიც „ტფილისის უწყებანა“ 1828 წლის 28 ნოემბერს იყო გამოქვეყნებული სათაურით: „ცნობანი მოქმედება მხედრობათათვის განყოფილის კავკასიის კორპუსისათა“.

ამ სტატიის მეტი ნაწილი ბაიხეთის საფაშოში ვენერალ ქვეჯავახის მოქმედებათა აღწერას ეძღვნება. თურქებს მამველი ჯარი მიუღიათ და შეტევაზე გადასვლას ცდილან. მკერამ ქვეჯავახს დროზე შეუტყუია, მას სასწრაფო ვადაწყვეტილება მიუღია და ძალები დაუყოვნებლივ ახალ პოზიციებზე გადაუყვანია. მიუხედავად ამისა, რომ გზები ვადარეცხილი იყო და ბეჭი სიმინლეები ელახებოდათ, ჯარებმა გადაყვანა წარმატებით განხორციელებულა და თურქების ყველა შეტევა მოუგერიებიათ. ვენერალ ქვეჯავახის ასეთმა დროულმა მოქმედებამ ჩვენს ჯარების პოზიციები გამაგრა და მოწინააღმდეგის შეტევა ჩაფშა.

ბროსემ ფრანგულ ეურნალში სტატიის სახელი თარგმანი მოაუხა, ქართულ გაზეთში ნაპოვნი კომენტარებიც კი გადაიტანა. ამასთანავე ბროსემ ტექსტს თავისი შენიშვნებიც დაურთო, რომლებიც ტექსტში მოხსენებულ გეოგრაფიულ და საეკონომიკურ სახელებს ეხებოდა; ყოველივე ამას ბროსე მის ხელთ არსებულა ლიტერატურის მიხედვით ბეჭთად ამოწმებდა. როგორც თვითონ მიუთითებს, მას ფრანგი ე. ფ. გამპას წიგნით უსარგებლია; გამპას 20-იან წლებში თბილისში საფრანგეთის კონსული იყო და საქართველოში ბევრს მოგზაურობდა. გამპას თხზულება: „მოგზაურობა რუსეთის სამხრეთით და განსაკუთრებით იმ მხარეში, რომელიც კავკასიის იქით მდებარეობს“ გამოქვეყნდა პარიზში 1824 წ. ნოვემბერი 1826 წ. კვლავ ხელმოწერად გამოქვეყნდა ორ ტომად გამოვიდა და თან ერთვის ფრანგული რაფილი რუკები და დასტურაბებული იყო. სწორედ ამ გეოგრაფიულ რუკებს მიუთითებდა ბროსე თავის შენიშვნებში.

გამპას ნაშრომს ბროსემ იმიტომ მიმართა, რომ სურდა თავად ქვეჯავახზე ცნობები შეეტყუო, რომლის შესახებაც მოთხრობილი იყო გაზეთში. მოიხსენია რა ქვეჯავახის გვარი პირველად, ბროსე თარგმანში ასეთ შენიშვნას აკეთებს: „ეს თავადი ეკუთვნის იმერეთის უძველეს ძლიერ გავლენიან ოჯახს“. იქვე მითითებულია შესაბამისი ადგილი გამპას წიგნიდან, საიდანაც ეს ცნობა არის ამოღებული.

როცა ცნობას გამოწმუნებლით, ჩვენ ვნახეთ ის ადგილი, რომელსაც ბროსე იმომქმნის. წიგნის ამ მონაკვეთში აღწერილია ავტორის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობა. გამპას და მის თანამგზავრებს ქართველი თავადი ხლებიათ თან, რომლის გვარსაც ავტორი ლათინური ასოებით ასე წერს: Tchitchevasy ეს თავადი, როგორც წინაში ნათქვამი, ზონის მარჯვნივ ინსპექტორი იყო. მოგზაურობის დროს გამპას თავადის მამულში გაუვლია, სადაც მას ბრწყინვალედ შეხვედრიან.

ცხადია, გამპას თავის წიგნში წერს თავად ჩიჯავახზე, რომელიც მართლაც იმერეთის ძველ და გავლენიან გვარს ეკუთვნოდა. მაგრამ რადგან ლათინურად გვარი არასწორად იყო დაწერილი და თანაც უცხოელთათვის ქვეჯავახისა და ჩიჯავახის მსგავსმა ელერადობამ ბროსე შეცდომაში შეიყვანა.

ფრანგი მკვლევარის მიერ თარგმნილ სტატიის, რომელიც მან „ტფილისის უწყებანი“-დან თარგმნა, ლაპარაკია ბოტე ალექსანდრე ქვეჯავახზე, რომელიც თავისი დროის განთავსილი სამხედრო მოღვაწე იყო. იგი მონაწილეობას იღებდა 1812—14 წ.წ. ნაპოლეონის წინააღმდეგ შემდეგ კი 20-იან წლებში სპარსეთისა და თურქეთის ომებში. 1828 წ. ქვეჯავახე წარმატებით მოქმედებდა თურქების წინააღმდეგ და ბაიხეთის საფაშოში მთელ რიგ წარმატებებს მიიღწია. ამ რაიონში მომხდარ ეპიზოდს ეხება ცნობა, რომელიც გაზეთის ნომერის ნომერში იყო დაბეჭდილი.

ბროსე არ შემოგვარგულა ქართული გაზეთიდან ერთი სტატიის თარგმნით. იმავდ ფრანგულ ეურნალის შედგენი ოგენისას ნომერში მან გამოაქვეყნა მეორე სტატიის თარგმანი, რომელიც უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარ ამბებს ეხება. გაზეთ „ტფილისის უწყებანი“-ში ეს სტატია დაბეჭდილია სათაურით: „აწინდელი დროის ისტორია“. ეს სტატია წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიიდან მიღებული კორესპონდენციის ნაწილს, რომელიც გაზეთის 1828 წ.

მთელ რიგ ნომრებში იბეჭდებოდა. ამ კორესპონდენციის ავტორი იყო არტილეჩის ოფიცერი ი. რადოვიცი, რომელიც დიდხანს მსახურობდა კავკასიაში. ცნობილია, რომ რადოვიცი ბოტანიკოსაც იყო დაინტერესებული და ამ საკითხზე შრომებიც დასტავა. გარდა ამისა იგი კავკასიაზე სტატიებს სწერდა, რომლებიც რუსეთის პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა.

თანამედროვე მკითხველისათვის ბროსეს მიერ თარგმნილი სტატია, რომელშიც აღწერილი იყო რუსეთის ხელისუფალთა შეჯახება და მოლაპარაკება მთიულთან, მოძველებული და ინტერესოკლებულია. მაგრამ, როგორც ჩანს, იმდროინდელმა ევროპელმა აღმოსავლეთმცოდნეებმა ცოტა რამ იცოდნენ კავკასიაში მომხდარ ამბებზე და იქ დასახლებულ ხალხებზე. ამიტომაც ბროსემ სიბიროდ მიიხნია, ეურნალში ამ მასალების გამოქვეყნება, რომელიც უშუალოდ კავკასიაში დაბეჭდილი გაზეთიდან იყო მიღებული.

თარგმანზე დართულ მითითებებში ბროსე სინანულს გამოსთქვამს, რომ ზელთ არა აქვს ქართული გაზეთის მთელი კომპლექტი. (ეურნალი „აზიატიკი“, 1829, ივნისი, გვ. 471). ცხადია, ბროსეს მიაჩნდა, რომ ამ ორგანოში იბეჭდებოდა ინფორმაციები კავკასიის ცხოვრებაზე, რადგან იგი იქვე შენიშნავს, პოლიტიკური ამბების გარდა გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს ნარკვევებსა და სტატიებს, რომლებიც კავკასიის ხალხებს და რუსეთთან მათ დამოკიდებულებას ეძღვნება.

ქართული ენის შესწავლათ დაინტერესებულმა

ბროსემ, მის მიერ თარგმნილ მასალაში სტილსაც მიაქცია ყურადღება. შენიშვნებში იგი წერს, რომ გაზეთი კარგი ქართული ენითაა დაწერილი, რომელშიც მაინც გვხვდება ფრანგული, ანდა უფრო სწორად, ლათინური წარმოშობის სიტყვებით, მაგალითად: კორპუსი, პოზიცია, ექსპედიცია, კომანდა და ა. შ. (ეურნალი „აზიატიკი“ ივნისი, გვ. 473).

ეს შენიშვნები საცხებით სწორი იყო. მართლაც, ქართულ ტექსტში ბევრ ასეთ დასაცხებებს შეხვედებით, რაც იმით აიხსნება, რომ ქართული ტექსტი რუსულიდან ითარგმნებოდა; იმდროინდელ რუსულ პრესაში კი მრავლად გვხვდება უცხოური ტერმინები, ზოგიერთი მათგანი შემდგომ ხმაირებაში დარჩა, ზოგიერთი, ხელოვნურად შემოტანილი კი დაეიწყებულ იქნა.

გაზეთ „ტფილისის უწყებანი“-დან ბროსეს მიერ თარგმნილი მასალები, განეყოფნებიან მის აღრეულ პუბლიკაციებს. ისინი ქართული მასალებისადმი ფრანგი მკვლევარის დიდ ინტერესზე მიუთითებენ და წარმოადგენენ სიბიციათის ნიმუშებს, რასაც მეცნიერი ამ მასალებზე შემოაბისას იჩენდა.

ამავე დროს გაზეთ „ტფილისის უწყებანი“-დან თარგმნილი მასალები წარმოადგენენ საქართველოში პერიოდული პრესის განვითარების პირველი ნაბიჯების გამოაჩილს, ხოლო ამ თარგმანების გამოქვეყნება აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალურ ეურნალში იმის მაჩვენებელია, თუ როგორ იყო დასავლეთელი მკითხველი კავკასიის ხალხების ცხოვრებით დაინტერესებული.





## რუსი ქართული გზაპრისა

რუსი „ზღაპართა შინა უხმობენ ბედურს ცხენსა, ფრთებიანსა“, გვიხსნის ნ. ჩუბინაშვილი („ქართული ლექსიკონი“). რაში — „ზღაპრული ცხენი, მერანო“, ან მეორე მნიშვნელობით „მეტად მალი ცხენი, ბედური“ — ვკითხულობთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

მართლაც, ასეთი გაგება აქვს რაშს ქართულ ზღაპრებში. ხალხი მხატვრულ გარდასახვას ინტუიტურად შეიყნობს, ამიტომაც რაშისა და ცხენის ლიფერენცირებას ახდენს: „ერთი ცხენი და ერთი რაში გამოიყვანეთ“ — ვკითხულობთ ზღაპარში, ან „ცხენი არა გვეყავს, რაში გვეყავს“.

ფოლკლორიდან ეს ცნება გადასულია ლიტერატურაშიც, სადაც საუკეთესო ცხენს რაშს ან მერანს უწოდებენ. ნიკოლოზ ბარათაშვილს მერანის სახით წარმოუდგენია პოეტური შთაგონება. პეგასი, ეს ფრთოსანი რაში, ასევე პოეტური შთაგონების სიმბოლოა ანტიურ მიოლოგიაში.

ვალპტიონ ტაბიძე უთუოდ ხალხს დაესესხა ცხენის ზღაპრულ სახელწოდებას „ღურჯი რაში“.

„ღურჯა“ ეს სახელი ნიშანდობლივია ქართველთა ხალხისათვის, რომლის დაკვირვებით, სამიოთხი წლის პასაკი ცხენისათვის მისი საუკეთესო თვისებებისა და უნარიანობის, უმრეტე ენერჯის აყვავების პერიოდია:

ერისთავს ცხენსა გიჟებენ,  
კვიცია სამი წლისათ!

ამ პასაკში შავი ცხენის ზეწეს ღურჯი ფერი დაპტრავს, ნაჯლობაც, აღმათ, აქედან მიუღია ზღაპრის ღურჯის.

ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟთა დაბადება ისევე არაჩვეულებრივია, როგორც თვით ამ სახის ხალხური პაროზის სიტუაციები, სადაც

მოქმედების არე რეალობის ჩარბოებიდან გეშოდის და მრავალ საყვირველს შეიცავს. აღრინდელი ადამიანის წარმოდგენები და რწმენები შეუძლებელს წედება, მოქმედის დამაყვებლობა განსაზღვრულია საზოგადოებრივი ვითარებით, ამიტომაცაა ის საცხადე ზღაპარში, რომელსაც დღესაც კი გადაყვევართ ფანტაზიის უსაზღვროებაში.

ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში, მთაში სანადიროდ წასულ უშვილო მონადირეს დევი უშვილობის წამალს ასწავლის, ეს რაშის ვაშლი, ნაყოფიერების სიმბოლო, რომლის შეჭმის შემდეგ ცოლს ტუუები გაუზნდება, ხოლო თვით მონადირე კენთს გადაიჭრის და იქიდან კვიცის თავი გადმოგარდება.

ფანტასტიკური მიოთური ცხენის პეგასის დაბადება, „როცა პერსეიმ თავი წააცალა მელუზა გორგონას, მისგან იშვა პეგასი, ფრთოსანი ცხენი“.

თომპსონის მოტივთა საძიებელში ცხენი გამოიჩეკება კვერცხიდან.

ბუნებრივია, არაჩვეულებრივი დაბადებაცა და მათი გარეგნული თუ შინაგანი ნიშნები განაპირობებენ რაშთა თავისებურებას. ასეთი რაშები ყოვლისშემძლენი არიან, გულთმისნები და მოლაპარაკენი.

ქართული ფანტასტიკური ზღაპრების მიხედვით, შეიძლება მკაფიოდ გამოიყოს ფენები, დანაღვქება უძველესი რწმენებისა და წარმოდგენებისა, რომელთა საფუძვალზე ყოველივე ელასტიკური ბდება, ის ფორმა ეძლევა, რაც ყოფამ, დრო-გამის სულამ ადამიანის გონებას უკარნახა. ამის ცოცხალი ილუსტრაციაა ზღაპრის რაშების კავშირი ზღვასთან, ცასთან, ზმუელთთან.

\*\*\*

დიდი რაოდენობით გვხვდება ქართულ ზღაპრებში ზღვის რაშები, საყურადღებოა, რომ ზღვაში, მდინარეებში და ტბებში ბინადრობენ აგრეთვე, ხარი, ფური, ვერძი, ზღვის მამაკაცი, წყლის ქალი და სხვ.

ლექსში „ქალი ზღარაშვი“, ე. კოტეტიშვილის ყურადღებას იპყრობს ორი ბოლო ტაქტი, სადაც ზღარაშვი მამის ლერჯაზე ნათქვამია:

დაეწათა და ზღვა დამბა,  
გავგიჯა მოსართავით.

შეკლევარს ეს მოტივი, სადაც ცხენი ზღვასთანაა დაკავშირებული, სრულად მართებული, ძველი, ძველსავე ღია მანძილი.

ძველი ბერძნული ფილოსოფიის დამწებები, ბერძნული სტიქიურ-მატერიალისტური ფილოსოფიის მამამთავარი თალესი (VII სუკ. დასასრული და VI დასაწყისი) ქ. მილეტიდან თელიდა, რომ სამყარო იყო არა ქაოტიური მრავალსახეობა, არამედ ერთი მთლიანი, რომ ყოველივე წარმოიშობა წყლისაგან — პირველქმნილი ელემენტისაგან და ყოველივე უბრუნდება წყალს, რომ წყალი არის სამყაროს არა მხოლოდ პირველი დედა, არამედ მისი სუბსტანცია.

მთოლოგიური თეოლოგია და მოტივები, როგორც ცნობილია, თავის არსებობას განაგრძობენ ფანტასტიკურ ზღაპრებში. კაცობრიობის შესხივების შემორჩა ბერძენი მნიშვნელოვანი მომენტი უძველესი მითებიდან. მაღალი თალესის ზემოთხუთხილი კოსმოგონიური მოქმედების ფრამენტებიც.

ზღვის ბინადარი რაშები, თავიანთი სამფლობელოდან ეხმარებიან ზღაპრის გმირებს, ყოველგვარ გასაქარში მხარში უდგანან აღმანებს. ქართული ზღაპრის „გულუზარის“ უახლოესი გმირი დაკავშირებულია ზღვასთან, სადაც მისი ჯანა შენახულია. გამარჯობა მისი ლაგამ-აგმარა მიიტარებს ზღვის მიერს, დასველნი წყალში, რომ ამ პროცედურის შედეგად გამოვლენ რაშები, რომლებსაც ზღაპრის გმირები მიჰყავთ შედგულ ზღვაში, სადაც დიდ გამოქვაბულში, ტინის ქვეშ, ოქროს ვაღაში მოთავსებულია ამ გმირის ძალი.

სხვა ზღაპრის ქაბუკს დღეისათვის ზღვის გღმა მყოფი მგებუნხავი მოჰყავს ზღვის რაშით. „ივთი აღერი მიქსო, — ასაწავლის დევი, — ზღვაში ჩაყავთ და ზღვის რაშს შემეღდება პირშიო...“

რაშის ზღვიდან გამოყენის სხვა ხერხებიც არის ნაჩვენები ქართულ ზღაპრებში. „ციღა-გეტავლას რაშის“ ხელში ჩასაგდება ზღაპრის გმირს სამი დღეა მიაქვს, ზღვის რაშის მცველი სამი მგლის მოსაშორებლად.

ზოგიერთ ზღაპარში ვხვდებით ზღვის ნაბირას

ბერძენი მოტივსაც და რაშს ამ გზით გამოყენის ხმელეთზე.

შემოთხუთხილი ნიმუშებში „სახაგამელის“, რომ რაშის სამოქმედო ასპარეზს უდგენს, რომ იგი ზღვის ბატონ-პატრონია. რაც შეეხება ლაგამ-აგმარას ან აღერს, ეს უფრო გვიანდელი მომენტი, ხმელეთის ცხენის მოწინაურების უბრევული საშუალებანი, ხსოვნაში შემორჩენილი და მისადაგებული ფანტასტიკურა ზღვის რაშების მიმართ.

რაშის რძე სამკურნალო საშუალებად ითვლება „ხელმწიფისა და მისი ცხრა ვაჟის არაქში“, ზღვის რაშის რძის მოპოვება ერთ-ერთ საშინ დამბრუნებად ეღობება ზღაპრის გმირს, მაგრამ ხმელეთის რაშს, გულთმისანი და მოლაპარაკე, ვეს ასწავლის როგორ მოიქცეს შემდეგ ზღაპრებში მოცემულია ზღვისა და ხმელეთის რაშების შეტაკების მძაფრი აღწერა, რაც ყოველთვის ხმელეთის რაშის გამარჯვებით მთავრდება.

ზღვის რაშებთან მოსალოდნელი შემბრუნებისათვის ხმელეთის რაშს თავისებურ სათანა ჯავშანს იტყვამ: „მომავარ ცხრა კამჩის ტყავი, ცხრა მოსართავი, — უბნება იგი ვაქს...“

ქვემოთ ბრძოლის დინამიკური სურათია გადმოცემული. „ჩავიდა რაში ზღვაში: დაირცა ეს ქალის რაშები; ზოგს სწიხლავს, ზოგს ჰებენს, ერეკება ზევით, მებრამ ატო ისინი აურთან სიკეთეს; ჰებენენ კამჩის ტყავს, და რაშს კი ვერაფერს აკლებენ... ერთი კამჩის ტყავიდა შერჩა და ბოლოს; „ამოვიდა რაში და ამორიცა ქალის რაშებიც“ — გვიტელობთ ზღაპარი.

გურამში დარჩენილი ხალხური გადმოცემითაც, რომელიც დაკავშირებულია თელორობასთან, ე.ი. ცხენის დღესასწაულთან. ცხენი თავდაპირველად ზღვაში ცხოვრობდა, მხოლოდ წმ. თელორამ ამოიყვანა ხმელეთზე.

„თელორობა“ (თელორობა) ცხენის სალოცეოა და მას სამეგრელოში დიდ მარტვის პირველ კვირის შაბათ საღამოს იხდიდნენ, ცხენის პატრონი ამ დღეს აცხობდა ცხენის ქანდაგებას მთელი მისი შეკავშირებით: უნაგირით, უზნავით, აღერიით და სხვ. გადმოცემის ს. მკალათია.

როგორც ზემოთ ვთქვით, წყალში ცხოვრობენ არა მარტო რაშები, თ. სხოკის მიერ საშერაზაყანოში ჩაყრილი თქმულებაში მწყემსმა მოთელი ზაფხული ცხვარი ამოვა მთაზე, კარგად გაასუქა. ლეპრობისთვის (ე.ი. სკიპტემბერში, როცა ლეპრი იტის) ცხვარი ბარად ჩამორიცა, გაკარტა და კარგი ამინდის გამო ისევ უკანვე დაბრუნდა... საღამოს ერგვამარას (მიქელ-გამარის) საბანაო ტბის ნაბირად დამინავდა. როცა დღამდა, ტბიდან ერთი კარგა თეთრი ვერძი გამოვიდა“ და მის ცხვარში შეერია, ბოლოს მწყემსის ცხენის ფარა წყლის ვერძთან ერთად ტბაში ჩაეშვა.

ეს მოტივი გვხვდება რუსულ ზღაპრებშიაც, სადაც საძოვარზე წაყვანილი წყრ შვიი ვერძი ჩახტება ზღვაში შემდეგ კი მისევე ვაჰყვება ცხვრის მთლი ფარა.

ანალოგიური ლეგენდა არსებობს მითიურ ცხენზე, როზელიც დაკავშირებულია უძველეს ბაქტრიანასთან. ეს ის ბაქტრიანაა, სადაც ალექსანდრე მაკედონელმა მეომრები შეაჩრა ცხენის დასაჭვდად.

ამ ქვეყნის ცხენებმა მიიღეს თოხარისტანის სახელწოდება, არაბთა მატიაგეში დაცული სანტერესო ცნობა მათ იხსენიებს, როგორც საუკეთესო ცხენებს. აქედან გავრცელდა ალბათ თოხარისტანის რამდენიმე საკათოვლოში დღე-ღამე უწოდებენ რომინით მავალ ცხენს.

ლევანის მიხედვით „ქალაქ ზეტალიანში ცნობილია ათასზე მეტი წყარო, ქალაქის ქვემო და ზემო კარებთან... ზეტალის სახელგანთქმული ვინის რამდენიმე წარმოშობა დაკავშირებულია ამ უკანასკნელთან.

უზბეკურ უპიკურ ციკლში არის თქმულება ქორთულზე, რომლის ორი კვიცო დაბადებულია წყლის ცხენებისაგან.

ინდრას თეთრი ცხენი უჩაიხშმრავას გამოსულია ოქანეს სიღრმიდან, ღელვის დროს.

ერთოვით ირლანდიურ მითში ზღვის ტალღებმა წარმოადგენილია ზღვას ღვთაების რამებად.

თავდაპირველად ზღვის ღვთაება პოსეიდონი იყო ტრეტემური ღვთაება ცხენის სახით. ამას ადასტურებს მისი ზედმეტი სახელი გიპპიორ (საცხენო), გვიანდელ ეპოქაში პოსეიდონი იყო მეცხენოსნობის მფარველი... პოსეიდონის სამღვთო ცხოველებად, ცხენს გარდა, ითვლებოდა ღელვინი და ხარო.

რომში პოსეიდონის კულტი შეერწყა წყლის იტალიური ღვთაების ნებტუნის კულტს. პოსეიდონის მსგავსად, ნებტუნი იყო ზღვათა ღვთაება და მეცხენოსნობის და ცხენთა შეკრებების მფარველი.

ამრიგად, ზღვის რაში, მითოლოგიის დარგობრივ ღვთაებათა წყალქვეშა მეურნეობის დიდდ მნიშვნელოვანი ცხოველია ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ჩვენთვის მერტად სანტერესოა ქართულ ზღაპრებში ჩატენილი რელიგიური უძველესი მოტივი, სადაც ლაპარაკია ზღვის კაცსა და ზღვათა ხელწიფებზე.

ზღაპარი „კაცს რომ აწახლი ცოლი მკაედა“ ისევე წყლის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე მივითითებს.

ზღაპრის პერსონაჟს დედაბერი ურჩევს: „შვილო, გატყობ რაღაც ვარამი შემოგაწოლია... აიღე თითო პური დიდდილობით და

ზღვაში გადაადგე ხალმე, ზელს ეწვიო, — და თავის გზას გაუღვა“.

ეს კაცო ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა დაარჯა. ამის შემდეგ იგი ყოველ დღით პურს ზღვაში მკრბდა.

აღნიშნული ზღაპრის რაობის გარკვევის დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარის გ. იმედაშვილის საყურადღებო გამოკვლევას, რომელიც სწორედ აღნიშნული ზღაპრის ძირითად მოტივს ეხება, ეს არის წყალთან პურის დაკავშირება წყალში პურის წაყრის, ჩვენთვის ბუნდოვანებით მოცული, დრმა აზრი.

ამ თელსახისით მერტად მნიშვნელოვანი ეკლესიასტეს XII თავის დასაწყისი მუხლი, სადაც ნათქვამია: „წარტე პური შენი პირსა ზედა წყლისასა, რამეთუ სიმრავლეს შინა დღეთასა მკოთ იგი“.

გ. იმედაშვილს ეკლესიასტეს პარალელად მოჰყავს ქეი-ქაუსის დიდაქტიკურ შეგონებათა წიგნიდან ყაბუს-ნამეს ერთი აბზავი, სადაც ბალდადერი მეჩქემე ყოველ დღე მღინარეში პურს მკრბდა იმ იმედით, რომ ასეთი საშუალებით წყლისათვის გაწეული სიკეთე როდისმე დაუბრუნდებოდა.

მეორე პარალელია სელხან-საბა ორბელიანის არავი „აწახლი ცოლის წურთენა“.

ეკლესიასტე, ქეი-ქაუსი და სელხან-საბა ორბელიანი, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაგან ათასეული წლებით არიან დაშორებულნი და საესებით განსხვავებული სოციალურ-კულტურული და რელიგიურ ფორმირებათა გარემოცვით, ისინი მაინც ერთნაირად გადმოკვამენ რაღაც უძველესი ტრადიციის ნაშთს. რომლის წყაროების კვლევასაც აღამაზის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ძიებათა გარტირავამდე მივყვიროთ“, წერს გ. იმედაშვილი.

მათთლაც, ტრადიციის ეს ნაშთი კარგად არის დაცული სხვადასხვა ერის ზემბრ თუ ლიტერატურულ წყაროებში.

ქართული ზღაპრის დასაწყისი, ჩვეულებრივი ნოველისტური ზღაპრის დასაწყისი, ამითაც იგი უახლოვდება იგავ-არაკებს, ამავე დროს ზოგიერთი დრმა არქაიკის შემცველ მოქმედი პერსონაჟი და მოტივი აღმრავს მისი აღრინდელი გენეზისის საკითხს.

ეკლესიასტეს შემდეგნს ესმოდა, რომ მის ღვთაებაზე მკონდა ლაპარაკი, ჩვენი აზრით, ზღაპრის დედაბერმაც იცის, ვისთვის ან რისთვის არის განკუთვნილი წყალში ჩაყრილი პური. იგი იმ რელიგიურ რწმენათა მოწმე და მატარებელია, რომელიც ეკლესიასტემდე არსებობდა. დედაბრის ხნოვანება დედამთავრულ ოქახთან ითვლებს წლებს.

შემთხვევით არ არის ქართულ ხალხურ პროზაში ზემოგანხილული სოუჟიტის შემცვე-

ლი ზღაპრების არსებობა. მას თავისი ადგი-  
ლობრივი ღრმა საფუძველი აქვს. ქართული  
ფანტასტიკური ზღაპრები საკმაოდ თავისებუ-  
ლად ეხმარებიან მსოფლიოში გავრცელებულ  
ენა-ნათარგმნარ სიუჟეტებს, მოტივებსა და  
პერსონაჟებს—ზღაპათა ლეგენდებისა და ზღა-  
პი მცხოვრები რამების სახით.

\*\*\*

ფანტასტიკურმა ზღაპრმა იცის ცხენები  
ინუ რამები ცასთან კავშირში. ე. კობიტოვი-  
ლი წერს, რომ „არსებობს მთელი ჰიმნი ბზი-  
სადმი, როგორც ზეციური ცხენისადმი მიმ-  
ართული...“.

ცასთან კავშირშია ქართული ზღაპრების  
ფრთხილი და მფრინავი რამები. ისინი ზეცი-  
ურისაგან იმით განსხვავდებიან, რომ უკვე  
ერთნაირად დაფუძნებან ცასაც და დედამი-  
წასაც.

... ხელმწიფეს სასახლის მამულში ერთი დღი-  
ური ოქროს ყანი ეთეხა. ღამე რაღაცა ცხო-  
ველი შემოდიოდა და რასაც ჰამდა, ორ იმ-  
დენს ფეხით თელავდა,—გყოთხულობთ ერთ  
ზღაპარში,—დაუღრავდნენ. სად იყო სად  
არა, ნიავქარივით მოვარდა ძვირფასად შეკა-  
ზმული, ფაფარ-აყრილი ფრთიანი რა-  
ში, შევარდა ყანაში და შრიალი დაიწყებინა.  
გაკურა-გამოპტრა პირი ოქროს თაეთავენს და  
როცა ფერდები კარგად ამოივსო, ახლა კენ-  
ტრეში დაიწყო შიგ...“

ფრთხილს ცხენად იქცა... „სალამოს ტპასთან“  
დაკავშირებული თქმულების პერსონაჟი ვეფ-  
ხტრინავია ხეთი წლის დაბმული რამი ზღა-  
პარში „ოქროს თასი“.

„მადლიერი მკვდარი“-ს ზღაპარში ბიჭი მი-  
ჩაქველ რამს შეხსნის გაქვებს და ზედ შექ-  
დება. რამი ეუბნება: „... რაკი შენ დაამიორ-  
ნილო, რაკ არ უნდა დამავალო, ავისკრელები  
—ფრინად რამი...“

რამის მიჩაქვის ეს დეტალი, რამის ფრენის  
უნარიზე ხაზგასმით მივიხილეთ. იგი მიჩაქ-  
ველი იყო იმიტომ, რომ არ გაფრენილიყო.

„ზღაპარი საკვირველისა“-ში ძლიერი ექსპ-  
რესიითაა წარმოსახული რამი ცხრაკლიტულში.  
„მისცა (ვაეს. თ. ი.) ოთახის ვასალებები მა-  
მამ და უთხრა: რვის რო ვალებ და მცხტრეში  
შეხვალ, იქ ერთ რამს ნახე, ზურგზედ ერთი  
მტკაველი ობი აქვს მოკიდებული: ბამბის საუ-  
რველი გადაუსვი, ბამბის მათრახი გადაკარ,  
ისე გამოიყვანე, ოთრ დაგვალეს, ცოცხალს  
არ გაგიშვებსო...“ — და, აი, დიდი მხატვრული  
ოსტატობით გაკოცლებული ზღაპრის რამი  
დგას ჩვენს წინაშე. ხალხის მიერ ინტენსიური  
ფერებით აღსატული, და არა მარტო მისი ვა-

რეგანი მხარეა გამოვლენებული, არამედ შინა-  
განი მოზღვავებული ენერგია, სიფიქსე, დაუო-  
კებელი ტემპერამენტი, რაკ ხელს უწყობს ამ  
პერსონაჟის აქტიურ აღქმას: „შევიდნა ვეფი,  
ყოთხულობთ იქვე, — ვალო ვარები, ნანა რა-  
ში, ერთი მტკაველი მტკერი დაძღებია და  
ობი მოკიდებია, თვალბოდამ სუ ცეცხლი  
სცივია, ვადაუსო ბამბის საურველი, ვადაპტრა  
ბამბის მათრახი და წამოაყენა. გამოიყვანა ვა-  
რეთ, რამი სულ ვარსკვლავებს ეთამამება, შექ-  
და ვეი ზედ, დაფრტურნა რამმა და წავიდა  
ცისავენ. ეცა ცას, მაგრამ ვეი მუცელზე მოქ-  
ცა. ეცა დედამიწას — ზურგზედ მოქცა. ხან ამ  
მთას ეცა, ხან იმ მთას: ბოლოს დაფვა, დაიღ-  
ლა და უთხრა:

— ნამოდი, მხედრად გამოშადგებოი!“

აღნიშნული ზღაპარი ქართული ფანტასტი-  
კური პროზის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს  
აქ რამთან დაკავშირებულ თითქმის ყველა გუ-  
რცელებულ მოტივს ვხვდებით: მფრინავი ცხე-  
ნები მხედრის თავიდან მოცილებას ლამობენ.  
მათივე მიმართვა-შეჭარა გაქვებულ ფორმუ-  
ლად ქცეულა ყველა ზღაპარდან, სადაც ორ რა-  
ში — პერსონაჟი ვეხვდება, ერთნაირად მოგვეს-  
მის ერთ ყალიბში ჩამოსხმული სტერეოტიპული  
ფრაზა:

„სამი მათრახი ვადაშვარ, სამი პირი ტყავი  
ამქვება, ეს სამი ლიტრა მარბილი იმაზედ ვა-  
დაშვარე, გავფოთლები, გავფრინდლები... შექდა  
ვეფი რამზედ, შემოპტრა სამი მათრახი, სამი  
პირი ტყავი ააძრო, ზედ სამი ლიტრა მარბილი  
გვდააყარა გაფრინდა რამი“.

რამს ვაშლის ხე უნდა მოეთხარა, ასეთი და-  
ვალეა ქონდა მიცემული. „ის ვაშლის ხე ისე-  
თი იყო, რომ სადაც რამ შეკაცური გველი იყო,  
იმასა ჰქონდა ფეხებზე ასხმული: ის ველები  
უქებდნენ, ვინც იმის ფესვებს მიეკარებოდა  
და მოქლავდნენ მამნეე. აფრინდა რამი  
პაერში, მოავლო ტოტები (წინა ფეხები) წვე-  
რებში ვაშლს ამოვლოა, გაბერტყა, გააყრვენი-  
სა გველზედ პაერშივე და გამოიტაცა...“

ფრთხილის რამები ზღაპრებში ვერ კიდევ არ  
აჩიან ადამიანის მორჩილნი, იმიტომა ასე თა-  
ვისუფალი ნაგარი ცასა და დედამიწას შორის.  
ზღაპრის რამი მხედრის მოშორებას ლამობს,  
დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრ-  
ძვის.

ასეთ ებზოლებში ჰყენ ცხენის მოშინაურე-  
ბის ცდას, მისი გახედნის პროცესს ვეხდათ.  
აღბათ, იმიტომა ცხენი სიბნელეში წლობით  
დაბმული, ზურგზე ობმოკიდებული, ცხენის  
მოშინაურების პირველი ნაბიჯები, რამის წი-  
ნააღმტვრება ადამიანის მიმართ, ცასა და დე-  
დამიწასთან შექივება მხატვრულად წარმოსა-  
ხა ზღაპარში ხალხის ფანტაზიამ.

მაგრამ იქვე უკვე დამორჩილებული, გახედ-  
ნილი ცხენი ჩანს ზღაპრის ტრადიციულ ფორ-

მულაში, სადაც რაში მიმართავს მზედარს: „ისეთი გადამკარ, სამი შოლტი, სამი პირი ან ცხრა ტყავი ამტერესო“.

ცხენის ქენება შეესვენებლივ დაღმამდე, ყოველგვარი დაბრკოლების ძალდატანებით გადალახვა, მითრახით ცემა. ეს შეთოდი ვაუხედნავი კვაცის მიმართ, მიღებული იყო ძველ საქათველოში.

ტრადიციის ხელოვნებაში გადასვლის სხვა მომენტაც არსებობს. ეს არის უმთავრესად ქვაში დამუქრობება ზღაპრის პერსონაჟებისა. ამ თეატალურისით შერად მნიშვნელოვანი ქართული უძველესი ნაგებობანი. მათ შორის უმდიდრეს მასალას იძლევა, XI საუკუნის ბრწყინვალე ძეგლი, ნიკორწმინდის ტაძარი, რომლის კვლევებზე ცხოველთა მიღობა და მრავალფეროვანი სამყაროში, ზღაპრიდან ვადასული, ჩვენთვის საინტერესო ფრთოსანი რაშეები აღგებდნენ და წარუშლულად განავრცობენ ცხოვრებას.

ფრთოსანი რაშეები, გამოსახული ნიკორწმინდის ტაძრის კედლებზე, დინამიური სახით გვხვდება ხალხის მხატვრულ სიტყვაში, სადაც ისინი იტყვნ ახალ და ახალ ვაზრებებს. აქ რელიგიურ მომენტებთან ერთად ჩართულია საყოფაცხოვრებო საქმიანობა, მატერიალური კულტურის ნაშთებსა და ხალხური სიტყვიერი შემოქმედების ნიმუშებს — ზღაპრის სახით. ერთი საერთო ფონდი კვებავდა: ეს იყო ქართული ხალხის ძლიერი ინტელექტი, სწრაფვა ხელოვნებისადმი.

გ. კოტეტიშვილს საჭიროდ მიაჩნდა ქართული ორნამენტის შესწავლა ქართულ ზღაპართან დაკავშირებით. ეს ფრთად მნიშვნელოვანი პარალელია ერთი ქვეყნის ხელოვნების სხვადასხვა დარგში. თანამედროვე ფოლკლორისტიკაში ქართული მითოლოგიის არც ერთი ძეგლი არ შესწავლილა არქეოლოგიური მონაცემების გარეშე. ამიერიანსა თუ სამონადირეო ეპოსის ბევრი ბუნდობანი მომენტი ნათელი ვახადა ორიენტის თასის საინტელუალ მოხატულობისა და ქართული ბრინჯაოს ბალთების სიმბოლური ნიშნების ამოხსნამ.

ნიკორწმინდის რელიეფების მეკლევარს, ნ. ალადაშვილს სამართლიანად მიაჩნია ფრთოსანი ცხენი და ფასქუნჯი ზეპირსიტყვიერი ძეგლების ჩუქულებრივ და ფართოდ გავრცელებულ პერსონაჟებად.

უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული ხალხური პროზის ნიმუშებში, რამეთუ შედარებით ფასქუნჯი მეტივე რაოდენობით გვხვდება. ნიკორწმინდის ტაძარზე წარმოდგენილი თანფარდობა ამ ორი მითიური არსებობისა, ფასქუნჯისა და ფრთოსანი რაშისა, გვაფიქრებინებს, რომ XI საუკუნის საქათველოში, აღნიშნული ძეგლის შენების დროს, ორივე, ფასქუნჯიცა და ფრთოსანი რაშიც, თა-

ნაბარი ოდენობით არსებობდა ქართულ ხალხის რწმენებსა და წარმოდგენებში.

ნიკორწმინდის გუმბათის ყურის ჩრდილოდასავლეთით ორთავიან ფასქუნჯთან ქართულ გამოსახული ორთავიანი ფრთოსანი ცხენი, ისინი, ტაძარს კი შემორჩენიან, მაგრამ ზღაპარში გადაშენებულან.

\* \* \*

ქართულ ფანტასტიკურ ზღაპრებში ცნობილია ე. წ. „ნიავერის“ ცხენები. რაშეების ეს სახელწოდება, უკვე რაშეების ერთი ვგუფის კეთენილებად მცველა.

იმ პირველი წარმოდგენებიდან ცხენზე დღევანდელ სასაუბრო მეტყველებანი შემორჩენილია ლექსიერი მოვლენათა გადმონაშთები, როგორიცაა: „მიწაზე ფეხს არ აკარებს“, „გაფრინდა ცხენი“, „ნიავერით მიქრისო“, ან შევრული შედარება: „რაში აჯუა კონირე“ („რაშივით კაციო“) და სხვ.

ნიავერითი მსუბუქი მხრები აქვს ხეყურულ ლექსში ცხენს:

ცხენო, კარგი ხარ, მალეო, ნიავერით  
მკრინო,

ქერს ვაჭმევს იმით პატრონი,  
ვაჭირდას, გამეხმინო...

ან

ვერო წაგიდა ლურჯაო,  
ეთი დილის ნიავერია.

\* \* \*

ზღვის, ფრთოსან, მფრინავ, ნიავერის რაშეების გვერდით მხარდამხარ მიჭრინან „გრივალის“ ანუ „ქარიშხლის“ რაშეები. ისინი ყველა ერის მითებსა და ფანტასტიკურ ზღაპრებში მოიპოვებნან, მათ შორის ქართულ ფოლკლორშიაც. მზეთუნახავის მოსატაცებლად წასულ ირმის შვილს მზეთუნახავი ასწავლის:

„წადიო... ცხრა ოთახი გაიარე, მეთე ოთახში რაში ახია, ასეთია, როგორც ქარიშხალიო... ქარის რაშია. — ვანუშარტაცს იგი ვაცს. — უნდა შევსხდეთ და წაგიდეთო“...

ხვდებით ზღაპარში ეპიზოდს, სადაც მოქმელი მესაძარბეულ საჯანს ან მოვლენას ეძიებს. ასეთ შემთხვევაში ისევ ნაცნობ, საუკუნეებამოვლილ შედარებას იშველიებენ, ტრადიციულს. „წაგიდა ეს ბიჭი, — ვადმოგვეწმ მთქმელი, — ისე მიფრინავს რაში, როგორც ქარიო...“

ქართვის ფრთად საინტერესოა „გილაგამეშის“, ამ საღრამეთ მხილველი გამიბის ეპოსი, საიდანაც ჩვენს მიერ დასმულ მრავალ კითხვაზე ეპოელობთ პასუხს. ქართული ფანტასტი-

ქერი ზღაპრების „ზეციური ხარო“, ან „კრი-  
ვალის“ რაშები იქ იღებენ მათავეს.

გმირი გილგამეში მოხიბლული იშთაბი  
მეუღლეობას შესთავაზებს მას:

შენ იყავ ქმარი, მე ცოლი ვიქნები,  
ოჭროს და ლილაქის ეტლს ავაგებინებ,  
ბორბლებად — ოჭრო, ხელნებად — თითბერი,  
ეტლი შევკაშვავ გ რ ა გ ა ლ ს რ ა შ ე მ ს .

ფოლადის კეცი გვხვდება ოსურ ზღაპრებ-  
ში, მაგრამ იგი ბოროტი ბუნებისაა. „ფოლა-  
დის კეცი როგორც დაგინახავს ქარიშხა-  
ლივით გამოქანდება. მის ზღვიებს ქვეშ მიწის  
ბუტბები შვეი ყვეთლებითაა აღრიცხება. ღა-  
მზია ეს ცხენი შეიძლება მოგინდეს მისი დაქუ-  
რა და გაწვრთნა, არ ვინდა იგი, მოკალ შეუბ-  
რალბლად“ — ამბობს ოსური ზღაპარი.

აიღიერ ზღაპარში ბებერი ცხენი „ჩ ე მ დ ე“  
ჭერ ცაში ავარდება, შემდეგ დედამიწებ დაქუ-  
ება და გროვალვით გაფრინდება წინ.

ფინური ეპოსის „ვალეალას“ გმირი ყრმა  
იოუჯაანენის წყვილი კეციდან, ერთი ფრა-  
ნავს როგორც ქარი.

ქარივით, გროვალვით დაფრენენ ანტიური  
მიოების პერსონაჟი რაშები.

ამიტომაც არის, რომ „სამი წლის, სამი თვის,  
სამი კვირის და სამი დღის სავალს“ სამ საათში  
გაღიან რაშები.



„ქაჩალ მებატის“ ზღაპრის უშვილო ბერი-  
კაცს თეთრი დევი ორ ვაშლს მისცემს იმ პი-  
რობით, რომ ნაშენი სანახევროდ უნდა გაიყონ.  
ერთი ვაშლი ბერიკაცმა და მისმა ცოლმა შექა-  
მა, მეორე ცხენმა და გოშიამ. „მოუვიდა დრო  
შობისა ქილდაკას. დაწვა ლოგინზე, შვა ორი  
ოჭროს ტიპრიაანი ვაჟი.“

მოუვიდა დრო ცხენს, გაუნდა ორი რაში,  
ისეთები, რომ ოჭროს ფაფარი ეყარათ და  
ცეცხლის ნალები ეკრათ...“

თეთრი ფერი ზე-სამყაროს ფერია, მითუ-  
რი. თერთი დღისაგან, რომელიც ალბათ ცას-  
თან კავშირშია, მიცემული ვაშლებისაგან იბა-  
დება ოჭროსქორიანი ვაჟები, ოჭროსფაფარიანი  
და ცეცხლისნალებიანი რაშები და ორი ვეფ-  
ხვის ლევი. მათ ასევე ოჭროს ფაფარი ეყარათ  
კასერზე და ცეცხლის კბილები ეღვათ. ოჭრო  
ღვთების ატრიბუტია. ოჭროსფერი თამბი აქვს  
პართევლია ნადირობის ქალღვთაება დალის.

აშირანის ეპოსში გვხვდება „პირ-ცეცხლა“  
ვეშაბი, შვე ვეღუშაას ფაური გადმოცემა  
„ქარ-ცეცხლს“ უწოდებს:

რამისათვის მომარჯებულნი ვებითეი „ფეხ-  
ცეცხლა“ გულისხმობს სისწრაფეს, რაც ამ  
ცხოველის უპირველეს ღირსებად ითვლება.

ფეხცეცხლას წიხლი ყველაფერს ზედ არ-  
დება ნატრფალბად.

რამის სისწრაფის მარგენებელი, შერეკეკე  
ზოდი. ზღაპარში უკვლავების წყლენს სისწრაფე  
ნად გზავნიან ვაჟს.

„უკვლავების წყალი ორი კლდის შუა  
გამოდის; ის კლდები  
მიდიან და მოდიან, ეჯახებიან ერმანანეს და  
შლიან  
ცეცხლს, როგორც ტაში, ისე სცემენ...“

ვაჟმა ბებრი იარა, ცოტა იარა, მივიდა იქ,  
სადაც უკვლავების წყალი იყო. ერთი უზარმა-  
ზარი კლდე გამოჩნდა, იმისი წვერი ცაში იყო  
შერბობილი; ოპირად იყო აყუღებული. თვა-  
ლის დახამხამების ხანს ვაიწვედნენ განზე და  
შერე ისე ერმანანეს ეჯახებოდნენ, არა სფ-  
ლიერს იმაში შესვლა არ შეეძლო.

მომივიერ მოსართავეები და დამკარილი —  
უთხრა რაშმა სისხეთოს (უჯის სახელია. თ. თ.).  
„მოუქირა მოსართავეები, შემოქრა მითრახი,  
ისკება რაშმა, ვაჟარდა კლდეებს შუა, ვაჟამც  
მოსაწრო წყლის ამოდება, მხოლოდ ვასვლის  
დროს კლდე რამის კუდის წვერს კლდე მოსა-  
წრო და მოსწყვიტა“.

ეს ეპიზოდი, ზერმნული მითის, სცილა და  
ხარობდას ამბავს გავგონებს. სცილა და ხარობ-  
დას შორის გაელა განსაკუთრებით სახეფათო  
ყო მეზღვეურთათვის. ცნობილია ეპიზოდი  
ოღისეის მოგზაურთბიდან, ოღისეიმ დაკარგა  
რა ექვსი თანამგზავრი, თეთათნ ძლივს მოსაწ-  
რა უენებლად ვასვლა სცილასა და ხარობდას  
შობის.

„შანამეს ქართულ თარგმანში გვხვდება ცხე-  
ნის სახელი „ქარფეკი“, რომელიც ისეთივე  
მსახლეურელი ცხენისა, როგორც „ფეხცეც-  
ხლა“ და ასევე, სისწრაფის თვალსაზრისით,  
ერთი თუ ცეცხლთან არის შედარებული, მეო-  
რე ქარის სისწრაფის ძალას წარმოგვადგენს.

ქარფეკსა ჯდა შეკაზმული...  
ან  
ქარფეკსა ვზი გულთვანი.  
ერთი ხევეურელი ლაქსი გადმოგვეცემს:

ქირლამ ხაფერქე შახკაზა, ზე ორბი შაქ-  
და. მერთათო.

ცხენის ამავე სახელწოდებას „საფერქე“,  
გვხვებით ვაჟა-ფშაველას პოემაში „ბახტრიო-  
ნი“, სადაც ზეზეა ამბობს:

წელში ორჯელ თუ დაებმის  
ჩეპი საფერქე გომშია.

ზღაპრებში, უმეტეს შემთხვევაში, შენიშნუ-  
ლია რაშების მხოლოდ ეპითეტით მოხსენიე-  
ბა — ფეხცეცხლა, ქარფეკი, ზერდაგი, სწრაფ-



ფეხებანი და ა. შ. ასეთივე ტრადიციაა დაცული ხალხურ და ინდივიდუალურ პოეზიაშიც.

საველისძეთა ის ვარაუდებია, რომ იგივე ტრადიცია, ცხენის მსახურების საკუთარ სახელად ქვეყისა, კანონიერი სახით გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ტარიელის შვიცხენი ხშირად მხოლოდ მსახურების ამბობს დატოვებულად:

ნახა, შვიცხენი შამბო პირსა დგა სადავე  
უკუყრილი (886,3)

ან  
შავსა იდგა ლავში, სწმენდლა რიღისა  
წვერითა. (225,3)

ქართულ ფოლკლორში საყურადღებოა ზემოხსენებული თქმულება „საღამოს ტბაზე“, ჩაწერილი ვ. კოტეტიშვილის მიერ 1929 წელს ვახუშტის: „... ვესსა და ქალს უყვარდათ ერთმანეთი. წყაროზე ზედმოდნენ. ეს წყალი მიიღან იყო ვამოყვანილი. ტრფილაში გაერთნენ და წყლის დაკრება დაავიწყდათ. იმ აღვოს შედგა ტბა და ქვეშ მოყოლა მეფელი სთელი და ეს ქალ-ვაგი... ვეი იქცა ფრთოსან ცხენად, ხოლო თავი ადამიანისა შერჩა...“

ბერძნულ მითოლოგიაში შემოხატულია კენტავრის სახე, რომელიც მსგავსად მინორავრისა (ადამიანის ტანი ზარის თავით), ნახევარ ადამიანი და ნახევარ ცხენია. ქვედა ტანი ცხენისა აქვს, ხოლო ზედა ნახევარი ადამიანისა.

კენტავრები, ბერძნულ მითოლოგიის მიხედვით, მთებისა და ტყეების მფლობელი, თვალღელთა ველური ტომია. მათი ასეთი ვარაუდობა აღმოცენებულა უნდა იყოს თესალიაში შებრძოლი მხედრების შესახებ არსებული წარმოდგენებიდან. უძველესი მოსახლეობა, რომელსაც ვერ ცხენი არ ენახა, კენტავრებს ანუ მჭედარ ხალხს, თვლიდა ცხენთან შეზრდილად.

ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია კენტავრი ნესეს, ბრძენი კენტავრი პირონი, რომელმაც აღზარდა „ტროადის ომის“ გმირი აქილეუსი. ამ მითოურ არსებებთან არის დაკავშირებული ბერძენ გმირთა შორის ყველაზე პოპულარული, კენტავრებთან წარმატებით მებრძოლი გმირი პერსეუსი.

პირონის შესახებ ერთ მითში ნათქვამია: „მთის ქვაბულიდან ჩამოსული ბრძენი კენტავრი პირონი, სწრაფად მიეჭენებოდა თავისი ცხენურა ფლოქეებით...“

ქართულ ფოლკლორში აღნიშნული პერსონაჟის არსებობის ერთეული მომენტი არ იქნება მისი განზოგადების საშუალებას.

ძველ საქართველოში კიდევ გვხვდება ერთი მისი სახეობა. დ. ჯანელიძე მიგვითხრობს თამაშზე „სტენაკობის“ სახელწოდებით, რომელიც ცნობილი ყოფილა XVIII სუვენი და სასრულს საქართველოში. მის შესახებ იოანე ბაგრატიონი ვაღბოვეკეს. მოთამაშენი: „ხეებს გაიკრავდნენ ტანზედ და ჩიოებს ვადაფარებდნენ, ცხენებით თავსა და კისერს ხისგან გაკეთებდნენ და შემოახვევდნენ რასმე და კიდებდნენ წვრილს ზანზალათ და ესრეთ ითამაშებდნენ მრავალნი და უცხოლ ზნაობდნენ ფრთხა და მსგავსად ცხენთა მჭდომთაგერ იხლავებოდნენ“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ცხენაკობა ძველსაძველი თამაშობაა, ყველიერობას ასრულებდნენ და „ეკრობის დროიდან“ არის დაშთომილი სომეხთა შორისო“.

ერთა შორის ახლო მეზობლობა ხშირად ერთი და იგივე წესჩვეულებსა თუ ხელოვნების საფუძველიცაა. დ. ჯანელიძე აქვე აღნიშნავს ასეთივე ცვა-თამაშობას, რომელიც დაცული ყოფილა რაქაშიც „სტენაკობის სახელწოდებით“. „სამი-ოთხი ბიჭი შეიკრიბება, დიარასა და გაზამის იშვირის. სოფელს კარდავარ დაივლის, ცხენთა ხისგან არის ვაკეთებელი, ხის ტანი აქვს და თავ-კისერი, ცხენის ძვა და ფაფარი“. ცხენის თავ-კისერი, მოძრავ ნიღბად არის ვაკეთებელი. ყმის ქვედა ნაწილი მოძრავადაა მიმატებული ზედა ყბაზე, იგი ყურების ახლოს ნაჭერებში გაყრილია თოქით მოძრავობს, რაც აღვირის მავერიობასაც სწევს. ცხენუას ბიჭი მოახტება, ვითომ მხედარობა როდესაც ის აღვირს მოსწევს, ქვედა ყბა აიწვევს და ზედას ტკაცუნით მიეკვრის, როდესაც აღვირს ხელს შეუშვებს, ქვედა ყბა დაეშვება და, ამნაირად ცხენი სახიერდება...“

აღმათ იმავე საფუძველიდან არის ამოზრდილი საქართველოში ბავშვთა შორის დარჩენილი თამაში „ცხენობანი“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თამაშის ცხენი შეიძლება იყოს კენტავრების შორეული ანალოგია უბრაველეს ყოფისა, ეს ანალოგია თვით თამაშის სახელწოდებას „ცხენაკობას“ შემორჩენია, კენტავრიც ზომ მითოური „ცხენაკობა“. ხელოვნების ორი დარგის ნიმუშია ჩვენს წინ. იქნება ქართულ საწესო ნიმუშის სახით, ადრინდელმა ფერვადასტულმა მოკონებამა მოაღწია ჩვენამდე!

მით უმეტეს საყურადღებოა ე. წ. „ცხენის სალოცავი“, ჩაწერილი სამეგრელოში ს. შკაპლაძის მიერ. ეს არის უთუოდ მნიშვნელოვანი საწესწვეულებო ინსცენირება, რომელიც ცხენის მოქმედების, მოძრავობის მიზამას წარმოადგენს: „თერღობა“ — თველორობა ცხენის სალოცავია და მას სამეგრელოში დიდ მარტვის პირველი კვირის შამათ სღამოს იხდიდნენ. ცხენის პატრონი ამ დღეს აცხობდა ცხენის

ქანდაკებს მთელი მისი შეკავშულობით — უნაგრიტ, უზანგით, აღფრთო და სე... სადა-მოს ცხენის ქანდაკებს და კვერბებს ხონჩაზე დალაკებდნენ, იქვე სავსე ჭიჭით ღვინის მოთავსებდნენ და გარშემო ხონჩას ანთებულ სანაღებს მოკრავდნენ. ხონჩასთან პირველად შეიფარდა ოჯახის უფროსი მამაკაცო და იგი შევეადრებოდა წმ. თედორეს ცხენების გამზავლებას... შემდეგ იგი ზურგზე ხელებდაკრებოდა, ჭიხინითა და წიხლებს სროლით დაიხრებოდა ცხენს ქანდაკებაზე, მოკებდა მის რომელიმდე ნაწილს და ჭიხინითა და წიხლების ცემით უკანვე გამობრუნდებოდა. მას მიჰყვებოდნენ ოჯახის წევრები და უფროს უმცროსობის მიხედვით მივიდოდნენ ცხენის ქანდაკებასთან და ჭიხინითა და წიხლებს ცემით იგივე მოქმედებს შეასრულებდნენ...“

ჩვეთვის დღიად მნიშვნელოვანია ბასილი კანადოკელის ანუ კესარიელის გარდაცვალების გამო გრიგოლ ნაზიანზელის მიერ თქმული სიტყვა, და შემდგომ XI საუკუნეში ევრემ მცირის კომენტარები ამის თაობაზე. „ზღაპრობანი დღისა ბასილისა ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“.

„შეა რაჲ აქოლეს თეტადოსიან, — ვითხელობთ იქ, — მიეცა იგი პიროსს, რამთა კტემოს იგი ერთბაშად მზრდელადცა და მასწავლელად მოიპრობისა. ხოლო ესე პიროს იყო ცხენ-ვაკიო მკვდრი მღვმთა თეტადოლიასათა, მოიყვანა უკუე პიროსმან აქოლეს და დასუა იგი უკანა კერძო ცხენისა სახესა მას კერძოსა თჳსა ზედა და ესრეთ ვნოს-ცდიდა და ასწავებდა მოძარბოსა, და ზრდიდა მას არა სძითა და პურითა, არამედ ტნითა ირემთა და სხუთა ცხოველთადა, ვინაცუ აქოლვეე სახელ ედვა, რამელ არა ესაზრდელა, რამეთუ პილონ საზრდელსა უწოდებინ სიტყუთა გარშეთადა“.

სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, რომ „ამ წინადადებაში სიტყვა „ცხენ-ვაკი“ შესწორებას მოითხოვს, სახელდობრ, ზემოთ მოტანილი „კენტავრის“ განმარტების საფუძველზე, უნდა იყოს „ცხენ-კაცი“. ეს უბრალო გაუგებრობა კისა და ეს აღრევით გამოწვეული“ — წერს ე. ბაკაშვილი.

ღავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მეფეთმფის დავითის ცხოვრების აღწერაში, პირდაპირ ახატულებს, ბერძნული მითოლოგიის ამ ბერძნობას თავისი სახელით: „რამეთუ ვინ ჰკავნ ჭორციელი ანუ ვინ იხილა ესეოდენ გამაჩვენებელი ნადირობისა შინა, მოსიძობის ვინე ითქმის ებრაველი მოსირობისა და კეთილ-  
11. „მნათობი“ № 12.

მმართველობასათჳს აღექსანდრეს სათა მითოლოგიად, და აქოლვეე კენტავროსისაგან განსწავლულად მოისრობისა ელენთა ზორისს, სილას ბარამ-ჭერი სპარსათა შორისა მოკვდელადცა ხოთა და საკრუელთა, გარნა ქემშარიტად ევრცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვინილავს ჩუენ“.

მითოური კენტავრი, როგორც ჩანს, უცხო არ იყო ქართველთათვის უადრეს საუკუნეებში.

პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი „ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში“ შეუთითებს, რომ ძველი ქართული მწერლობა პომპროსის პიემებს იცნობდა ჯერ კიდევ VIII ს. (ჩ. წ.), ხოლო XI და XII საუკ. ქართველი მწერლები უხვად იყენებდნენ თავიანთ თხზულებებში პომეიდან მოტანილ მასალებსა და გმირთა სახელებს. ამრიგად, ჩვენმა ზემოთსიტყვიერებამ ანალოგიური პერსონაჟისათვის შექმნა საუბობრი ნაციონალური სიუჟეტური ჩარჩოვა და ლოკალიც.

„ანტიკური მითოლოგიის მოტივთა რიგს ეხმარება მსოფლიოს სხვადასხვა ერის ხალხური სატყვიერება. ქართულ ხალხურ ფანტასტიკურ ზღაპრებში „ხელმწიფის შუელი და ხის ცხენი“, „ჩეთვარიანი ქალი“ და „ზღაპარი გასაკვირის ხელმწიფის“, — გვხვდება სცენა და ხარიბდის მოტივი, ქართული კენტავრი („სალამოს ტნის თქმულებაში“) და ტროადის ხის ცხენი.

ხის ცხენის მოტივი სხვა სიუჟეტურ ვითარებაში პოელობს გამოხატულებას ქართულ ფოლკლორში, სადაც იგი პომპროსის ეპოსისაგან დამოუკიდებლად შეიძლება აღმოცენებულიყო.

ჩვენს მისაზრებას ადასტურებს ხის ცხენის მოტივის გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. კერძოდ, აღნიშნულ მოტივს იცნობს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნები. აგრეთვე მის გავრცელებაზე კავკასიაში მიუთითებს ე. აბაევი, რომელმაც თავის ნაშრომს უწოდა „ტროადის ცხენის პარალელები კავკასიაში“.

აღნიშნული მოტივი ფიქსირებულია თომასონის მოტივთა სამეხელებში. ასეთია, თავის დაღწევა მდრინავი ხის ცხენის საშუალებით. გვხვდება „გიგანტური ცხენი“ და, აგრეთვე, „ტროადის ხის ცხენი“, ე. ი. პირდაპირი დასახელება პომპროსის ეპოსის პერსონაჟი ცხენისა.

ზღაპარი მოძარბეა, თაობებიდან თაობებზე გადადის. იგი თავის თავში აიტყვავს ყოვე-

ლივეს, რაც ცხოვრების განვითარებას, მის ახალ ნაბიჯებს მოჰყვება.

უხსოვარ პერიოდებშია შექმნილი ზღაპრის შარტივი სიუჟეტი, რომელიც ივსებოდა და რბულდებოდა, საზოგადოების ზრდასა და განვითარებასთან ერთად, ზღაპრის მოქმედების ასპარეზზე გამოდიოდნენ მისი სიტუაციების შესაფერი პერსონაჟები, რომლებიც თავის თავში ქვეშეცნეულად ატარებდნენ დიდი სოციალური ძვრების ანაბეჭდებს, რწმენებსა და წარმოდგენებს.

ზღაპრებში მოქმედი ცხოვრებისეული, შემკარებლობითი გმირები, შეიცავენ, უზარმაზარ რეალობასთან ერთად, ფანტასტიკას, რომელიც თან დაჰყავს ადამიანს ჩინასაბის საბით და მხო-

ლოდ გარკვეულ საფეხურზე იზინა თავი, როგორც დიდმა პოტენციურმა ინტეგრირებული

ფანტასტიკური ზღაპრის ცხოველი პერსონაჟი რაში ძირითადად მხატვრულად გაფორმებული რეალური სახეა. მასში შესულია ქართული ყოფის დამახასიათებელი რეალიზმი, ზნე-ჩვეულებათა ცერემონიალები. დიდ რეალობას ერთვის ადამიანის უკიდუგანო ფანტაზია. ეს ორი, უღარესად მნიშვნელოვანი ფაქტორი, ერთ მთლიან სახედ ძვრწავს ზღაპრის პერსონაჟს, რომლის თავისუფალი ნავარდი ცასა და დედამიწას; ზე-ყანას, შუა-ყანასა და ქვე-ყანას შორის უშუალოდ ბრწყინვალეობით გადმოსცა ფანტასტიკური ზღაპრების შემქმნელმა, ხალხის გენიამ.



რედაქციის ავტორი

## უახლესი ქართული ფილმები

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მწერლი ამოცანა დამაყისრა. მე უნდა წავეციოთ მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გააკეთა ქართულმა კინემატოგრაფმა 1967-1968 წლების მანძილზე. ამ ამოცანის შესრულება უაღრესად საბაზოეო არის და ამდენადვე საძნელოც გახლავთ. ისევე, როგორც ყველაფერზე, იმ კინოსურათებზეც, რომელთა გარშემო აქ სჯა-ბაასი უნდა გაიმართოს, ბევრი ავისა და კარგის თქმა შეიძლება. მაგრამ ჩვენ მხოლოდ სიბართლეს, გულწრფელობას და სიბართლეს გვინტერესებს, გულწრფელად და მართლსაწინააღმდეგო კი, თავად მოგვხსენებათ, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს.

ამ სიტყვებს მაინცდამაინც ისე ნურავინ გავიგებს, თითქოს ამთავითვე ვისიძე ან რისაძე ვაძებნას ვაძიებდეს. ბესარიონ ქლენტი იცის ზოლზე თქმა: როცა ერთზე ვამბობ ვადაბრუნებელ სიტყვას. ის ერთი მემდურის, ყველა სხვა დანარჩენი კმაყოფილი მყავს, ხოლო როცა ერთს ვაძებ, ის ერთი კმაყოფილი მყავს, ხოლო ყველა დანარჩენი კი მემდურისა.

ამ გაგებით, კრიტიკოსის მდგომარეობაში ჩაყენებულ ადამიანს ორივეჯერ ერთნაირი საშაროების წინაშე დგახარ და, გონდა თუ არ გინდა, ბეწვის ხილზე უნდა გაიარო, რას იზამ, რაკი გეცისარია და მონომახის ქუდი დავიჭერავს, იგი კიდევაც უნდა ზილო და საყუთარი გულოსა და გონების მიერ არჩეულ გზას მისდო.

დიდი სიახლეს არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყოველივე, რასაც ჩვენი მწერლები, კინემატოგრაფისტები, მხატვრები თუ კომპოზიტორები აკეთებენ, ავიცა და კარგაც, ერის საყუთარება და ყველა ჩვენიგანს, ყველა ქართულ ალა-

მიანს, ერთნაირად გვეკუთვნის. როცა რომელიმე დიდ ან მცირე წარმატებას აღწევს, ეს წარმატება შინ და ვარეთ ისე აღიქმება, როგორც ყველას წარმატება, როგორც ქართული ერის, საქართველოს წარმატება და ეს ასევე არის, ხოლო როცა ვინმეს მარცხი მოსდის, ჩვენ ყველას გვტყავს გულო, რადგან მარცხიც ჩვენ გვეკუთვნის და მისი ფხიზელი შეფასება და შესაძლებლობის ფარგლებში გამოსწორება გვნათება.

სწორედ აქედან უნდა გამოძლიანარებდეს ის დიდი პასუხისმგებლობაც, რომელსაც ყოველი შემოქმედი ადამიანი განიცდის თავისი ყოველი ახალი ნაწარმოების შექმნის პროცესში.

ნება მიბოძეთ, ჩემი სიტყვაც სწორედ აქედან, ამ პასუხისმგებლობიდან და ქვეყნის, ხალხის, პარტიის წინაშე წმიდათა-წმიდა მოველოების გრანობიდან დავიწყო.

ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველი ქვეშარტი კმნილების შექმნის საფუძველი ყოველ დროსა და ეთარებში ისტორიული ატულებლობა, ანუ ხელოვნანს თანამედროვე საზოგადოების სოციალური დაცვეთა იყო, არის და იქნება. სოციალური დაცვეთა მბადებს ნაწარმოების დედაზრს და შემდეგ მისი არსებობის უფლებასაც განსაზღვრავს.

საითაა მიბართული საზოგადოების ისტორიული განვითარების გეზი?

რა ამოცანებს აყენებს პარტია და ჩვენი საზოგადოება ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების წინაშე?

რა სჭირდება ქართულ ხალხს ისტორიული განვითარების დღევანდელ ეტაპზე?

პასუხობს თუ არა, ამ შემთხვევაში, 1967-1968 წლებს ქართული კინოხელოვნება ცხოვრების მიერ წამოჭრილ პრობლემებს?

არის თუ არა ის გამოხატველი ხალხის მატერიალური და სულიერი მდგომარეობისა, განსახიერებს თუ არა მისი სულიერი სიმწიფისა და ინტერესების დღევანდელ დონეს?

გზედავთ თუ არა ეტარანზე ჩვენს თანამედრო-

წაიბოტულია მოხსენებად აწ. 17 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობათა ვაერთიანებულ პლენუმზე.

ვე ქართულ ედამიანს, რომელიც ამ ინტერესებითა და მისწრაფებებით ცხოვრობს, რითაც მთელ საუკუნის სამოცი-სამოცდაათიანი წლებში ქართველი ადამიანები ცხოვრობდნენ?

«საქართველო კიბეების ერთი წყება, რომლებიც ენდა წაუფენით ჩვენი კინოისტატების მიერ გამოშვებულ მთელ მხატვრულ პრატიკულ და თეორიულ სურათს ცალკე».

პასუხს ამ კითხვებზე სურათების პრობლემატიკა და ამ პრობლემების მხატვრული დამუშავების ხარისხი იძლევა ყველას მოვსხენება, რომ მარტოოდენ პრობლემის დასმა, ამათუ ამ საზოგადოებრივი კატეორიის დღევანდელი განცხადება, ჭირს კიდევ არაფერს გვეუბნება სასურველი მიზნის მიღწევაზე. ვიდრე ხსენებულ პრობლემას შემოქმედის სულს ქურამი არ გაივლის, ვიდრე კონკრეტულ-ფსიქოლოგიურ სახედ არ ჩამოყალიბდება, ვიდრე ვისიმე კონკრეტული ცხოვრების სამსახურში არ გაეხვევა და ამ ცხოვრებად არ გადაიქცევა, მანამდე კვლავ და კვლავ აზრის სფეროში იტრიალებს და ხელოვნებასთან ძალზე შორეული დამოკიდებულება ექნება.

ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემა ამჟამად მსოფლიოში და განსაკუთრებით ისეთი მცირერიცხოვანი ერებისათვის, როგორც, მაგალითად, ქართველი ერია, სოფლის თანდათანობით დაკარგულების და დიდი და მცირე ქალაქების კატასტროფული ზრდის პრობლემა.

ჩვენს დროში ლედაშიწის მოსახლეობის რიცხვმა გუგონარ მასშტაბებს მიადგინა, მაგრამ კიდევ უფრო გაუგონარია ქალაქების მოსახლეობის ზრდის მასშტაბი. ქალაქების მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის საერთო მასშტაბის შესაბამისად როდის მატულობს, რამდენჯერმე წინ უსწრებს მას. ადამიანები წინაუხედავად გაურბიან მიწის ეკოლოგიის ამ დაზღვეულ მოვლენას ყველა ქვეყანაში თავისი სოციალური მიზეზები და შედეგები აქვს თავისი მიზეზები და შედეგები აქვს მას ჩვენსავე, სამშობლო კავშირში და, კერძოდ, საქართველოში.

ამ მოვლენას ყველგან გაცხოველებით იკვლევს სოციოლოგები და ეკონომისტები, სტატისტიკოსები და ბიოლოგები, ზენებრივია, თუ მით ინტერესდებიან ლიტერატურისა და ხელოვნების თუშაკებიც. ამ თემაზე უამრავი მოთხრობა მთ რამდინ იმერტა, უამრავი ენო და ტრადიცილი იღვამება.

სოფლიდან ქალაქისკენ ლტოლვას, რასაკვირველია, მარტო ეკონომიკის მხრიდან არ უნდა შევხედოთ, საყვედლოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მასობრივი უზრანინება ანგრეკს ეროვნულ ნიადაგს, რომელზედაც სულ რამდენიმე წლის წინათ მყარად იდგნენ ერები და სახელმწიფოები. მსობლიური მიწისაგან მოწყვეტა და თანამედროვე ქალაქის

ორომტრიალში გათქვეფა თავიანთი ეროვნულ სახეს უკარგავს ადამიანებს, ვინაიდან მანქანები და მეცნიერული სქემები უკარგავს აზრს მათი მომხმარებლებს ქრთვნილნი უკარგავს ნაობის მიმართ.

ეს შეზარაფი სურათი, ვფიქრობ, არაუადგაიკარგებს. ის მხოლოდ ლოგაიკური განვითარება მთელ საუკუნის სამხედლო სენისა, რომელსაც სახედად მიწისაგან მასობრივ ლტოლვას და ქალაქების არანორმალურ ზრდას ეძწოდებო.

ვის უფრო ემქრება საუკუნის ეს დიდი სატყვიანო? ვისი ყოფნა-არყოფნა დგება ისტორიის სასწორზე? იმათი, ვისაც წინაღმდეგობის გაწევის ნაკლები უნარი აქვთ, პატარა ერებია, მცირერიცხოვანი ხალხებია, რომელთა შორისაც, სამწუხაროდ, ჩვენც, ქართველებიც ვიპოვებთ.

ამიტომაც ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ თემის მხატვრულ დამუშავების დიდი მნიშვნელობა საქართველოს სინამდვილეში, ამიტომაც გამოიწვია ასე ღრმა დანტერესება რეცისორ ოთარ აბესაძის ახლანდელ გამოქვეყნებულ წიგნში, რომლის სათაურია «მალე გახდებოლი მოვა».

ფილმი შექმნილია ოტია იოსელიანის, თეიმურაზ მღალაფერიძის და ოთარ აბესაძის სცენარის მიხედვით.

ჩვენი ნიჭიერი ბუნებრივტი ოტია იოსელიანი პირველად როდის მიმართავს თავისი ხალხის ცხოვრების ამ მტკივნეულ მხარეს, ქართველი მკითხველი ადრევე აღივლევს და მოუხიზლავს მის მიერ ოსტატურად გამოქრწილ ქართული სოფლის ადამიანების მართალ სახეებს. მე მაგონდება მისი «ლევიან», «ვარსკვლავთყვევა», «ჩქარი მატარებლიდან», მოვლოდნელი სტულიადაც არ იყო, როცა ოტია იოსელიანმა თავის თანატოლებთან ერთად, ამ უადრესად პასუხსაგებ საქმეს მოკიდა ხელი.

მინავოს დრამატულ როლზე შეჩერება არც სერგო ზაქარაძისათვის იყო შემოხვევათი. მას, როგორც ყველა გულმტკივალ მამულაშვილს, დიდი ხანია აღუღებს და მოსვენებას არ აძლევს ეს მტკივნეული ვარემოება. ის ყოველთვის ეძებდა და დღესაც ეძებს საშუალებას თავისი მსახობრივი ოსტატობით გერევეს მთელი ტრაგეში მთა-პაპეტლი კერის მოშლისა, მთელი თავისი უზარმაზარი ტალანტით შეებრძოლოს ამ ურჩხულს და შეილობრივი ვალი მოიხადოს მშობელი ხალხის წინაშე.

ამავე ეთილშიობილურმა მისწრაფებამ დააუწინა აპარატთან რეცისორი ოთარ აბესაძე.

გამართალია თუ არა ფილმი «მალე გახდებოლი მოვა» ჩვენი იმედი, მაყურებლის იმედი, თუნდაც იმათი იმედი, ვინც წილწადაც მებრდრო მოანდომა ჭერ სცენარზე და შემდეგ ფილმზე მუშაობას?

ეკარ, ეერ გამართალია, ფილმი, მართალია,

უღრესად მნიშვნელოვანი პრობლემისადმი იყო მიძღვნილი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ის მაინც ძალზე ზერულ, ნებისმიერი და ილუტრირებული გამოვიდა. ფილმი ვერ იხსნა ვერც ცალკეულმა კოლონიტელმა ეპიზოდებში, ვერც ალგალაგ ჩართულმა მოხდენილმა დიალოგმა, ვერც რეჟისორულმა მიგნებებმა და ასე გასინჯეთ, ვერც სახელგანთქმული მსახიობების — სესლია თუჯაშვილის, სერგო ზაქარაიძის და სხვათა მონაწილეობაში თამაშში.

იქ, სადაც მიუხედავად უნდა აღგზნებულ იყო, ის გულგრილი დარჩა, იქ, სადაც უნდა გვეკრძა, დიხალი მოგვეჩია, იქ, სადაც მაღალ აზრებს უნდა ეზიარებოდით, პირში ჩალაგამოვლბული დაგებოვებს.

სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? რასაკარგვლია, ფილმის ლიტერატურულ პირველ წყაროში — სცენარში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მის კინემატოგრაფიულ ხორცშესხში. დამდგმელმა რეჟისორმა, ოპერატორმა, მხატვარმა, კომპოზიტორმა და დაბოლოს, მსახიობებმა, ეტყობა, ნაჭბარეველ დიორწმუნეს თავი, რომ სცენარში ვეღაფერი თავის ადგილზე იყო და ის ითამაშეს, რაც დაკისრებული მხატვრული ამოცანის მიხედვით უნდა ეთამაშათ. და რა მივიღებთ? რაც უფრო დიდი იყო მათი ცდა და სურვილი ღრმად გამოეცხათ ამითიმი სიტუაციის სიმძაფრე, შედეგი საწინააღმდეგო გამოდიოდა, რატომ? იმიტომ, რომ მღვთმარტოების ტრაგიკში თუ კომიკში თვით სცენარზე გილომდე გამოყველველი, ბოლომდე ვაგზარებული და ბოლომდე გამოვსახავი იყო, რაკი გვირთა ქაქცილი, მათ ამითიმი სულერი მღვთმარტობას საფუძველი, მიზეზთა მიზეზი და შემდგომ ამ საფუძვლის ლოგიკური ვაგრძელება და დაგვერგვინება არ გამოეჩნა, ხასიათები ნადავადიან ამოთხარაღ ნერგვიით პერში გამოეყიდა და ეკრანისა და მყურებელს შორის ინტიმი და ურთიერთინდობა გაწყდა.

რა ქმნის აქ ფილმის მთავარ კონფლიქტს? რა არის ის ხარის რქა, რომელზედაც ბრუნავს დღეამიწა? მინაგოს ოჯახის დაცარალება, მიწაგოს შეიღობის — ბიძინასა და გიოს მიერ მშობლიური სოფლის მიტოვება, მამა-პაპეულ ოჯახისათვის ზურგის შექცევა და ქალაქში გახიზნვა.

რა არის მიზეზი თვით ამ მოვლენის? როგორ ხსნიან მას ფილმის ავტორები და რამდენად ღრმად იკვლევენ ის საზოგადოებრივი მოვლენის ეკრამ გამოვლენებას? შეიძლება თუ არა მინაგოს ოჯახის გერძო დრამა მთელი ერის დრამად განეჯიოვადოთ?

არა, და არ, რატომ: მამისეული სახლიდან ახალგაზრდების წასვლა, მათ მიერ მშობლიური სოფლის მიტოვება არ არის ავტოლებლობით ნაკარნახევი, ფილმის მიხედვით მათ შეეძლოთ ასე არ მოქცეულიყვნენ.

მინაგოს უფროს შვილს — ბიძინას, როგორც ავტორებს — ქალაქელი ქალე ყველა ცალად და მდიდარი სიდედრი და ცოლის ნათესაობა ქალაქისკენ ეზიდებო. ამას ვარდა, ბიძინას მათ ოჯახთან დაახლოებული თანახლოებული ქალიშვილი ფოთოლა შეკვეთებო. ფოთოლის რძობაზე ოცნებობდა თვით ბიძინას დედაც. ამ ურთიერთობის ვაგრძელება, რაც ვარდავალა, თუ შეკვეთებულები ერთმანეთის მეზობლად დარჩებოან სოფელში, ბიძინას საუფთარი ოჯახის დანგრევით ემუქრება. ბოლოს, ის ვერ უძლებს წამოჭრილ წინააღმდეგობებს, თმობს და ქალაქს აფარებს თავს.

სულ სხვაა მიზეზი უმცროსი ვაჟის — გიოს ქალაქში ყოფნისა და სოფლისაგან მოწყვეტისა. ის ჭერ კიდევ სწავლობს, სტუდენტია. მამა-მამამდე, ჭერ კიდევ არ ვიციოთ, მოსწყდება სოფელს თუ არა!

როგორც ვხედავთ, ახალგაზრდების მიერ სოფლის დატოვების და მამა-პაპეული კარმიღამოს მთაველი ვაგარტახების მიზეზი, რაზედაც აგებულია ფილმის დრამა, არცთუ ისე კატეგორიული და ვარდავალა. ეთქვით, ბიძინას არ ჰყოლიდა ცოლად ქალაქელი ქალი, სიდედრიც სხვანაირი ხასიათისა ყოფილიყო, არც ფოთლა შეკვეთებოდა, მამამ? მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ისე წარმართებოდა ვპირების ცხოვრება, როგორც წარმართა, თუ არა?

აი, ასე ადვილად იღუნება ფილმის დრამატურგისი ღვბი, რომელმაც თავიდანვე უნდა მოეკეციოს მხატვრული ავტოლებლობის მარწყებში და მოქმედების შემდგომი განვითარების ვარიანტებზე ფაქრის შესაძლებლობას წინ აღუდგეს.

რაკი მთავარი გმირის სულში დატრიალებული დრამის მოტივი ასე ზერულად და ნებისმიერია, ცხადია, გვეძნელება და შეუძლებელიც კია მისდამი დიდი თანავარძობის დაბადება და შენარბუნება, ვინც არ უნდა იყოს როლის შემსრულებელი.

შეღამ უნდა ვგახსოვდეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის, რომელიც კლასიკურ ლიტერატურას ანტიკური ხანიდან მოსდევს: დრამის მიზეზი თუ საფუძველი თავისი სიღრმითა და ყოვლის მომცველობით ყოველთვის აღმამტება ცალკეულ გმირის ადამიანურ ნებას და ქალიწულს, ბედისწყობის შეკავსად გმირს ის ისე ათამაშებს, როგორც მოსურბება. ვპირი და მისი ბედი დრამის მოტივისათვის უბრალო სათამაშოა. ტრაგიკშივე სწორად ეს ვარემოება ჰბადებს და მოქმედებასაც ეს იმპული წარმართავს მხატვრული ავტოლებლობის ერთადერთ არსში.

აქ კი რა მოხდა? ფილმი ვერ ვასცდა ეგვიპრულ ფაქტს და, მიუხედავად მისა შემქმნელების ოჯახისა და ვარჯისა, ვერ ამიღდა სისურველ ვაზოგადებად.

არის არანაკლებ მნიშვნელოვანი და არანაკლებ სადავო სხვა საკითხებიც. ფილმის ზოგირითი პერსონაჟის პირით, რასაც ნაწარმოების მთლიანი ქსოვილის საერთო ტენდენცია არსად ეწინააღმდეგება, შრომის ერთადერთ სახელ, ერთადერთ აუცილებელ და სასარგებლო საქმიანობად, მიჩნეულია გლეხის შრომა, სხვა ვეკლდფერი გათილებულია და უბრალო ცნობიერებაზე და ფუქსავატობაზე დაყვანილი. თვით ფინალი ფილმისა, სადაც საერთოდ ქალაქი თუ მინაგოს შეიღების კერძო ცხოვრება წარმოგვიდგება, სწორედ ამ უკანასკნელი მისაზრების საბოლოო დადასტურებაა.

მატებს რამეს ფილმის მიზანდასახულებას მისი ქალაქური ეპიზოდები? ამ ფილმით ჩვენს მიზანად დავისახეთ ვებრძოლოთ ჭარბად აღამიანის მიწისაგან მოწყვეტას არა იმიტომ, რომ ქალაქი უზნეოა, ეს საკითხი აქ არა დგას, არამედ იმიტომ, რომ თვითველი ჩვენგანის მიწიდან მოწყვეტილი მშობელ ერს აკლდება მიტოვებულ წინადაცთან სისხლბორცველი კავშირის უნარი და ის თანდათანობით ეშვება კოსმოპოლიტიზმის უსახო მორცევი. ჩვენ, ფილმის შემქმნელები რომ ვართ, ვებრძვით ამ მომავლიდნებულ სამშრომელ მიუხედავად იმისა, თუ როგორია თავისთავად ქალაქი, კარგი თუ ცუდი, ზნეობრივი თუ უზნეო.

არის კიდევ ერთი ხელის შემშლელი ტენდენცია. იგი ამ ნაწარმოებზე თავიდან ბოლომდე გასდევს.

ფილმი საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სოფლად დარჩენა და მიწისთან ქილილი რაღაც განსაკუთრებული დამსახურება იყოს აღამიანების ერთი სექტორა, რომლებიც, რაღაც არ უნდა დაუვლეთ, ახორციელდნენ ინარჩუნებენ თავიანთ უზო-უფრეს და კარმიდამოს.

მართლა ასეა ცხოვრებაში თუ არა? ცხადია, არა. ცოცხალი, რეალური აღამიანები, რომელთაც აქვთ სახლი, ყავთ ცოლ-შვილი და წუთასოფელს დახლოებით მაინც ისე ატარებენ, როგორც მათ მამასა და პაპს უტარებია, ქვეყნად აბსტრაქციებით არ საზრდობენ და არ ცხოვრობენ. ხელნაწიულ ბრძოლაში ჩაბმულ კონკრეტულ კანისკეს ბრძოლაში მომენტში ვანა ბალოუს თავისი მოჭმელების აბსტრაგირება? ხელნაწიულ ბრძოლაში, მკარწყნეთ, განუცხებელი მსჯელობისათვის ყერ არავის მოუძღვია. იქ სოკედლობა და სიცოცხლის საკითხი წყდება. ან შენ და ან მტერია! ბრძოლაში საქმისა გამოიჩინა პირადი ვაზდულდება, ცოდნა, გამძლეობა და მოხერხებულობა, რათა როგორც, რაღაცნაირი საშუალებით სწლო მტერს და ან გზით გადაარჩინო მომავლიდნებულ საფრთხეში ჩავარდნილი საკუთარი სიცოცხლე. ობიექტურად ეს ის არის, რასაც სამშობლოსათვის ვეკაცური თავდადება ჰქვია, მაგრამ ხელნაწიული ბრძოლის მომენტში იგი შენი საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისა-

თვის ბრძოლად წარმოგვიდგა, პატრიოტიზმის მაღალმა მცნებამ ამ შემთხვევაში ეს უნაქრტული სახე მიიღო.

აი, რას ეუბნება შეიღის თანხმის და მინაგანის წინააღმდეგობებით აღბეჭდილ მონოლოგში ფილმის მთავარი გმირი მინაგო:

„კი, სწავლობ... ვიცი, მუშაობთ, არა, რომ სწავლობთ, ეს კარგია, რომ მუშაობთ, კიდევ უფრო უკეთესი. ვიცი, უსაქმურები არ გამოზრდიხართ, მინაგოლით არ მოგვეცდებით, მარა უშველის მერე ეს საქმეს?“

რა საქმეს? რომელ საქმეს? მინაგოს რაღაც უფრო მეტის და მნიშვნელოვანის თქმა უნდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გვეუბნება, რადგან ამ სათქმელის გამგლავება არ შედის მის კომპიტენციაში. ეს სათქმელი აუტორების სათქმელია და არა გმირისა.

„არც შენ დავეუწყებოხარ, მამა...“ — პასუხობს შვილი.

„გახსოვართ...“ — ირონიულად შენიშნავს მინაგო, — ხომე... კარგია, მერე? რა იფიქრეთ?“

რა უნდა ეფიქრათ, ვანა ცუდი რამ უფიქრიათ?

„იქნება მერე ზამთრობით მაინც ჩამოვიდო...“ — შეზავებენ შვილები, — ვახანხულზე ჩვენც, რაც დრო იქნება...“

„ვესტერპროთ სოფელს? — კვლავ ირონიულად შენიშნავს მინაგო, — ჰო, კი მარა, რომ ჩველო, რა დავგვხდება, ანდა რა პირით ჩავალთ? იფიქრეთ ამაზე? იქ ქირდა და შენ აქეთ ჩამოხვედი, ერთი კაცი კიდე მოაკლდა სოფელს. ახლა ზემე წამოყვანა ვიფიქრიათ. ეს მთლად უკეთესი, აწი უფრო გაუქირდებათ(?)“.

ვის? ვის გაუქირდება?

ეს დავეუწყებდა, რომ ჩვენი მინაგო ერთი უბრალო გლეხია, ილია ჰაქვიანე ეს არ არის, ენც თავისი ცხოვრების დანიშნულებით მოვლენა ცალკეული ხის უკან ტყე დაინახოს და თავის განუყოფელ და ერთიან მამულზე იზრუნოს.

„დღეს რაყაა ხელ ისიც აღარ იქნება, — განავრძობს შვილების შეკონებას მინაგო, — იფიქრეთ ამაზე (?)? კარგად ვიფიქრიათ. ხოდა შეიფიქრეთ, რომ მეც მომწყვეტოთ იმის, რომ თაქ მიტოვებულია (?). მე რა, კაცო, ჩემთვის სულ ერთია, დღესა ვარ, ხელ აღარ ვიქნები, მე რა მკითხოს კაცმა, აქ უფრო მინარჩენია ჩემთვის აქ კია. ვინ იცის, იქნებ უკლებილესაში მოვესწრო, სხვა რა უნდა ვქნას, დრო და წუთისოფელი რომ მოკამოს, დავქვდები აქ, შემოვიღებ ფებს ფეხზე და ვიქნები ჩემთვის...“

ვიცი, ლეკმაურს არ დამამადლოთ, აა, ასე იფიქრეთ, ხომე? კარგად ვიფიქრიათ. მამლა ამ ტალახში ღლილია, მომწყვეტა წელი ამ კოყვის თრევამ და ქურების რეცხვამ, შესაწამლ ახარტს რომ წამოვიყიდებ, დავგმა მიქისს. ამას წინაზე ურეში გადამიბრუნდა და

კინადამ ქვეშ მოგვეყვი... აა... ეს იყო ახლა თქვენ და იმიტომ ვინდათ მეც აქ წამოვიყვანოთ... ნამეტანი კარგია. ვერაფერს ვერ ვიტყვი, ასე ვნახე, აბა... მარა, ბიჭო, მიდი, ერთ დღეს კიდე ჩვეიდეო, ამოვიტანო ერთი კოცა წყალი, დავასხათ ამ კერძას, აელესო წალდი, ნაჯახი, ავკრათ ხეხალი, აგჩეხოთ მილად რა ვენახი, გაწვევით ხარ-ძროხა (?!). გოუყარათ ურდელი კარგებს და წაშვიდეოთ. მერე ან ჩავალთ, ან არა, ვიყოთ ამ კოცაში. ქვეყანა მოჩანს აქედან. თქვენ იარეთ და ისწავლეთ. მე დავაჩინებ და დოუცილ მიქვლავბრიყვს. მარა, შეილო, კერიანე რა წყალი გექნებთ დასხმულ, თქვენ სად აპირებთ წასვლას!"

ერთი წუთით ჩავდეთ მინავოს შეილების მდგომარეობაში. რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენზე ეს სიტყვები? რაიმეზე ჩავვაფიქრებდით? ჩალაცი თ დავაკაწმუნებდა? ძნელი დასაჭერებელია მინავომ თვითონაც არ იცის, რას ამბობს, თვითონაც არ ესმის, რად ამბობებულა. მას თუ ვკითხავთ, სოფელს, კერძოდ, მისი სოფელი, ქვეყნის მარჩენალია და ამდენად ავტონომიური რგოლია საზოგადოების ყოფაცხოვრებისათვის. წინდახედულმა ქალაქებმა, ანუ მისმა შეილებმა — ბიძინამ და გიომ სოფელს ხენა-თესვის ილაზე უნდა მოაშორონ, რათა განმეორებით ჩასვლას ამ ქარზე დასვდეთ. მაგრამ თუ ბიძინა და გიომ ქალქ ადგილასაც დიდებულად ცხოვრობენ და საგზაფხულო ხენა-თესვა მოსაგონებლადაც არა სჭირდებათ? ამის გამოვან არ იფიქრებენ. ეს ბერეკაცი რომ ვაღარაო? იფიქრებენ, რასაკვირველია. სამწუხაროდ, ჩვენც მყურებელიც, ამის გვიჭიკობთ, რადგან მინავოს ოხერასა დომეშვიშს თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრების ნამდვილი სიმწიფეების დრმა ანალიზი და ამ სიმწიფეების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი აქლია.

რას წარმოადგენს თვით სოფელი მინავოს გავებით? ეს არის ამქვეყნიერი ჭოჭოხეთი, კატორღა, სადაც სხვებისათვის თავგანწირული აღმანებნი იღწვიან. იმ დროს, როდესაც ის სხვები დროსა და წუთისოფელს სკამზე ქალქში, კეთილშობილი კატორღელები პატრიარქალურ დოქტრინას ქმნიან სოფელად. იმ კეთილშობილმა კატორღელებმა, თვით მინავოს შგავსად, სოფელში თავი ნებაყოფლობით, თავგანწირვის წინასწარი განზრახვით ვაღაისახდეს, ისე კი, რაც მართალია, მართალია, ქალქში ცხოვრება გონს. „მე რა მოითხოვ კაცმა, აქ უფრო მირჩენია, ზემოთის აქ კაია.“ სოფელად ტალახში დალოლიალობენ, კოცების თრევით და ქვევრების რეცხვით წალს იწვევებენ. შესაწამლ აპარატს ძლივს ჯაოთრევენ ევენახში.

მართლაც ძნელი ცხოვრების სურათი: დაბატელი, აღიწვ ევ არის, ვინაც სკამში ჩავერდელია, ხომ ვიცი: ქართული გულს ოდიოგანევი ასე უტკბოვია. ეს ცხოვრება ქართული

გლებისა, რომელიც კი არ პატრიარქობს მარჩენალ მიწასთან სიხლოვით, ახამედ ცხოვრობს, კი არ აპარებება ან კი არ ცხენისს ნახამედ თებრების ყოველგვარ სიმწიფეს... დასახმანს თუ მუდამის და ამით სტლიერ და ნიეთიერ დამაყოფილებას პოულობს. გლეხური ცხოვრება ვილაც ანსტრატული მოყვანის სარჩუნად წამოკიდებული მიმზე ტვირთი კი არა, სავსებით რეალური ყოფია, ეს ყოფა კი ავსებულა ყოველდღიური ზრდისათვის საკვთარი ოქახის კეთილდღეობისათვის, რაიც ქვეყნის დოვლათისა და უკვადეების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

მამასადამე, ირკვევა, რომ მინავოს მტკიცება სოფლის მარჩენალობის შესახებ ამ კონკრეტულ ეთარებაში ლიტონი სიტყვები ყოფილა, რადგან შეილებს — გიოსა და ბიძინას სოფლის ვარგეუც მშვენიერად შეუძლიათ ვილდება. მათ არც სკამელი აკლიათ, არც სსამელი. მამურალ მამას თუნდაც მუხლზე მუხლგადადებულს ამყოფებენ და ყველა სადარდელს გუქარებენ. თვით მინავოსაც აქ უჩრჩენია ყოფნა, რადგან „მისთვის აქ კაია“. ერთიცა და მეორიც დიდებულ კოცაში ცხოვრობს, საიდანაც მთელი ქვეყანა ჩანს...

მამასადამე, ნილაგმოკლებული ყოფილა მხრუნელი მამის შფოთიანი სიტყვები, თავს საღა შეაფარებთ, მამისეულ კერაზე რომ წყალი გექნებთ დასხმული. განა საკითხავია, სად შეაფარებენ?

ერთი სიტყვით, „აქ კაია“.

აბა, რაღად მიწვევს მინავოს გული სოფლისკენ? მას და მის შეილებს ხომ უკვე დიდი ხანია აღარ სჭირდებათ სოფელი? რა უღვეს საფუძელად ბერეკაციის ტანჯვას. მის ტრაგიკულ სულსკვეთებას, რომელიც მყურებელმა მთელი ერის წეხილად უნდა წარმოადგინოს?

გვირის ხასიათის ყველა ამ შინაგანი წინაღმდეგობის გამო ხომ არ არის მოკლებული მინავოს მოქმედება ლოგიკურ საფუძველს და ამდენად ხომ არ იქცევა იგი, ეს მოქმედება, ბუნებლად ბერეკაციის ყოველად დაუსაბუთებელ ახარებად? ეშოშობ, რომ ასეა, ეშოშობ, რომ თავისდაუნებურად ავტორები სწორედ იმას ამტკიცებენ, რის წინააღმდეგაც ვალაქებია განიზრახეს.

ოთარ პესიასის ფილმის, უფრო კი მისი ლიტერატურული პირველწყაროს, განხილვას ძილიან ბეჭერ დრო და ადგილი დაეუთმე. საზოგადოებრივად მნიშველადიანი პრობლემა, რომლის მხატვრული დამუშავებაც სცენარის ავტორებს — ოტიკა იოსელიანს, თეიმურაზ მელაფევრიძეს და ოთარ ამესაძეს განუზრახავთ, სინამდვილის მოკლებუბში, ხალხის ცხოვრებაში უფრო ღრმად ჩაწვდომას და მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვს. უამისოდ შეუძლებელია ფილმმა შესარტლოს თავისი დანიშნულება.



ბა, რომე სასარგებლო როლი ითამაშოს ქვეყნის ცხოვრებაში. რა გვათხრეს? რა დაგვიმტკიცებს? არაფერი, მხოლოდ ის, რაც უამისადაც ფაქტი იყო და შემეწინვრალ ვიცოდით.

სტენარსა და შემდგომ ფილმს სხვა თვალში საცემო ნაკლოვანებებიც აქვს. ზედმეტად პრაქტიკული და ჩიკორთულია, მავალითად, მისი ენობრივი ქსოვილი. კარგი იქნებოდა, აგრაზეც, ავტორებს ეგრეთეს და ფილმისათვის მისი დედაბრის გამოხატული, სწორი ქართულით გამართული სათაური მიეცათ.

ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა, სათაური ის სასკმელია, რომელში შეხედვისისათვის ნაწარმოების მთელ შინაგან სამუაროს დაინახავი. არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ სწორ გამსახურდამს.

„მალე გაზაფხული მოვა“...

საიდან მშინდინარეობს ამ სიტყვებში ჩაქსოვილი უკა-რატინიზმი? არსიდანაა ფილმი სრულ ოდნავდაც კი არ მიგვიანწუნებს, რომ ოდესმე და, მითუმეტეს, მალე მოვა გაზაფხული, რომ მართლა გამოიღარებს, რომ მართლა გაგვათბობს მზე, რომ ამ საქმეს რაიმე ეშველებს.

ოტო იოსელიანს და მის თანაავტორებს მეტი მოეთხოვებოდათ. მეტი მოეთხოვება ნიჭიერ რეჟისორ ოთარ აბუჯაძეს და მთელ დამდგმულ ჯგუფს. მათ არ უნდა დაივიწყონ უბრალო ტემპორიტება, რომ მნიშვნელოვანი პრობლემის სუსტი მხატვრული ხერხებით გადაწყვეტას მხოლოდ ზიანის მოტანა, თუთ პრობლემის აბურად აგდება და ვაბიბრება შეუძლია.

ამით ვამთავრებ რამდენიმე შენიშვნას ზემოთხსენებულ ფილმზე. ეს შენიშვნები უმთავრესად მის დედაბრის, მის იდეურ მიზანდასახულებას, ავტორების ესთეტიკურ იდეალს და სიყვარულის ღერს შეეხებოდა. მე ვინჯახ არ განვიხილუ ცალკეული სიმბოლური სცენები და ცალკეული მსახობების მიერ მათთვის დაკორებული როლის შესრულების ხარისხი, რადგან ეს ამჟამად საქარო და გადაუდებელ საქმედ ვერ მივიჩნევ.

ჩემს მიერ უკვე განხილულ ნაწარმოებს შორეულად ენათესავენა, აგრეთვე, სრულმეტრეთანი მხატვრული ფილმი „დიდი მწევანე ველი“. იგი რეჟისორმა მეტად კოკონაშვილმა დადგა მწერალ მერაბ ელიოზიშვილის სტენარის მიხედვით. სტენარის ავტორიც და რეჟისორიც ახალგაზრდები არიან. მათ უკვე ისახულებს თავი თავიანთი პირველი ნაწარმოებებით.

მერაბ ელიოზიშვილი ომისშემდგომ ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი ყოლობიტული ფიგურაა. ის ნამდვილად ფილმს ქართულ სიტყვის სიღრმელოს და მეთიველსა და მათურებელს თავისი საკუთარი თვლით დაინახული და გულთი ნაგრძნობა სინამდვილის მოწმედ და მოწინაილედ აქცევს.

რით გაგვახარა ამჟამად ჩვენმა მწერალმა?

ამთავითვე თამაშალ შემოდლი განვიხილავო, რომ წმინდა მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით სტენარი „დიდი მწევანე ველი“ სხობს, წინ ვადადგმული ნაბიჯია მეტად უკმარისობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ავტორი, შესაძლოა, ჭერ კიდევ ვერ ახერხებდეს თავისი ნაწარმოების ყველა კუთხის ერთიანობა ძალით დამუშავებას, შესაძლოა, მას ალგა-ალგ ხამიერებასა და მხატვრული სიმართლის გრძობა-ბა-ც დალატობდეს, მაგრამ ერთი რამ მინც ცხადი და უშკველია: მეტად ელიოზიშვილის თავისი სათქმელი მოაქვს, მისი პერსონაჟები ცოცხალი ადამიანები არიან, ისინი ნამდვილად ცხოვრობენ უკანაზე, ხარობენ, ტანჯებიან, ოცნებობენ, აწუთ თავიანთი იდეალები, მისწრაფებები, ენებები, ადამიანური ღირსებები და ნაკლოვანებები. გმარების ცხოვრება უშუალოდ მოდის მათურებელთს და ჩვეს, მათურებელი, უშუალოდ ვამუარებთ დამოყვებულებს ამასთან, რაც ეკარანზე ხდება. ეს ხომ უნდა ტემპორიტე მხატვრული ნაწარმოების უპირველესი თვისებაა. ავტორისეული ჩინი თთქოსდა წინასწარ დარაიებული გმირის პირით, წინ წამოწეული ტენდენცია, როცა დეკორაციის თუ ტანსაცმლის ყოველი ლამბი თვალეში გვიჩორება, კლავს ხელოვნებას და მას უსაზღვროდ მოსაწყენს და თავმომამბურებელს ხდის.

რაკი სხვა გზა არ არის, ქვემოთ მე ამჯამო ყვილის ფილმებსაც შეეხები, ისინიც ხომ 1967 წელს დაიღმა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამიტომ შობად, ისე უდიდ მწევანე ველს დაუბრუნდეთ.

იგი იწყება უაღრესად დაძაბული, ტყეიფი და ზუსტი ლიტერატურული და კინემატოგრაფიული მტრიბებით მოხაზული ეპიზოდით. ამ ეპიზოდით სათავეს იღებს რაღაც დიდი ამბავი, მაგრამ რაღაც ძალიან დიდი ამბავი უკვე მომხდარია, გმირების ღრამატრისმით დამუხტულ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილ უკვე გავალილია, მაგრამ ამ ეპიზოდით მინც იწყება რაღაც ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი, ავტორები გეგმობდებიან, ჩვენი გმირების სულიერი ცხოვრების აქმედ უცნობ და უხილავ ლაბირინთებში შეფიყვანითა და ამის კიდევაც ახერხებენ.

მათურებლისათვის დატვიწყარია დიდო ამაშის გოლიათი მწევანე სოსანა, ეს დიდი, კეთილი ბავშვი, ვისი წარმოსახვაც საესვა პირველყოფილი ხილებით, ღრმა აზრის შემცველი პრიმიტიული სურათებით, ვისი გულცი ადამიანების, ახლობლების, ყოველი სულდგმულს სიყვარულს იტევს, ვისაც შეუძლია პტირება, ნაზი ღურსი და ამეე ღრის ისიც, რომ დამკრალი დამიეთ მძინეარე იყოს, მაგრამ მინც არ ღამჯაროს დიდი სიყვით და მთელი სიკაცელი მტლედ დაედოს სხვათა კეთილდღობას.

სურათის პერსონაჟთაგან სოსანას მხოლოდ

ღვიძლი შვანი და ნახირში უცოლშვილოდ და-  
ბერებულა მწყემსი ქუჩა-გიორგი აცნობენ.  
განმორჩებიან წუთებში ქუჩა-გიორგი სოსანას  
ღახსათებმასაც კი ღამობს, მაგრამ ამოდის ის,  
რაც გულმა იცის, ენას გამოსათქმელად არ  
ემორჩილება.

ქუჩა-გიორგის ლიტერატურულ სახეს, შე-  
საძლავა, შორეული წინაპრები თუ წინაპრებ-  
ლები გამრუტებნით ქართულ პრინციპში, მაგ-  
რამ ის ძალზე შთამბეჭდავად და ახლებურად  
წარმოგვისახა შესაბამის ილია ბავაყურმა. და-  
მიღს გვერის ბავაყურის მიერ განსაზღვრებუ-  
ლი გვირის ცეკრა და ამავ დროს გული სიბ-  
რალოლული და თანგარბობით გვესება. ნახირში  
დაბრუნებულ ამ ფაქტს კაცუნმა, რომელსაც  
გადამეტებულად ზრდილობიანი და აქ, ბოსელ-  
ში, არცთუ ისე საჭირო სიტყვა-პასუხა სრე-  
ვია, თუმცე დედამაჲ ცოცხელი პელონა, გი-  
ორგი სულ აპირებს შათ მისახებლად წაე-  
ლას, სულ და ასე ეპირება დრო თვალსა და  
ხელს შუა, ბოლოს, მიღის, სოსანას მარტო და-  
ტოვებით გულშეკრული და თან იმით დამე-  
დებული, იქნებ ჩემს შემომყურე შშობლებს  
ბერეკაცობაში მინც გაეწეო შეილობა და  
ოჯახში მოვეყოლო...

ასე ვამბობდი, უფერზე ამას და გელამება,  
თან გული სიბრაღულით გვესება, განსაკუთრე-  
ბით მამინ, როცა ხელმოცარული გიორგი უკი-  
ვე ბრუნდენა ჯოგში და თავისი საქმის ერთგუ-  
ლების ზნეობრივ მავალით, სოსანას, თავე-  
ნისმცემელი ადამიანის გულწრფელობით ეტ-  
ბნება: ბუღილად ვიარე, ბატივეყმული სოსა-  
ნა, ვერც ცოლი შევიართე და ვერც სხვა მხარე  
გავაწეე რამეო.

ასევე ღრმად ვამახსოვრდება სოსანას ახლ-  
გახზრდა მუდღულე, პირიშივე. ცხოვრებისეული  
მისი სიღრმეი დრამა, რომელსაც ეგრესად ვამ-  
ქევივა. ახლაც თითქოს ცხადლიე შესმის მისი  
გამწარებელი ჩიტირელი ფილმის პირველსავე  
ეპიზოდში...

გულრონოვირლი გზნე გზის სატკემა მან-  
ქნამდე გაიარა. საჭეს ვიდაც თეთრშელოვილი  
ახალგაზრდა ფრის და გზადაგზა კეეს ღეჭავს.  
შემდეგ გამოჩნდება ცხენწებული ფორანი,  
რომელზედაც თავიარებანქვედელი ვოლანთი  
ზის და ცხენს აუჩქარებლიე მოერეკება. ღო-  
ბის გადაღმა, ეზოში, ქალი სარეცხს რეცხს.  
ქალს თვლი გზის სატკევისავენ უქირავს. წუ-  
ხანდელი ღამის ნაქურდალი ნეტარება თუ  
ელანდება. ბავშვის ხმა კაღას გავრთ: „მამა  
მოვიდა, მამა! ქალი შევართა, სარეცხი ხელი-  
ღან გაუვირდა, მისი სახის უშფოთველი გი-  
ომივტრეველება მარწოლა მესცავლა. და ის  
გარბნის, ეწევა გზის სატკეცს და ხმამაღალი  
ჩიტირულით, სხვამ რომ არავინ გაივინოს, ებ-  
ვეწება, ემუდარება ახალგაზრდას: „ჩამოდი,  
შემოდი ეზოში, მარტო ვერ შევხვდებიო...“  
„უცხო ხომ არ არის, შენი ქმარიო“, „რა თქვი,

იღეჭსანდო? კაცო, რა დროს ზეპირობაო თქ-  
ხედავ, მოდის, არა? ჩამოდი! ხო მოველაპარა-  
კეთ, ხო მოველაპარაკეთ, არეხე, ჩემდღააო...“  
ჩამოდი!

მაგრამ ახალგაზრდა მშვიდად ატრიალებს სა-  
ჭეს, აქეთ არც კი იყურება და კეეს ღეჭავს.  
თან თავისი საწადელი ასრულა, გულის კიბა  
მოივლა და ახლა აღარაფრად მიჩინდა ქალის ეს  
განწირული მუდარა და ჩივილი.

ქალი აქეთ-იქით აწუდება, რა ქნას? ფო-  
რანი და ფორანის კოფოზე არხეინად მჭდობი  
გოლიათი ბელარწერასავით უხალვოდება.

ემზოდს ლოგიკური დაზოლოება აქვს. ქა-  
ლი ღობის სატრებს დავიდეება თავის ჩამობრ-  
ჩობის მიზნით. მას ის გოლიათი, სოსანა, ვა-  
დაარჩენს. სოსანასთვის არავის არაფერი უთ-  
ქვამს, მაგრამ მან უკვე იცის ყველაფერი. იცის  
და სხვის დანაშაულში, უპირველეს ყოვლისა,  
თავის საკუთარ დანაშაულს ხედავს და  
გრძნობს, დაძვარა ცოლ-შვილი უბატრონოდ,  
ღარ მოხდება, თეთონ გაველურებულია, სა-  
ქონელს დასდევს დიდ მწეანე ველზე.

შომდენო ეპიზოდში სოსანა, რომელმაც თა-  
ვისი სახლე-ქარი დანაგრავა, ზოლო საყვარელი  
ადამიანის უნებლიე დაღალტა კი შეურთვდა,  
ცოლსა და შვილთან ერთად კელავ ფორანზე  
ზის და იალღების, დიდი მწეანე ველის გზას  
აღვია.

ახალგაზრდა მსახიობს ლია კანანაძე ვეო  
საღბავები თავისი ტემპერამენტიანი, ფიცხი  
ოვეყრბა და ქალურად შურისმძიებელი გმი-  
რის მართალი სახის დასახატად.

ურავთ როლია შხია მდღაველიაის ბომა-  
ქალი სოფო, რომელაც აქ საიდანდაც მიხე-  
ტებულა, მეტე დაკარგულა, ცოტა ხნის შემ-  
დეგ ქუჩა-გიორგის უბოვინა ბაზარში და დიდა  
ხეწნა-მუდართი უკანვე მოუკეანია. ბოლოს, ქა-  
ლი ისევე მიღის სადღაც გაურკვეველი მიმართ-  
ულლებით.

მაყურებელს ვერა, რა ნახად და თავისე-  
ბური მამაკაციო მოუხეშავობით უყვარს სო-  
სანას თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი, როგორ  
ცდილობს ის შეეყვაროს ბავშვს აქუტრობა, ეს  
მწეანე ველი, ჯოგი მარტობა და მცირედით  
დაქმეაფილება. თეთონაც ხომ შეგოვითა  
შვილი და შვილიშვილია. მამამისი გაეჭე-  
ბულმა ბუღამ აისხვირბლა. „საქმეს შევიწროო“,  
ამბობდაც ამბობს ქუჩა-გიორგი სოსანასა და  
მის მამა-პაპაზე — შეწიკტლება არიან, საქმეს  
შეწირულებით.

მწეანე ველზე, სადაც სოსანა იროტებს ამო-  
ვეებს, მეჭოკვე დიდ წინააღმდეგობებს ხელებს.  
ერთის მხრივაც ოჯახური განხეთქილება — ცო-  
ლი კვლავ სოფელში დაბრუნებას, ხალხსა გა-  
რეებს მოითხოვს. მეორეს მხრივ, კოლმეურ-  
ნეობის ხელმძღვანელობა წერილს წერილზე  
უგზავნის სოსანას: ჯოგი ვამორკეე და ფერმაში  
წამოდიო. საქმე ისაა, რომ ამ ადგილებში ნავ-

თი აღმოჩნდა და სულ მალე აქაურობა ქაბერლიზებით დაიფარება. წყალსაც კი ნავთის სუნი ახდის. სოსანა ჯიუტობს. არ ეშვება ეელს. გეოლოგებთან კონფლიქტაც კი მოეწეა.

ფილმის უკანასკნელ კადრებში მას ყველა ტრავებს. ყველა თავისი გზით მიდის. სოსანა მარტო რჩება მწვანე ველზე თავის ნახიარსს. სოსანა და წინიდან დაბრუნებული ჯეჯა-გიორგი მთელი არსებით ებრძვიან ყველაფერს, რაც კი ნახიარსს საშიშროებას უქმნის. აბა, გაიხსენეთ ფილმის ის ადგილი, სადაც ზურგზე ბარწამოკიდებული გიორგი გზის ნახიარსს, ველზე, ნავთობის გუბელს დაინახავს და უმაღლესი მიწის წაყარის, ჩათა გუბელს გეოლოგებმა არ იპოვნონ და ეს მიწდორიც არ გამოსტაცონ ისედაც დამწველ საქონელს.

ფილმი საქმაოდ დრამატული ეპიზოდით მთავრდება. შინაში ფორნით ბრუნდება სოსანა. ბნა ნაწი ცარიელია. აღარც ცოლ-შვილია, აღარც საქონელი. აქაურობა თოვლს დაუფარავს. თოვლზე კვალაც კი არა ჩანს. გულგახეთქილი სოსანა ფორნიდან ჩამოხტება და ჯოგის მოსაძებნად მიიბნის. თოვლით დაფარულ სერზე შეხვდება ჯეჯა-გიორგის. ისინი მიდიან და დაყარულ ნახიარსს ერთად ეძებენ.

ცოლდა აქაურობა იმის თქმა და მტყიცება. თითქოს ეს ყველაფერი მდარე კინემატოგრაფიულ ხერხებით იყოთ გადაღებული. პირიქით და ათსაგზით პირიქით! „ღიღი მწვანე ველს“ ამ მხრივ წილს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმეა. სადავო ისევე სენარის ავტორთან — მერაბ ელიაზიშვილთან მაქვს. მან მართალია, თავის ახალ ნაწარმებში დასამახოვრებელი, ნამდვილად ცოცხალი, ხელშეშახები სახეები კი შექმნა, მაგრამ საით წარმართა თავისი გმირების სულიერი ცხოვრება, რა იდეალები დავესახება, რა აღმოაჩინა? თუ „ღიღი მწვანე ველს“ დედაბრძის მიხედვით ემსჯელებთ, ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა ძალიან გავეციორდება. გავეციორდება, რადგან სენარის და მასთან ერთად ფილმსაც არსადან არ მოუყვართ და არსად არ მოუყვართ, რამდენად დამაწყებელი და ცხოვრებისეული სოსანას სიუჟეტი? ეს სიუჟეტი ხომ ავტორისეული თვითნებობაა და მოკლებულია ყოველგვარ საღ აზრს. მეოცე საუკუნის ქართული თავის სულაღრ და ეკონომიკური პროგრესის პირველყოფილ საზოგადოებაში დაბრუნებით ვერ მიადწევს. ფილმის ეს ტენდენცია, რომელიც მისი ლიტერატურული პირველწყაროდან მომდინარეობს, არც ახალია და არც ორიგინალური.

ჩვენი ნიჭიერი ისტატების ყველა გულშემატკვრის, მათ შორის პირადად ჩემი სურვილია მათი ახალი ნაწარმები უფრო ნათელი, უფრო რაციონალური და ჭკვევის ინტერესებისათვის უფრო გონივრულად მეტროლი ეპიზოდით.

კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ 1968 წელს ერთი ფრიად თავისებური, თითქოს წინაგან დრამატიზმს მოკლებული, მაგრამ „წინაგან“ დღეილი პოეტური ფილმი გამოუშვა: „წინაგანში“ — „დაბრუნებული ღიღილი“ — ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმისაგან შესდგება. ერთ მათგანს „ალოობა“ ჰქვია, მეორეს — „გოლია ავტობუსზე ავეიანდება“. პირველი ლეულა გორდელაძემ დადგა, მეორე — ნანა მჭედლოძემ. ორივეს სცენარი რეჟის ინანაშვილის მოთხრობების მიხედვით არის დაწერილი.

რეჟის ინანაშვილს დახმავებებს ამ არ გამოუფდება, ის უკვე საქმაოდ ცნობილი მწერალია და წერის თავისებური მანერით, პრობლემარეით და მასალის ორიგინალური დამუშავებით ქართულ ლიტერატურაში თავისი ადგილი აქვს მოპოვებული.

პირველი ფილმი — „ალოობა“ დამდგმელ რეჟისორზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მის ადრეულ ნამუშევრებს, თუკი ასეთი რამ აქვს, აქამდე მაყურებლის ყურადღება არაფრით მიუქცევია. „ალოობა“ სწორედ საუბრითი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, მეორემ — რეჟისორმა ნანა მჭედლოძემ სერიოზული განაცხადი გააკეთა სამი მოკლემეტრაჟიანი, მეტად განებაშახვილური ფილმების დადგმით. ერთ-ერთი მათგანია ოტია იოსელიანის მოთხრობის მიხედვით შექმნილი „ჩაბრი მატარებლიდან“, რომელმაც მაყურებლების საერთო მოწონება დაიმსახურა.

ლეულა გორდელაძის ფილმი „ალოობა“ სიუჟეტი რთული არ არის. ისევე, როგორც რეჟის ინანაშვილის სხვა მოთხრობები, იგი სულ რამდენიმე სელისაგან შედგება. სურათში ნამუშევრები ერთი გულხედი ოჯახი — პაპა, მამა, დედა, ორი ბიჭი და უცხო გოგონა, ვინც ფარული სიყვარულს ეღუწო ჩაეარდნია უფროს ბიჭუნას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფილმის საშად სამ ნაწილში მაყურებლის თვალწინ გავიდა ამ ბატარა ოჯახის ცხოვრება სადილოზიდან სადილოზიდან, ფილმის გმირები განსაკუთრებით არაფერს აკეთებენ. არც ხმალოლებული იბრძვიან საშობოლოს დასაცავად, არც კამიტალოზის გადომინომებს თრგუნავენ საკუთარ არსებაში, არც პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მამართავენ არსებული ნაყოფანებების აღმოსაფხვრელად. ისინი უბრალოდ ცხოვრობენ, ცხოვრობენ ისევე, როგორც ცხოვრობს ასობითა და ათასობით ქართველ მშრომელი აღამიანი, ხნავენ, თესვენ, თიბავენ ბაღებს, უღლიან საქონელს, მოპყავთ ხორბალი, ღვინო, ყავთ თავიანთი ოჯახი, მტკრ-მოუყვარე, არიან არც მდღერები, არც ღარიბები და მიინც მადლოვრნი და ხალხით სავსენი ხედებიან ყოველ ცისმარე ღღე მზის ამოსვლას...

ღიბს, ამ არის ის, რასაც ვისურვებდი, რომ უოფილიყო ფილმი „მალე გაზაფხული მოვა“.

ამგვარი ცხოვრების მონაწილე რომ ყოფილიყო და ავტორებს ძალია არ დაეტანებინათ, მიწაგო ვერ შეენიშნადა გლეხური ცხოვრების სიღრმეები, ისე ძნელი გასაწევი არ იქნებოდა მისი პაპანი, მაშინ არ მოსწყვეტდა წყლს ჩასავალი ქვევრების რეცხვა, წყლით სავსე კოყუნის თრევა, ბუკებში აღარ გააზრიალებდა ვენახის შესაწამლა მანქანის გახსენებაზე.

ყურძნის მოყვანა და ორმოცოციანი ქვევრების ვარცხვა, მართალია, ძნელი საქმეა, მაგრამ, ამა ერთი „ალოობის“ მთავარ გმირს, ზურაბ ჭავჭავაძის მიერ განსაზღვრებულ ბეჯანას ეკითხით, მართლა ნებაყოფლობითი კატორღაა თუ არა მისათვის სიფელი, რომლის ყოველი გოჭი მიწა თავად მისი და მისა მამა-პაპის ოფლის წყუთებით არის მორწყული და გააპოხიტრებული.

უფროებ ფაღმს და ვიხარია, რომ შენც ამ აღამაზნების რიცხს ეუფდები, ეკრანზე რომ მოქმედებენ.

შეიძლება, სიციხე-პაპანაქება. დათო პაპა და სანდალა თივის ტვირთავენ საზიდარზე. მოშორებით აღესილი ცელების რატმული სტრიალი იმისს. მუხლმზავარი ვაეეეეები ბალახს თიბავენ. იქვე რკინიგზა გადის. საცაა მატარებელმა უნდა გამოიაროს. მატარებლის გამოჩენა საშხრობის დათქმული ნიშანია.

„სანდალა, ვიხებე, ბიჭო, არა ჩანს?“  
ბერაკაცს შვილოშვილთან საუბრის ვაბმა სურს, თორემ თვითონ საზიდარზეა აბობდებელი და იქიდან უკეთ არ დაინახავს, ჩანს თუ არა ჩანს მატარებელი? „ჯერ არა ჩანს, პაპა“. სანდალა რკინიგზისაკენ არც კი იხედება, ისე პასუხობს. ის ფიქრით სულ სხვაგან არამარტქ ქადაგად დაეაზრნლიო პაპა ახსოვს. არც თივი, არც მატარებელი და არც შეგვიანებული სამხრო.

ცოტა ხნის შემდეგ მოისმა თვლების დგანდვარა და მატარებლის შეკიელება. „შოღის, პაპა!“ „მამ უკვე სამხრობაც წამოსულა... ვახახე მამაშენსაც“.

ცელეტი ისე ელავენ ბალახში. ვეი იმას. რაც წინ დაუხედებათ!

ღარიბული გლეხური სამხარო მინდორში, თივის ზღინების ძირას. მატარებლის გავლა, გულჯაყების პრიმიტიული და კეთილი ოცნება. მათ ბევრი არაფერი უნდათ, შროლოდ იმაზე ცოტა მეტი, რაც აქვთ. სიცილითა და უწყინარი ურთიერთგაქილეებით შეეჭყვიან, შინიდან წამოძვანალი ლუქმას ერთმანეთს გულლიოდ სთავაზობენ. პა, კინლამ დამეიწყდა: ფილმის გმირები კახელები არიან და მახარობები იგვარი ზუსტი ინტრონაციით მეტყველებენ. ისე ზუსტად გადმოსცევენ ქვეყნის ამ ნაწილის აღამაზნა ბუნებას, წუთით კადევაე გაეიწყდება, თუ კინოდარბაზში იმყოფები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ზურაბ ქუთინაძის თამაში. ამ ახალგაზრდა მახარობში,

რომ, რომელიც ქართულ კინომატოგრაფიაში გუშინ მოვიდა, შეიძლება ითქვას, უკვე მრავალი თავყანისმცემელი გაიჩინა.

დინჯია მისი ბეჯანა, აუჩქარებელი, აქვს ანაინი, თავშეკეებელი, ამაყი და თავისი კაცური კაცობით თავმოწონებული. ცოლთან, მაგდისთან, ურთიერთობაში ბეჯანას ხასიათი უფრო ღრმადდება და მას საღებავები ემატება.

მაგდას როლის მთავონებული, ვახარებელი შესრულებით შედეგ ჩახავამ ერთხელ კიდევ დამტკიცა, რა ღრმად შეუძლია ჩაწვდეს გმირის ხასიათს და რა ძალდაუტანებლოდ ძალუქს მისი ვანსახიერება აპარატის წინ.

ამ გულის წამლებ ზეზუნსა და სიტყვიერ კიბილში, ერთის მხრივ, შემოჭარული ქისტებისა და, მეორეს მხრივ, მხარჯარულ და მტრის ფეხქვეშ დამხოზილ ზვიადურს შორის, დროდღრმო გათვლებს ხოლმე აღაზს პარატესტა, აღაზს სახე ანათებს წყვილიდს, ეს სახე საინოების შეჭია, რომელიც თავს შარავანდედად დასდგომია ზვიადურის ჩაფერფლილ სიცოცხლეს.

ისევე როგორც თვითველი კადრი, მკაცრად და გამოკვეთილ ყოველი როლის შემსრულებლის სახე, მთავარიდაც და ეპიზოდურისაც, ვაჟაგბერ ზვიადნი და უშუალონი აზიან თენჯინ არჩეამის ალუდა და ოთარ მეღვინეთუხუცესის ჭოყოლა. უარესად სადა და ადამიანურია ზურაბ ჭავჭავაძის ზვიადური.

აქაც შეუპოვრობა, აქაც წარბეუხებრელ ერთგულემა მძალდა იფილისა. დაბ, ეს გაბლავთ ზვიადი და მართალი ვეა, პიტლო კლდის ლოღვით ერთიანი და განუყოფელი.

ასეთად დაგვიბატეს ავტორებმა იგი ფაღმის „სტუმარ-მასპინძლის“ მონაკვეთში, სადა, საგანგებოდ უნდა გავამახვილო ყურადღება ფილმის ე. წ. „შესამე ნოველზე“, რომელიც, ჩემის აზრით, ამ უარესად საინტერესო კინონაწარმოების აქტილესის ქუსლია. ფილმის ავტორებს, ეტყობა, უნდოდათ თვით ვეაჟს თხულებებიდან ამოკრეფილი მასალით დაეკავშირებინათ და ერთ ქმნილებად გაემთლიანებინათ ეს ორი ზემოთ განხილული ნაწარმოები. მისი რომელიმე მნიშვნელოვანი პოემა ან მოთხრობა ამ ამოცანის შესასრულებლად, რასაკვირველია, არ გამოდგებოდა, რადგან ამით გამოლიანებას ეი არა, პირიქით, შესამე დამოუკიდებელ „ნოველას“ მავილებდით.

ავტორებმა შეგნებულად გაურბოდნენ პოეტის ამათუ მწარმოების ეკრანიზაციას. მათ განიზრახეს ორი პოემათი და დედობად გამოყენებული სხვა მასალით მათურებლამდე მოეტანათ ვეაჟს ფილოსოფია, ვეაჟს მსოფლმხედველობა, ვეაჟს სული.

ღეთისას ანუ ავტორის მთელი ხაზი, რომელიც გარეგნულად აერთიანებს ფილმის ცალკეულ მონაკვეთებს, ვეაჟს რამდენიმე არაფიქტური და თანაც მეორეხარისხოვანი, შეიძლება ითქვას. შემთხვევითი ნაწარმოებებისაგან ვახლავთ შედგენილი. ამიტომ არავითარი ვეაჟიეული „შესამე ნოველ“ სურათში არ არსებობს.

ე. წ. „შესამე ნოველ“, ოგულისხმება ღეთისასის ხაზი ფილმში, არის ცდა ვეაჟს ფილოსოფიის უშუალო ვადმოცემისა. ვეაჟ, ყველას მოეხსენება, პოეტია და არა ფილოსოფოსი. ფილოსოფიას შეიცავს მისი ნაწარმოებების მხატვრული ქსოვილი. უამქსოვილოდ, მის მიერ შექმნილი ხასიათებისაგან დამოუკიდებლად, იგი, ეს ფილოსოფია, როგორც ხელოვნების ფენომენი, არ არსებობს.

თუ გვსურს კინოენით გამოეხატოთ ვეაჟს მსოფლმხედველობა, მისი ფილოსოფიური მრწამსი, ლამაზი და უკვდავი „არსი ჩვენი კაცობისა“, მისი ნაწარმოებების ეკრანიზაცია უნდა მოეხდინოთ და ცალკეული ქმნილებების ეკრანიზაციის დროს არ შევეცადოთ „მთველი ვეაჟს“ გამოსახვას.

მოსწრებულად თქვა ვალერიან ვაფრინდაშვილმა:

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,  
რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერა.

ერთ ან ორ ნაწარმოებში „მთელი ვეაჟს“ ჩატევა რომ შესაძლებელი ყოფილიყო. ამას, უბრეველეს ყოვლისა, თვით ვეაჟ იზამდა და თავს აღარ შეიწუხებდა თავისი სულის ახალა და ახალი მხატვრული გამოვლინებით.

სად უნდა ეტყობოთ ვასალები იმისა, რომ „ალაგალივ ფილმი მართლაც მოსაწყენი და

გაქიანურებელია? მართლა იმაში, რომ ის ესე-ისტური ნაწარმოებია, როგორც აკვი ბაქრაძე ამტკიცებდა თავის წიგნში? ანა მგონია, ეს მთლად სწორი მოსაზრება იყო. ის გარემოება, რომ ნაწარმოები ან მისი რომელიმე ადგილი მაყურებლისათვის მოსაწყენია, როგორ შეიძლება ავსსნათ ქართობივი თავისებურებით! მოწყენილობას არცერთი ლიტერატურული და კინოეპიკური არ გულისხმობს. მას, მაყურებლის თუ მკითხველის მოწყენილობას, იწვევს ავტორისეული ტენდენციის გაშიშვლება და ნაწარმოების დედააზრის დეკლარაციულად მოტანის ცდა, რის მაგალითსაც მთელ ფილმში შემაჯავშირებელ დღეებად გაბნეული ე. წ. „მესამე ნოველა“ წარმოადგენს.

ვფას ქმნილებების თავისებური ექსპანიზაციის ნიშნში თვით ეს ფილმი თავისა ორა მონაკვეთით — „აღუდა ქეთელურით“ და „ისტორი-მასპინძლით“, იმით, რასაც საფუძვლად უდევს ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური და ესთეტიკური მარწმის გამომხატველი ეპიური ქმნილებები.

ყოველივე ნათქვამიდან, ვფიქრობ, ნათლად ჩანს, რომ 1967-1968 წლების მანძილზე ჩვენს კინოშემაკებს მცირე მუშაობა როდი გაუწყევიათ. წლის განმავლობაში გამოშვებული კინოპროდუქცია, მართალია, ერთი ღირსებისა არ არის, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვანია ზოგიერთი ნაწარმოებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ უველა ნაწარმოების სცენარი, ძალზე მცირე გამოწყალისის გარდა, მწერლების დაწერილია, უმთავრესად მწკბალთა ახალთაობის წარმომადგენლებისა, რაც თავისთავად მოასწავებს ჩვენი ლიტერატურის მუშაკთა დაინტერესებას ქართული კინოს მდელი.

აქვე პირუთვნულად უნდა ვაღიარო ისიც, რომ თუ რაიმე მდარე და მხატვრულად ან ელემენტარად მიუღებელია სადისკუსიო ფილმში, უველა ეს მანიერება ლიტერატურული კინოს ცენარებიდან მომდინარეობს. ჩვენი ვერ კიდევ დაბალია სრულფასოვანი კინოსცენარის შექმნის კულტურა.

აქვე მოხსენიების ღირსია ჩვენი კინოშემაკების ერთგვარი ნიპილიზმი მშობლიური ლიტერატურის მიმართ. ბერი კინოშემაკი მთელი სიღრმით და მამულშვილური დაინტერესებით არ ადევნებს თეატრის იმას, რაც დღეს ქართულ ლიტერატურაში კეთდება და ამის გამო არცთუ ისე იშვიათად კინოში დასადგმელად ბელს ჰკიდებს მესამე და მეოთხეხარისოვან ნაწარმოებებს. იმის ჩამოთვლა, თუ რა შეიძლება გადავიღოთ კინოში ქართული კლასიკური და თანამედროვე ნაწარმოებებიდან, შორს წაგვივანდა. რა ბევრია ამ შხრივ გასაკეთებელი, რა საინტერესო მუშაობა ელით ჩვენს კინოშემაკებს! საჭიროა ლიტერატურით დაინტერესება, ყოველად უადგილო ნიპილიზმის უკუგდება, ლიტერატურის ცოდნა და სიყვარული, აგრეთვე იმის შეგნება, რომ ლიტერატურა კინოხელოვნების საფუძველთა საფუძველია, ურომლიოდაც ის შორს ვერ წავა.

იმედი უნდა ვქონიოთ, რომ ხელ და ხეგ მწერალთა და კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი უფრო ცხოველი გახდება, რათა ერთი შეკრული ფრონტით ვილაშქროთ იმ მაღალი მიზნის მისაღწევად, რომელიც ჩვენმა მოქალაქეობრივმა მოწოდებამ და ისტორიამ დაგვაკისრა.



## საინტერესო ნაშრომი ქართულ მებრძოლთა მავანობის შესახებ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო და მემორალური ლიტერატურა მნიშვნელოვნად გამდიდრდა ახალი ნაშრომებით საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. სამამულო ომის ფრონტების, არმიებისა და ცალკეული შენაერთების პარადებისა თუ სხვა სახედრო ზეღმძღვანელების ავტორობით არსულ, უკრიზულ, ქართულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების ენებზე გამოსულია ჩიგი ნაშრომებისა, რომლებიც ასახვენ ამ გრანდიოზული ომის ცალკეულ ეპიზოდებს. აღნიშნული ნაშრომები დიდ გამოხმაურებას პოულობს საბჭოთა მკითხველებს შორის. ეს გასაგებია, რადგან საბჭოთა ადამიანებს ანტერესებით თავიანთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გმირული ბრძოლების ისტორია კაცობრიობის უბოროტესი მტრის პიტლურული გერმანიის წინააღმდეგ.

ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში იბრთად და წარმართველ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ამ გამანადგურებელი ომის ძირითადი სიმძიმენი. საბჭოთა კავშირის მრავალეროვნა ხალხმა თავისი გმირული შრომითა და ბრძოლით უზრუნველყო ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურება და ამით იხსნა კაცობრიობა და მსოფლიო ცივილიზაცია დაღუპვისა და განადგურებისაგან.

ჩვენი დიდი სამშობლოს მოძმე ხალხებთან ერთად პიტლურული გერმანიის დამარცხების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე ქართველმა ხალხმა. საქართველომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ვაგზავნა თავისი მოსახლეობის თავთქმის ერთი მეზუთედი ნაწილი. მოსახლეობის დარჩენილი ნაწილი კი — უშთავრესად ქალები, მოხუცები და ბავშვები გმირული შეშრომებით შრომობდნენ ზურგში და ამით ხელს უწყობდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვების დაჭარბებას. საომარი მოქმედების დაწყების პირველ-

სავე დღიდან ქართველი მემორები იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის უველა ფრონტებზე, ქარების გვარგობასა, შენაერთებასა და ცალკეულ ნაწილებში, უჩვენებდნენ რა ამასთან ერთად სამშობლოსადმი უსაზღვრო სიუვარულისა და თავდადების, გმირობისა და ვაეკაცობის უბადლო მავალით.

გარდა ამისა, დიდ სამამულო ომში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ეროვნული ფორმირების ქართული შენაერთები და ნაწილები, რომლებიც შექმნილ იქნენ 1942 წლის დასაწყისში, როდესაც საქართველოს ტერიტორიას უშეალოდ მოუახლოვდა ფაშისტ-დამპყრობთა შეშოქრის საშინარობა. ასეთივე შენაერთები და ნაწილები შექმნილ იქნა აგრეთვე აზერბაიჯანსა და სომხეთში. როდესაც ცნობილია, ასეთი ფორმირების ეროვნული ნაწილები და შენაერთები შექმნილ იქნა საქართველოში აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში ვ. ი. ლენინის წინადადებით. ვ. ი. ლენინი თავის წერილში გ. კ. ორჯონიძისადმი 1921 წლის 2 მარტს წერდა, რომ „საჭიროა დაუყოვნებლოდ შევიარალოთ მეშენი და უღარიბესი გლეხები და აწაიარად შევექმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“<sup>1</sup>.

ამრიგად, ახალმა ვითარებამ კვლავ წარმოშვა საჭიროება წითელი არმიის ქართული ნაწილებისა და შენაერთების ჩამოყალიბების შეახებ. აღნიშნულმა შენაერთებმა და ნაწილებმა დიდი როლი შეასრულეს უღმობულ და ვერაგ მტერზე გამარჯვების საქმეში, ამასთან ერთად ოქროს ასობით ჩასწერეს დიდი სამამულო ომის მატინაში სამშობლოსადმი ეროვნულებისა და თავდადების დაუვიწყარი ფურცლები. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შენაერთის — საკეთარიც 414 ქართული მსროლო დივიზიის მებრძოლი საბრძოლო გზის შესახებ მოვგიობრობს თადარიგის პოლკოვნიკის ვ. ქანჭლავს ზემოხსენებული სქელტანიანი ნაშრომი, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცა ამ ორიოდ თვის წინათ. ხეივებულ

ვ. ქანჭლავა — „414 წითელდროშოვანი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968.

ნაშრომი მით უფრო მეტად საინტერესოა, რამდენადაც მთა ავტორი აღნიშნული დივიზიის საბრძოლო მოქმედების უშუალო მონაწილე ყოველივე ვეკს გარეშეა, რომ ასეთი ხასიათის ნაშრომები საბჭოთა მკითხველების მიერ დიდი ინტერესით იკითხება.

ნაშრომის ზერელე გაცნობიდანაც კი იჩნევა, რომ მის ავტორს ჩაუტარებია მეტად მძიმე და შრომატევადი, მაგრამ კეთილშობილი შრომა. ის გაეცნობა საარქივო და მემორიულ მასალებს, ბრძოლების მონაწილე პირთა მოგონებებს, ოფიციალურ მონაცემებსა და სხვა ხასიათის წყაროებს და მათი დეტალურად შესწავლის საფუძველზე, საკითხის ორმა ცოდნით დაუწერია ზემოხსენებული ნაშრომი. ამასთან ერთად ხსენებული დივიზიის საბრძოლო გზა მას გაეშუქებია არა გამოკალკუვებულად, არამედ მჭიდრო კავშირში კორპუსებთან, არმიებსა და ფრონტების საბრძოლო მოქმედებასთან, რომელშიაც კი ამ დივიზიას უხდებოდა ბრძოლის ჩატარება. აქვე საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ავტორი ხსენებული დივიზიის, კორპუსებისა თუ არმიების საომარ მოქმედებას იხილავს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალების საერთო ვითარების ფონზე, რაც ერთობ საინტერესოს ხდის აღნიშნულ ნაშრომს.

როგორც ცნობილია, 1942 წელი ჩვენი დიდი სამშობლოსათვის კვლავ მძიმე განსაცდელი წელი იყო: მიუხედავად სასტიკი დამარცხებებისა მოსკოვის მისადგომებთან და ჩვენი ქვეყნის ელვისებური სისწრაფით დაპყრობის ვიყური გეგმების სამარცხვინოდ ჩაშლსა, კვარაჩი მტერი თავის ბოროტ განზრახვებზე ხელს მაინც არ იღებდა, იგი უკანასკნელი ძალების დამაბეით კვლავ უძღვებოდა თავისი მიზნების განხორციელებას. 1942 წლის ზაფხულში გაათარებულ ბრძოლები გაჩაღდა სტალინგრადის მისადგომებთან, ვოლხოვსა და მდინარე თერგზე. პიტლერული მთავარსარდლობა ცდილობდა, რადაც უნდა დაეღობოდა, ხელთ ეგდო ქალაქი სტალინგრადი, გადაეღობა მდინარე ვოლგა და ზურგდგან ღრმად შემოეღობა ხელთ ეგდო მოსკოვი, დამპყრო ლენინგრადი, კავკასიაში კი ერთდროულად გაჭრილიყო შავი და კასპიის ზღვების შპარეს და საქართველოს სამხედრო გზაზე, ხელთ ეგდო ბაქოს ნავთობის საბადოები, კონათრის მარგანეცი და გაბატონებულიყო აღნიშნულ ზღვებზე.

სამხრეთ კავკასიაში თავმოყრილი მოწინააღმდეგის ჯარების პირისპირ იდგა საბჭოთა 44-ე არმია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ჩაეშალა მტრის ყოველი ცდა მდინარე თერგის ვალდახვის, ქალაქ გროზნოს აღებისა და მახაჩკალასკენ გაჭრისა. აღნიშნული ამოცანის შესრულების უშუალოდ სიმძიმე, სხვა შენაერთებთან 414-ე ქართულ დივიზიასაც დააწვა, რომელიც მაშინ 44-ე არმიაში შედიოდა.

აღნიშნული დივიზია თავდაპირველად გროზნოს მისადგომებს იცავდა, მაგრამ როდესაც ამ ქალაქს პიტლერული ურდოების შემოსევების მიმართება აცდა, ის მთლიანად გადავიდა თერგის მარცხენა მხარეზე და ფაშისტური ურდოების სასტიკი დამარცხებები აგემა იმჩორსკაიისა და მოხლოვის რაიონებში. აქედან მოყოლილი დივიზიამ უდიდესი საბრძოლო გზა გაეწვო აზოვის ზღვის სანაპირომდე, გაიარა თითქმის 1500 კილომეტრიანი მანძილი და გზადგზა აწარმოა სასტიკი ბრძოლები ფაშისტური ურდოებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის.

ნაშრომის ავტორი ვ. ჯანჭღავა თანმიმდევრულად და დეტალურად აღწერს ყველა ამ ბრძოლას და დივიზიის ნაწილებისა და ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის თავგანწირვასა და გმირობას, ამ მძიმე და ძალის გამცლული შორეული ლაშქრობის დროს, რაც ზნობად სისხლისმღვრელ ბრძოლებში მიმდინარეობდა. ქართველი მეომრები იჩენდნენ დიდ გულადობას, ამტანიანობასა და გამძლეობას, თავგამოდებით ებრძოდნენ მტერს და ზნობად შეუძლებელს შესაძლებლად ხდიდნენ. სათანადო ადგილებში ავტორი ასახელებს შენაკათის ქვედანაყოფებს, შეთარებასა და მეტბრძოლებს, რომლებშიც თავი გამოიჩინეს განვლილ ბრძოლებში. ამასთან ერთად ის ჩამოთვლის იმ გმირთა ვეპრებსა და სახელებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში პიტლერული დამპყრობლების წინააღმდეგ. ნაშრომის მეხუთე თავში ავტორი დამწერილობით ჩერდება ამ ბრძოლების აღწერაზე, რომელიც დივიზიამ გადაიბარა სოფელ კალაბატკის მიდამოებში და უამრავი ფაქტობრივი მასალის შორებით გვიჩვენებს ქართველ მეომართა საოცარ გმირობას ამ ბრძოლებში. „კალაბატკა — დასკენის ავტორი, — ეს ქართველი მეომრების შამაკობის, სიმტკიცისა და გულადობის გამარჯვებაა, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიუფრულის გამოჩენის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის საუკეთესო ნიმუშია. ქართველ ხალხს მუდამ შეუძლია იამაყოს კალაბატკის გმირებით, მათი გულადობით, ეკაცობით, თავდადებით“ (გვ. 160).

1943 წლის გაზაფხულზე 44-ე ქართული მსროლელი დივიზია უკვე აზოვის ზღვის სანაპიროზეა. მისი პირადი შემადგენლობა აწარმოებს თავდაცვის ზღუდების მოწინააღმდეგებას, საბრძოლო ტექნიკისა და სამხედრო აღჭურვილობის წესრიგში მოყვანას და იჭრებებს მტრის გადართეულ საპიერო თავდასხმებს. დივიზია მუდამ უხელო ახალ შევსებას და აწარმოებს მის სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას. იმავე წლის სექტემბრის თვეში იგი გამოდის 58-ე არმიის შემადგენლობიდან და შედის მე-18

არმიის შემადგენლობაში, რომლის სარდალი იყო გამოჩენილი ქართველი მხედარმთავარი გენერალი ე.ნ. ლესელიძე, ზოლო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი ლ. ი. ბრევენიკი, ამასთან დაეფიქსირებინა ავტორი წერს: „ქართვი არსებულ წესის თანახმად, როგორც ე.ნ. ზემთის ცნობილი ვახდა, რომ 414-ე დივიზია მე-18 არმიის შემადგენლობაში გადავიდა, დაუყოვნებლად გაემგზავრე არმიის პოლიტგანყოფილებაში დივიზიის მდგომარეობის მოსახსენებლად. პოლიტგანყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ლეონად ილიას-ძე ბრევენიკმა გულთბილად მიმიღო, ყურადღებით მოისმინა ჩემი მოხსენება, დანატარებდა დივიზიის ისტორიით, მის მიერ ჩატარებული ბრძოლებით, ოფიცერთა კადრებით, დაწვრილებით გამოკითხა მტერისათვის მხადყოფნის შესახებ, პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური განწყობილებისა და ზოგიერთი სხვა საკითხის ირველი. მან, თავის მხრივ, მოკლედ გამაცნო არმიის საბრძოლო გზა, ტაშინის პლაცდარბზე ბრძოლების თავისებურება, დივიზიის წინაშე დამსმელ ამოცანა და მისი შესრულების უზრუნველყოფისათვის სათანადო რჩევა-დარჩევა მომცა“ (გვ. 180-181).

იმავე წლის სექტემბრის მეორე ნახევარში დივიზია გააფორმებდა ბრძოლებს აწარმოებს ფაშისტურადების წინააღმდეგ აზოვის ზღვის სანაპიროზე, ათავისუფლებს რიც დასახლებულ ადგილებს ამ ურდოებისაგან და ერეკება მათ ანაბის მიმართულებით, მისი მოწინავე ნაწილები კი პირველად იტრებიან ქალაქ ანაპაში და მე-18 არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ხანმოკლე, მაგრამ მწვავე ხელჩართული ბრძოლების შედეგად ათავისუფლებენ მას. დივიზია კვალდაკვალ მისდევს უკან დახუთულ ვერაჯ მტერს, არ აძლევს მას შესვენების საშუალება და სისხლისმღვრელი ბრძოლებით ანქარბეენ პიტურული ჭარბისაგან ტაშინის ნახევარკუნძულის განთავისუფლებას, რისთვისაც მას უმაღლესი მთავარსადგლის ი. ბ. სტალინის 1943 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებით „ანაპის“-ს წინააღმდეგ ენოჭება, ზოლო მისი პირადი შემადგენლობის უმეტესი ნაწილი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედელებით ვილდოვდება. 414-ე ქართველი მსროლელი დივიზიის მიერ ჩატარებული ბრძოლები მაღალ შეფასებას იმსახურებს მე-18 არმიის სამხედრო მამულისაგან. 414-ე ქართული დივიზიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის, ყუბანისა და ტაშინის განთავისუფლებისათვის ჩატარებულ ბრძოლები, — აღნიშნულია ამ არმიის სამხედრო საბჭოს წერილობით მოხსენებაში, — საუვა მხედრული გმირობისა და თავგანწირვის შესანიშნავი მაგალითებით... სულ ამ ბრძოლებში ვაჟაკობისა და მამაკობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედელებით

დაჯილდოებულ იქნა დივიზიის 338 მებრძოლი (გვ. 239).

ნაშრომის ბოლო ზეთი დევიზიის შემადგენლობაში დივიზიის ბრძოლების აღწერაზე ტაშინის ნახევარკუნძულის, ქერჩის, სიმფეროპოლისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის, როგორც ცნობილია, აღნიშნული პლაცდარბების გაწმენდას გერმანულ-დამპყრობთა ურდოებისაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთოდ საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის მიტრეკელი ოკუპანტებისაგან. ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებს სამხრეთიდან ამ დროს აწარმოებდა ზღვისპირეთის ცალკე არმია, რომელიც 1944 წლის 16 აპრილიდან უკრაინის მე-4 ფრონტის დაქვემდებარებაში შედიოდა. ქართული დივიზია ზღვისპირეთის არმიის შედგენა და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებაში მონაწილეობას აღებულობდა ამ არმიის ჭარბთან ერთად. ვერაჯი მტერი ვერ ურდოდებოდა ჩვენი ჭარბების მიერ ქერჩის სრუტის გადალახვას და სიმფეროპოლის აღებას. ეს თავის იმედულ სევასტოპოლის პლაცდარბზე აყვარებდა. აქ მან თავი მოუყარა ყირიმში მყოფ თითქმის მთელ თავის ძალებსა და აქ არსებულ საომატ ტექნიკას — 70 ათას ჭარბსაცა და ოფიცერს, რომლის განკარგვლებაში იყო 1500-ზე მეტი ქვემეზი, 1000-ზე მეტი ნაღმსატყორქი, 5000 ტყვიამფრქვევი და სხვა საბრძოლო იარაღი. სევასტოპოლის მისადგომებთან ფაშისტების მიერ შექმნილ იქნა თავდაცვის ოთხი ძლიერი გამაგრებული ზღუდა, სადაც თეთველი მთავანი შედეგობოდა ტრანშეების რამდენიმე ზოლისა და მრავალი საცეცხლე წერტილისაგან, რომელთა წინ აღმართული იყო მავთულსართები, დანადგური ველები, ტანკსაწინააღმდეგო ორბოები და სხვ.

სევასტოპოლისათვის ბრძოლებში 414-ე ქართული დივიზიის წინაშე დამსმელი იყო მეტად საპატიო ამოცანა — მტრის, თავდაცვის გარდევია ზეტორ ბეზმიანთან და მისი ხელში ჩაგდება, შეტრის შემდგომი განვითარება, რივი დასახლებული პუნქტების ფაშისტურადებისაგან განთავისუფლება და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან სევასტოპოლში შეჭრა, რაც უნდა განხორციელებულიყო მოწინააღმდეგის თავდაცვის ყველაზე ძლიერი კვანძის — საბუნგორის რაიონში, ამრავალ დივიზიის წინ აღმართული იყო მტრის თავდაცვის მეტად გამაგრებული ვეებირთელა მთა საბუნგორა თავისი ციკაბო ფერდობებით, რაც უნდა გადალახულიყო სისხლისმღვრელ ბრძოლებში. დივიზიის ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს. სასტიკი ბრძოლების შედეგად მთი გადალახეს საბუნგორა, ხელი იგდეს მის ვაწარებ არსებულ დასახლებული პუნქტები, და 1944 წლის 9 მაისს უკრაინის

მე-4 ფრონტის ქარებთან ერთად განათავისუფლეს ჩვენი ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-სახელწილი ბაზა-ქილაქი სვეატიტოპოლი. ფაშისტ-დამპყრობთაგან ყირიმის განთავისუფლების საქმეში დიდი საბრძოლო დამსახურებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 24 მაისის ბრძანებულებით ანაბის 414-ე ქართული მსროლელი დივიზია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით, ხოლო უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 24 მაისის ბრძანებულებით აღნიშნული დივიზიის 1367-ე და 1371-ე მსროლელ პოლკებს „სვეატიტოპოლის“ სახელწოდება მიენიჭა.

ნაშრომის ავტორი ე. ჯანჯღავა დაწვრილებითა და გავლენით ახა მარტო მებრძოლებისა და მეთაურების გვირობასა და თავდადებას დივიზიის მიერ ვანელი საბრძოლო გზაზე, არამედ იმ დიდი შემოქმედებითა შრომის შესახებ, რასაც ისინი ასრულებდნენ გზადაგზა დანგრეულ ქილაქებისა და სოფლების აღდგენისა და იქ ცხოვრების გაჩაღების საქმეში. ის მოვეითხრობს აგრეთვე ფაშისტ-დამპყრობთა იმ მხეცობის შესახებ, რისი მნიშველოც იყო დივიზიის პირადი შემადგენლობა დასახლებულ პუნქტებიდან ფაშისტ-ურდოების განდევნის შემდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია აქიმ-უშკაის ტრაგედია, რაც დაწვრილებით აქვს აღწერილი ნაშრომის ავტორის, როგორც ცნობილია, 1942 წლის მაისში ყირიმის ფრონტის ქარების მიერ ქერჩის სახვარკუნძულის დატოვების შემდეგ აქიმ-უშკაის კატაკომბებს თავი შეაფარეს ზოგიერთი სამხედრო ნაწილის მეთაურებმა, რომლებიც იმ დროს ჩვენი ქარების უკან დახვევას იცავდნენ. მათთან ერთად კატაკომბებს თავი შეაფარეს აგრეთვე იმ პას-პიტლებს თანაშრომლებმა და დაჭრილმა მეთაურებმა, რომელთა ევაკუაცია დროზე არ მოხერხდა, ადგილობრივმა მცხოვრებმა — ქალებმა, ბავშვებმა, მოხუცებმა და სხვა. ფაშისტ-ქალათებმა არაიენ დაინდეს და ყველა ისინი მოშორდათ ვაზით ამოხარჩვეს. დივიზიის კომისიის ხელმძღვანელობით გათხრილ ხუთ მშობისასა დასაფლავში, სადაც დამორბული იყო 3 ათასზე მეტი კაცი, აღმოჩენილ იქნა წერილები, დღიურები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ნათელ შეუქს ფენდნენ ფაშისტ-დამპყრობთა ამ საშინელ დანაშაულს. დივიზიის ხელმძღვანელობის მიერ ყველა ეს მასალა გადაეცა ჩვენი არმიის უმაღლეს მთავარსარდლობას.

თავის ნაშრომში ე. ჯანჯღავა დიდ ადვილს უბოძებს დივიზიის პოლიტორგანოებისა და პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შენაერთის წინაშე მდგომი ამოცანის შესრულებისათვის, მისი პირადი შემადგენლობის მასობრივი გვირობისა და თავდადებას ყოველმხრივ აღმსრულებლისათვის. ის დაწვრილებით გავმოკვყევს იმ ფორმებსა და მეთოდებს, რასაც ფარ-

თოდ იყენებდნენ დივიზიის პოლიტორგანოს პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი ვაშლისათვის მთელ ამ მუშაობაში, რა იმ სიხბლეს, რაც ფართოდ იყო გამოყენებული ახალ ვითარებასთან დაკავშირებით. ნაშრომის ერთ-ერთი დადებითი მხარე მასში მდგომარეობს, რომ მისი ავტორი საგონიბობლად აფართოებს და ამდიდრებს ჩვენ ხელთ დღემდე არსებულ მასალებს ქართველ მეომართა მამაცობისა და გვირობის შესახებ დიდ სამსრულ ომში საერთოდ და კავკასიის დაცვაში კერძოდ. ნაშრომში ნათლად და დამაჩერებლად არის გადმოკვებული ქართველ მეომართა მალალი საბრძოლო და სულერი თვისებები, მათი სიყვარული სამშობლოსადმი და თანმიმდევრული ერთგულება ლენინური იდეებისადმი. საშრომისად შენიშნავს ავტორი, რომ ეს იყო ის მამობრავებული ძალა, რაც აღაფრთოვანებდა სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველ მეომრებს და წარმოშობდა მათ შორის მასობრივი გვირობისა და მამაცობის უმაღლო მაგალითებს. ექვს გაუმეა, რომ ნაშრომი კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენი ახალგაზრდობის წარსულ რევოლუციურ ტრადიციებზე, საბჭოთა პარტიოტისმისა და სამშობლოსადმი უსახლერო ერთგულების საფუძვლებზე აღზრდის საქმეს. ამასთან ერთად არ შეიძლება გვერდი ავიართო ნაშრომის ზოგიერთ ნაკლებ მხარეებს, რომელთა გათვალისწინება, ჩვენი ახრით, ხელს შეუწყობდა მის შემდგომ გაუმჯობესებას.

თადარიგის პოლკოვნიკის ე. ჯანჯღავას ნაშრომი სინამდვილეში მოიცავს აღნიშნული დივიზიის ისტორიის მისი ჩამოყალიბების დღიდან თითქმის მის დეფორმირებაამდე. ამდენად, სასურველი იყო მის ავტორის უფრო კონკრეტულად ეჩვენებია, თუ რომელ თვეში და რა რიცხვებში ჩამოყალიბდა აღნიშნული დივიზია და მასში შეხვეალი ცალკეული ნაწილები და რა მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ამ ნაწილების საქმიანობა მათი საომარ მოქმედებაში ჩაბმამდე (პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების ფორმირება, სამხედრო და პოლიტიკური სწავლება, სამხედრო ფიცის მიღება და სხვა); ასევე სასურველი იყო ნაშრომის ავტორი უფრო ფართოდ შეჩერებულყო დივიზიაში შემავალი ნაწილების პირველი საბრძოლო ნათობის ისლწვრზე, გადმოეცა ის პირაბობა, რომლებშიც ამ ნაწილებს პირველად უხდებოდათ მტერთან პირისპირ შეხვედრა და ესენეშიჩის ის პირები, რომლებიც დაეცნენ გვირკული სიკვდილით ამ პირველ ბრძოლებში. ამ მხრივ ზედმეტი არ იქნებოდა, თუ ავტორი უფრო დეტალურად აღწერდა იმ მკაცრ შეტევებს, რომელიც გამოართულ იქნა 1375-ე მსროლელი პოლკის მიერ 19 ნოემბერს საღვერ იმბროსავალს რაიონში და რომლის დროს გვირბთა სიკვდილით დაეცნენ ამ პოლკის მეთრე ბატალი-

ანის სატყეაიმპერატორეო ოცეულის მეთაური ლიტერატორი ცინცაძე, მე-7 ასეულის პოლიტხელი მარკაროვი და სხვ.

ნაშრომში საქმოდ არის აღწერილი შენაერთის თითქმის ყველა ქვედანაყოფისა და მათი ხელმძღვანელების საბრძოლო საქმიანობა ჩატარებულ ბრძოლებში, მაგრამ თითქმის არაფერია თქმული იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდნენ ავით შენაერთისა და მასში შემაჯავალი ცალკეული ნაწილების შტაბები, მათი მეთაურები, აგრეთვე ამ ნაწილების მეთაურთა მოადგილეები სამწყობრო დარგში და ა. შ. გარდა აღნიშნულისა, სასურველი იყო ავტორს ამ საინტერესო ნაშრომისათვის დაერთო თუნდაც უმარტივესი სახის რუკა, სადაც ნაჩვენები იქნებოდა ის გზა, სადა იღიზიანდნენ ფაშისტ-ურდობისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ასევე ზედმეტი არ იქნებოდა, თუ ნაშრომს ექნებოდა სახელთა სპიობლის დანართიც, აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში გვხვდება ზოგიერთ მეთაურთა და მებრძოლთა სახელებისა და გვარების მცდარად დასახელება.

ასე, მაგ. ნაშრომის მე-11 გვერდზე უფროსი პოლიტხელის სამსონ ალექსანდრეს, მე ყვერადიანის ნაცელად დასახელებულია ვიოტევი ალექსანდრეს მე ყვირილიანი, ხოლო 64-ე გვერდზე კიდევ სტეპავარად, ასევე ნაშრომის 48-ე გვერდზე ნაცელად კაპიტან მ. ჩიტაძისა წერია კაპიტანი გ. კითაძე და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაშრომში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით ენობრივ და წმინდა გრამატიკული ხასიათის შეცდომებს. საკითხა აქვე შევნიშნოთ, რომ ნაშრომში მოტანილი მეთაურთა და მებრძოლთა ფოტოსურათები ზოგ შემთხვევაში მეტად უფერულად არის დაბეჭდილი.

მისასალმებელია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ თაოსნობა, ქართულ მეომართა შესახებ ასეთი საინტერესო წიგნის გამოცემისადვის.

### 6. 3. პაიხაძე

(414-ე მსროლელი დივიზიის 1375-ე მსროლელი პოლკის ყოფილი სამხედრო კომისარი)

## სოციალისტური სახელმწიფოსი, დემოკრატიისა და კანონიერების უკვდავყოფელი ნაშრომი

მიმდინარე წელს მოსკოვში გამომცემლობა „იურიდიულმა ლიტერატურამ“ გამოაქვეყნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. მ. ჩხიკვაძის ნაშრომი «Государство, демократия законность. Ленинские идеи и современность».

ნაშრომის დირხები, პირველ ყოვლისა, ისაა რომ იგი მაღალ იდეურ დონეზე წყვეტს თანამედროვეობის ფრიალ მნიშვნელოვან პრობლემებს, ასახავს კომუნისტების მებრძოლი საზოგადოების მაქსიმალს, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებს, უპირისპირებს მას ბურჟუაზიულ დროშოქმულ სახელმწიფოსა და უკლებ დემოკრატიას.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაახლოებით ერთი წლის წინათ მიიღო დადგენილება „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაზრდის ღონისძიებათა შესახებ“, პარტია ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მოწინავე თეორიის როლს პრაქტიკულ საქმიანობაში, კომუნისტის მშენებ-

ლობის თანამედროვე ეტაპზე და მიუთითებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის მნიშვნელობის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლის ზრდის შესახებ.

ვ. მ. ჩხიკვაძის დასახელებული ნაშრომი სერიოზული თავისი შინაარსით, საკითხთა წყობით, შრავალფეროვნებით, მეცნიერული დასკვნებითა და სახელმწიფოსი და საპარტისის საკითხებში ღუნინურ დებულებათა თანმიმდევრული დაკვირვებით. ამ ფონზე ავტორი აკრიტიკებს საბჭოთა და უცხო ქვეყნების სახელმწიფოთმცოდნეთა შეხედულებებსა და მოსაზრებებს კლასთა ბრძოლის, რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნისტის მშენებლობის საკითხებში. აღბათ არ დარჩენილა სახელმწიფოსი და საპარტისის ირგვლივ დღემდე გამომწვევებულ საბჭოური ან უცხოური წიგნებიდან კოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი ნაშრომი, რომ ავტორი მას არ შეხებოდეს დადებითად ან კრიტიკულად. გამსაყურებობი მნიშვნელოვანია სარეცენზიო ნაშრომი ამჟამად გამწვევებულ იდეოლოგიური ბრძოლის პერიოდში. მასში მეთხველი ნახავს ყველა ჟურის რევიზიონიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, დოგმატიზმისა და რევოლუციონიზმის სწორ კრიტიკას. იდეოლოგიურად განიარაღებული მტერი კი კარგავს საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის ზღოლის. ამშია სარეცენზიო ნაშრომის მნიშვნელობა.

**В. М. Чхиквадзе. «Государство, демократия, законность. Ленинские идеи и современность», 1967. Юрид. изд. Москва.**

სკკ ცენტრალური კომიტეტის ზემოთდასახელებულ დადგენილებაში მითითებულია, რომ საბჭოთა თეორეტიკოსების „ბევრი შრომა არ შეიცავს ახალ დასკვნებს, განზოგადებასა და რეკომენდაციებს, რომლებსაც სტრატეგიული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ“. ვ. მ. ჩხიკვაძის სარეცენზო ნაშრომი პარტიის ამ მითითების რეალზაცისად ახდენს. მასში მრავლად ეხედებით საკითხების ახლებურად გადაჭრას, წინადადებებს, სურვილებს. ნაშრომი გვაძლევს ცალკეულ პრობლემებზე შემდგომი დავის შესაძლებლობას, აღვიძრავს მათი დეტალურად დამუშავების სურვილს, რაც საბოლოო ანგარიშით ანვითარებს სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრებას, ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკის სრულყოფას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლმწიფობის, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვას.

დაბეჭდებით შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზო ნაშრომის მსგავსი მნიშვნელობისა და შესაღარი სხვა ნაშრომი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე საბჭოური ლიტერატურაში ჩვენ სხვა არ გვევლინება, დასახელებული ნაშრომი სტრატეგიული მოვლენა საბჭოთა სამართლებრივ მეცნიერებაში. იგი ძვირფასი საბუთარია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის თხზილებათაში.

როგორც აშ. ლ. ი. ბრეჩევმა სკკ XXIII ყრილობაზე მოხსენებაში აღნიშნა, „ეკონომიკისა და პოლიტიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, ისტორიისა და სამართლის, სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღემნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში საბჭოთა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ისინი მოწოდებული არიან ყოველმხრივ აკლვდნენ ისეთ პრობლემებს, როგორც არის კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესის მართლდება და ხასიათი, სახელმწიფო წყობილების სრულყოფა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, მეურნეობის გაძლიერების ფორმები და მეთოდები, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, კომუნისტური აღზრდის შინაარსი და მეთოდები, და სხვა აქტუალურ საკითხებს“ (სკკ XXIII ყრილობის მასალები, 1964, გვ. 105).

პროფ. ვ. მ. ჩხიკვაძის დასახელებული ნაშრომი მთლიანად პასუხობს პარტიის ამ მოთხოვნებსაც, ამით მნიშვნელოვან შედეგს ამ დარგში დღემდე არსებული ხარვეზი. დასასრულს, ვ. მ. ჩხიკვაძის ნაშრომი პასუხობს აგრეთვე იმ ამოცანებს, რაც დაყენებულია სკკ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის აგვისტოს დადგენილებაში „იურიდიული მეცნიერების

შემდგომი განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში იურიდიული განათლების გაუმჯობესების დონისძიებათა შესახებ“.

სარეცენზო ნაშრომი შესდგება შესავლისა, ათი თავისა და დასკვნისაგან. ცალკეული თავები დაყოფილია ქვეთავებად.

თანამედროვე ეპოქა, — წერს ავტორი შრომის შესავალში, — არის კაპიტალიზმის სოციალიზმში გადასვლის ეპოქა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემა მთლიანად ობიექტურად მომწიფდა სოციალური რევოლუციისათვის. სოციალიზმი დღევანდელი დღეა ასევე მთლიანობით აღამიანისა და ხვალისდელი დღე — მთელი კაცობრიობისა. ავტორი სამართლიანად მიუთითებს ამის შესახებ, რომ სახელმწიფოსი, დემოკრატიის, სამართლისა და კანონიერების საკითხები ყოველთვის იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების მწვევე პოლიტიკური ბრძოლების ობიექტი. შავრამ ეს ბრძოლები განსაკუთრებით გამწვავდა თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა თანაბრებობა ვერ ითავსებს ურთიერთმონიშნააღმდეგე იდეოლოგიურ მიმდინარეობებს.

შრომის პირველი თავი ეძღვნება სახელმწიფოს და სამართლის შესწავლის ლენინურ მეთოდოლოგიას. ავტორი ხსნის თეორიაში პარტიული სიწმინდის დაცვის მნიშვნელობას, სახელმწიფოს და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია, — ამბობს იგი, — პარტიულია თავისი არსით. დასაბუთებულია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის მნიშვნელობა, პრაქტიკის გადაწყვეტი რთი თეორიის განვითარების საქმეში. აქვე ავტორი ამტკიცებს, რომ პარტიალისტური დოაქტრია სახელმწიფოსი, სამართლის, დემოკრატიისა და კანონიერების პრობლემათა შესწავლის მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველია.

შრომის მეორე თავში გამოაცხადებულია ლენინური სწავლება ეკონომიკის, პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთობის შესახებ, ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ.

სარეცენზო ნაშრომში, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით საინტერესოდ არის გამოყოფილი ურთიერთობა პოლიტიკისა და სამართლის შორის. ავტორმა გახსნა ლენინური დებულების (პოლიტიკა „ეკონცენტრირებული ეკონომიკა“, პოლიტიკა „კლასთა შორის ურთიერთობა“) შინაარსი. ვ. ი. ლენინის შრომების მომარჩვევით ავტორი ასაბუთებს, რომ პოლიტიკა არ შემოიფარგლება კლასთა შორის ურთიერთობის დფერითა, რომ ფართო ვაგეებით აქვე იგულისხმება აგრეთვე ერებს შორის, პარტიათა შორის, სოციალურ ქვეყნებს შორის ურთიერთობაც, ერების, პარტიებისა და სოციალური ქვეყნების უკან კი დღანან განსაზღვრული კლასები. ამავე დროს პოლიტიკის შინაარსი არ ამოიჭრება კლასთა შორის ურთი-

ერთობით ქვეყნის შიგნით. იგი მოიცავს აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობასაც. პოლიტიკა განსაზღვრავს და წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ საერთაშორისო მასშტაბით. ქვეყნის შინაგანი და საგარეო პოლიტიკა ურთიერთმომუხვებლად არიან. საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს შინაგანი პოლიტიკის გაგრძელებას, მაგრამ იგი თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს შინაგან პოლიტიკაზე. ავტორი სამართლიანად ასაბუთებს, რომ არ არსებობს ზეკლასობრივი პოლიტიკა, არამედ არსებობს მხოლოდ განსაზღვრული კლასის პოლიტიკა. სახელმწიფოში ყოველ კლასს გააჩნია თავისი პოლიტიკა, მხოლოდ გაბატონებული იმ კლასის პოლიტიკა, რომელიც დაუფლებულია სახელმწიფო ხელისუფლებას.

სამართალი, ისევე როგორც პოლიტიკა, ზედწინაშე უკავშირდება იდეოლოგიას. მისი შინაარსი გაბატონებული კლასის ცხოვრების მატერიალური პირობებითაა განსაზღვრული. როგორც ფ. ენგელსი ამბობს, ადამიანები იფიქრებენ, რომ მათი სამართალი წარმოშობილია მათი ცხოვრების ეკონომიური პირობებიდან და არა „ნებისყოფის ცნებებიდან“. უფრო გეოგრაფიკისა და სამართლის ასეთი ურთიერთობას ავცდილი, ე. ი. თუ ვუღალატო მატერიალისტური დიალექტიკას, ვესტუმრებით იდეალიზმს.

სარკვევნიო ნაშრომში განხილულია ჯერდნაშენის შემადგენელი ელემენტების, ერთმოდ. პოლიტიკისა და სამართლის შორის ურთიერთობა. ავტორი იმორჩევის ფ. ენგელსის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ყოველგვარ იურიდიულ თავის საფუძვლად უდევს პოლიტიკური ბუნება, აგრეთვე იმორჩევის ე. ი. ლენინის დედუქციას, რომ ეპიწინა არის პოლიტიკური ზომა, არის პოლიტიკა.

მესამე თავში პროფ. ე. მ. ჩხიკვაძე ხეება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ისტორიულ დედუქციას. აქ განხილულია სოციალისტური სახელმწიფოს თეორიული დედუქციისგან განსხვავებული, მათ შორის: მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მომდგრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს, ჩამოყალიბების პროცესი, მისი ინტერნაციონალური ბუნება, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმათა სიმრავლე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის განზოგადება პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის პროცესში.

ავტორი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა პროლეტარული რევოლუციისა და ახალი საზოგადოების აგების საქმეში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებების რეალი-

ზაცია ჩვენი ქვეყნის 50-წლიანი მდიდარი პრაქტიკული საქმიანობით. და ეს ყველაფერი ცოცხალი მავალით, ყველაფერზე გააგრძელებით, ლენინურად არის გადმოცემული.

„საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისმის მშენებლობა“ — ასეთია სარკვევნიო ნაშრომის მეოთხე თავი. აქ ავტორი ჩერდება ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე — პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნის შესახებ. როგორც ავტორი დასძენს, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო და საერთო სახალხო სახელმწიფო არ წარმოადგენენ განსხვავებულ ტიპის სახელმწიფოებს, არამედ სახელმწიფოს ეს გარდაქმნა მოასწავებს სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათანობით გადსვლის პერიოდის, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისს.

საერთო-სახალხო სახელმწიფო არ წარმოადგენს ერთი კლასის მეორეზე ბატონობის იარაღს, მაგრამ მას რჩება სახელმწიფოს, ერთმოდ, პროლეტარიატის დიქტატურის ყველა სხვა დამახასიათებელი ნიშანი, მისი ელემენტები. ასეთებია: მშრომელი ხალხის ხელისუფლების არსებობა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, მუშათა და გლეხთა კლასების კავშირი, საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული დანიშნულება — კომუნისმის გამაგრების უზრუნველყოფა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ასე საერთო სახალხო სახელმწიფოს არსებობის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება ზორციელდება საბჭოების მეშვეობით, საბჭოების ფორმით. შემონახულ იქნა აგრეთვე საბჭოთა ფედერაცია, როგორც სახელმწიფო წყობილების ფორმა.

საერთო სახალხო სახელმწიფო სოციალისტური სახელმწიფოებრივობის შემდგომი განვითარებაა საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობისაკენ. საერთო სახალხო სახელმწიფო განაგრძობს პროლეტარიატის დიქტატურის საქმეს — კომუნისმის მშენებლობას და სხვა სოციალისტური სახელმწიფოებთან ერთად იცავს კაპიტალისტური ქვეყნების შემოტევებისაგან სოციალისტურ სახელმწიფოთა სისტემას.

ე. მ. ჩხიკვაძე აკრიტიკებს ისეთ სწავლულთ და პროპაგანდისტებს, რომელთაც მიხანით, რომ თითქმის საერთო სახალხო სახელმწიფომ დაკარგა ელასობრივი ბუნება. მართალია მერს საზოგადოებაში ამჟამად არ არსებობენ ჩვეულებრივი კლასები, მაგრამ ჭკრი კიდევ არსებობენ ურთიერთმეკობრული მუშათა და გლეხთა კლასები. კომუნისმის მშენებლობას ავტორი მიიჩნევს კლასობრივი მნიშვნელობის ამოკანად. ამიტომ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო განვითარების ამ ეტაპზე არის კლასობრივი, პოლიტიკური დაწესებულება და ასეთად დარჩება იგი არსებობის მთელ მანძილზე. მართა-

ლი საერთო სახალხო სახელმწიფოს შექმნის პირობებში იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფკავშირების, კომკავშირის, საკლემურნეო-კოლფრაკციული გაერთიანებების და ა. შ.) როლი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს სახელმწიფოს როლის უგულებელყოფას. ვიდრე სრული კომუნისტური საზოგადოება არ აშენდება, ვადაშევეტილი როლი ანტისაზოგადოებრივი გამოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ეკუთვნის სწორედ სახელმწიფოს. სოციალისტური სახელმწიფო იყო და არის კომუნისმის მშენებლობის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი.

სოციალისტური სახელმწიფო შექმნის დღიდანვე, ე. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნახევრადსახელმწიფო“, იგი იმთავითვე იცავს უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. ამჟამად კი მთელი ხალხის ნებას. მისი დამახასიათებელია დროთა ვითარებაში სახელმწიფოს ორგანიზაცია ცალკეული ფუნქციების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემა, მაგრამ აქედან არც ის გამომდინარეობს, რომ თითქოს ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განსხვავებული ფორმები.

ამვე თავში ავტორი, სკვპ პროგრამისა და XXIII ყრილობის მასალებზე დაყრდნობით, სწორად სჭირს სახელმწიფოსი და სამართლის მომავალ ბედს. ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფოს სიკვდილი გულისხმობს სამართლის სიკვდილსაც და პირიქით. ეს იმას ნიშნავს, რომ თერომანეთად სახელმწიფოსი და სამართლის არსებობა შეუძლებელია. სახელმწიფოსი და სამართლის სიკვდილი კი საერთოდ არა მარტო ქვეყნის შინაგანი პირობებით განისაზღვრება, არამედ ერთდროულად შინაგანი და გარეგანი პირობებით.

შრომის მეხუთე თავი „საბჭოები — ხალხის ხელისუფლების ნამდვილი ორგანოება სსრ კავშირში“. აქ საინტერესოა ვადმოცემილი საკითხი საბჭოების აღმოცენებისა და განვითარების შესახებ. წინ არის წამოყვანილი ე. ი. ლენინის შეხედულებანი საბჭოებზე მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომების მიხედვით, მძალი შეფასება ეძლევა ე. ი. ლენინის შიერ საბჭოების როგორც პროლეტარატის დიქტატორის სახელმწიფოებრივი ფორმის აღმოჩენას ა. შ.

მეექვსე თავში ავტორი ჩერდება ეროვნული პოლიტიკის ლენინურ პრინციპებზე და საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოზე. დახასიათებულია ერის თვითგამორკვევა სახელმწიფოებრივი გამოყოფამდე, გარანტილია მისი ეროვნულადი მავალთობი, აღმოცენებულია ეროვნებათა შორის თანამშრომლობაზე სსრ კავშირის შექმნამდე და სსრ კავშირის შექმნის შემდეგ, ფართოდ არის ახსნილი საბჭოთა ფედერაციის საფუძვლები და მასში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე ავტონომიური ერთე-

ულების უფლებრივი მდგომარეობა. კარგი ამბობდა, ავტორს ამ თავში ვადმოეცა აქ სსრ შექმნისა და ლიკვიდაციის მიზეზები. შრომის მეხუთე და მეექვსე თავებზე სოციალისმისა და დემოკრატიის, სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული საფუძვლების სრულყოფას. დასაბუთებულია საბჭოთა დემოკრატიის უბირატული თვისებები ბერტრანდელ დემოკრატიასთან შედარებით.

საბჭოთა დემოკრატია უმაღლესი ტიპის დემოკრატია, — აცხადებს ავტორი. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თანასწორუფლებრიანობა პოლიტიკურ საქმიანობაში გაბირებულია ეკონომიკაში მათი თანასწორუფლებრიანობით — ერთს საკუთრების ლიკვიდაციით, თანასწორი დამოკიდებულებით საწარმოთ იარაღებისა და საშუალებებისადმი.

ავტორი ჩერდება იმ მიზეზების ახსნაზე, თუ რატომ შეეზღუდა რევოლუციის შემდეგ ექსპლუატატორული კლასის წარმომადგენლები პოლიტიკურ უფლებებში ან თუ რატომ შეიქმნა ჩვენთან ერთპარტიულია. აქვე მიითითებლია იმაზეც, რომ საარჩევნო უფლებებში ბერტრანდის შეზღუდვა და ერთპარტიულობა არ წარმოადგენს ყოველი სოციალისტური სახელმწიფოს აუცილებელ ნიშანს (გვ. 230, 231).

ნაშრომში წინ არის წამოყვანილი საბჭოთა დემოკრატიისა და პიროვნების თვისუფლების, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საკითხები. ავტორი მოითხოვს, ვარდა წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით დემოკრატიული უფლებების განხორციელებას, აგრეთვე მშრომელთა უშუალო დემოკრატიის ფორმათა ფართოდ გამოყენებას. რეფერენდუმის მოწყობას, კანონპროექტების სისტემატურად განხილვას, ამომჩიველთა განაწესების შესრულებას და სხვ.

ავტორი ახსიათებს საბჭოთა სახელმწიფოებრივი მმართველობის ძირითად პრინციპებს, სახავს აპარატის მუშაობის ვადაშეფასებებს გზებს, მოითხოვს აპარატის კადრების შერჩევისათვის ერთგვარი კრიტერიის შექმნას, რათა თანამდებობის პირებს გააჩნდეთ შესაბამისი განათლება, კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება თავიანთ ღიაზე.

„სამართალი და კანონიერება სოციალისტური საზოგადოებაში“ — ასეთია სარეკენზიო ნაშრომის მეცხრე თავი.

ე. შ. ჩხიკავაძე დაწერილებით იხილავს სამართლის ცნებას, მის შინაარსს კლასობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და იურიდიული თვალსაზრისით (გვ. 292-293). როგორც ცნობილია პირველად სამართლის მეცნიერული განმარტება მოგვეცეს მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“. ამ განმარტების ყოველი დეტალი სიმართლის მეცნიერებაში სრულყოფილად და ახსნილი მხოლოდ ე. შ. ჩხი-



კვადის სარეკენზიო წიგნში. შრომაში დასაბუთებულია სოციალისტური სამართლის იძულებითი და აღმზრდელობითი ბუნება, აქვე ცალკე ქვეთავეები ეთმობა სოციალისტურ სამართალსა და პარავენებას, სოციალისტური სამართლისა და სოციალისტური მართლშეგნების ურთიერთდამოკიდებულებას, სამართალსა და შოკალურ ნორმებს, სოციალისტური სამართლის სისტემას, სოციალისტურ სამართალშემოქმედებას. სოციალისტური კანონიერების ძირითად ნიშნებს, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფას, მის გარანტიებს (სოციალისტური კანონიერების დაცვას მშრომელთა დებუტატების საბჭოების მეშვეობით, პროკურატურისა და მართლმსაჯულების ორგანოების, სახალხო კონტროლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით და ა. შ.).

საერთოდ, ავტორი სოციალისტურ სამართალსა და კანონიერებას პროლეტარიატის დიქტატურის (ამემაღ საერთო-სახალხო სახელმწიფოს) სისტემის აუცილებელ ელემენტებად მიიჩნევს.

შრომის უკანასკნელ თავში დასასაბუთებელია თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოები. აღნილია მსოფლიო მასშტაბით მშვიდობის დაცვის საქმეში, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის მნიშვნელობა. აქვე ხაზი ესმის ბურჟუაზიულ და სოციალისტური იდეოლოგიათა შეუთავსებლობას, მათ შეუჩივებლობას. სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა როდის ნიშნავს იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტებას. დასაბუთებულია, რომ იდეოლოგიაში დამოშობას

დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისათვის.

ასეთია სარეკენზიო ნაშრომის მნიშვნელობაში განხილულ ძირითად საკითხთა თანმიმდევრობა. მწელია ამ შრომის სრული სურათის წარმოდგენა, თუნდაც ყველა პრობლემის ასახვა. ამისათვის საჭიროა ნაშრომის გულმოდგინედ წაკითხვა, მისი დეტალურად შესწავლა. ეს კი აუცილებელია განსაკუთრებით ქემანტარული დარგის ყოველი მეშაქისათვის, ყოველი იურისტისათვის, უნდა ითქვას, რომ ასეთი სიღრმით, ასეთი ვრუდირებული სახით, მრავალმხრივ, სამართლის მეცნიერებათა მრავალი დარგის ამსახველი ნაშრომის შექმნას ვერ შესძლებს ვერც „წმინდა“ თეორეტიკოსი და ვერც „წმინდა“ პრაქტიკოსი, ვ. შ. ჩხიკვაძის დასახელებული ნაშრომი წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის კონგლომერატს. ამ ნაშრომს უნდა გვეყნონ არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების მშრომელებიც, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების 50 წლის დიდმნიშვნელოვანი გამოცდილების განზოგადების საშუალებას.

იმის გამო, რომ მოსკოვის გამომცემლობა „იურიდიულმა ლიტერატურამ“ პროფ. ვ. შ. ჩხიკვაძის დასახელებული ნაშრომი მეტად მცირე ტირაჟით (9.000 ეგზ.) გამოცა, დღეს იგი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. სასურველია ჩვენმა გამომცემლობებმა ოზრუნონ იმაზე, რომ დასახელებული ნაშრომი ქართულ მკითხველთა შრობიერ ენაზე მივაწოდოთ.

პრ. პანფილიძე

6 2 2/15

80 80 80.

ИНДЕКС  
76128  
202-2110133

**«М Н А Т О Б И»**

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»